ანეული

ლიტერატურული ჟურნალი

N2 2022

მხატვარი - ხათუნა დადიანი



სულ მაღე ჩვენი ისტორიული სამშობლოს ნანილი დაიტბორება - ღაღი მიქაძის ჩანანერები ტაო-ჯერაჯეთიდან

უჯარინა და ილია

„სადაც ჯი დავალ, - საქართველო დამაქვს სხეულით“! - ელგუჯა ციგროშვილი

ხათუნა დადიანის ნამუშევრები

შხაკვეთილი - ხათუნა დადიანი

ჟურნალ „ანეულის“ შემომწირველები: თამარ გაბროშვილი, ნანა დემეტრაძე, თამარ შაიშმელაშვილი, ფიქრია ჩუბინიძე, ელგუჯა ციგროშვილი, თინათინ ჭეჟია

კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანეულის“ რეკვიზიტები:
ს/ს „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი: BAGAGE22 ანგარიშის ნომერი:
GE81BG0000000306158900



ანეული

№2. (№35) ივლისი. 2022

ლიტერატურული ჟურნალი

პოეტი და დღევანდელობა
ვახტანგ ღლონტი ვისაც სამყაროს შეცვლა უნდა, ვუთმობ აპარეზს 3
დავით გურამიშვილის გარდაცვალებიდან 230 წლისთავი
თამაი ბაბოძე გურამიშვილი დღესაც ომშია 4
პოეზია **დალი მაზმიშვილი** 5
უკრაინა და ილია **ბიოხბი ჯილაძე** „ჩემი ილია“ და „გაზაფხული“ 8
სამი ინტერვიუ
ნანა დემეტხაძე ნიჭი შთამომავლობაში გრძელდება 12
პოეზია
ნომადი ბაითაია 14
თემო ჭახნაჯია 16
თარგმანი **ბაბიჯ დავთიანი** პოეზია 18
იუმილე **ნინო ქუთათელაძე** სამი ნოველა 19
„ვისსენემ დღეებს“...
ლეილა ქიტოშვილი-სახლთხუსიშვილისა ჩანიშნული მოგონებებიდან (გაგრძელება)..... 23
პოეტი–ემიგრანტი **მაია დიასონიძე** ელგუჯა ციგროშვილის პოეზია 29
ჩვენემუტრემი
მუსტაფა იასუთი (ბუხამ ხიმშიაშვილი) ნოდარ დუმბაძე და ფაქირ ბაიქურთი 32
თარგმანი თურქი ქალი პოეტები – თარგმნა ეთერ სადაღაშვილმა 35
ანასტასია დმიტხუჯ (უჯხინა) „ჩვენ ველარასდროს“ თარგმნა ირინე გოჩაშვილმა 36
მცირე პროზა
ბიოხბი აღავეხდაშვილი 37
ეჯა ოთახაშვილი უძლურებაში დანახული სიდიადე 40
პოეზია
მიხეილ ქოჰილაშვილი 41
მაბდა ჩანქსელიანი 42
სოფია ქუხასბეღლიანი 43
შოთა ვეჯუა 43
ფიქრი–მედიუმი **თამაი შაიშმელაშვილი** და წერს გული 44
„შენ ისე ღრმა ხარ“ **ღალი მიქაძე** ტაო-კლარჯეთის შთაბეჭდილებები 45
პოეზია **ზუხაბ მამულაშვილი** 48
ლთო ეინესი 49
თშაური საფრთიალო ლირიკა **თამილა ბობოლაჟი** შენმა სურვილმა დამლია 50
ემიგრანტემის შემოქმედემა
მანანა ხოხავა ზღაპრების ციკლიდან:„ოდესღაც იყო ქვეყანა“ 53
ერთი ლექსი **ედუარდ უბელავა** ალაზნის ველი 55
თეატრსაზრისი
მაჰიამ ჩხეიძე შიდაპიროვნული კონფლიქტი პერსონაჟში შექსპირის „ჰამლეტის“ მიხედვით 56
პოეზია **თინათინ ჭეჭია** 59
პოეტის პორტრეტი
ივანე ჯაფაჰიძე „შენ,საქართველოს ჭირისუფალო,ბედნიერი ხარ,წვა შეგიძლია“ 61
ბერიტული ნაკალმარი
ბიოხბი ღალიაშვილი თამაზ ნატროშვილს მარტო აწმყოსთვის არ უღვაწია 65
ლეილა ქიტოშვილი-სახლთხუსიშვილისა დარჩება მხოლოდ მოგონება გარდასულისა ....., 66
ნოველები **სისი ბუხიელი** 68
შესვენება მეცნიერთან „ერეკლეს ეპოსი“ თელავში 70
ნინო ვახანია „ეჭვის პერანგი“ – ელგუჯა თავბერიძის წიგნის განხილვა უნივერსიტეტში 70
ათსაზეთი – ჩვენი ფიქრები **ვაჟა ღანელია** ორი ნოველა 71

ISSN 1987-9717

ჟურნალი-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანეული“

ჟურნალ „ანეულთან“ ახსებული
ლიტერატურული გაერთიანება:

რეზო (ემელიანე) ადამია
ნინო არსენაშვილი
რევაზ ბალანჩივაძე
თამარ გაბროშვილი
თამარ მიქაძე
თენგიზ უთმელიძე
ლეილა ქიტოშვილი –
სახლთხუცესიშვილისა
თემურ ჩალაბაშვილი
მანანა ჩიტიშვილი
ნინო ჩხიკვიშვილი
ჯუბა ლებელი
თამაზ ხმალაძე
თემურ ჯაგოდნიშვილი
ივანე ჯაფარიძე

მთავარი redaktori

თამარ შაიშმელაშვილი

ლოგოს ავტორი

ბიოჩბი ზუჩებიანი

გარეკანის პირველ გვერდზე: მხატვარი - ხათუნა დადიანი
გარეკანის ბოლო გვერდზე: ლალი მიქაძის ფოტოები ტარო-ლარჩეთიდან

redaqciis telefoni: 551 00 50 58

redaqciis inteRnetfosta: aneuli@mail.ru; aneuli.inanishvili@gmail.com

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალებზე პასუხისმგებელია ავტორი. გამოსაქვეყნებელი სტატიის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 5 ნაბეჭდ გვერდს

ჟურნალი დაიბეჭდა გამომცემლობა „მწიგნობარში“

ვახტანგ ღლონტი

* * *

ვისაც სამყაროს შეცვლა უნდა – ვუთმობ ასპარეზს,
მე ერთი შოლტიც ვერ დავატყვე, ოჩანს, გარედან;
ერთი ბათუმი მირჩევნია, ახლა, ას პარიზს,
სხვისთვის რომ წვიმდა, ჩემთვის ცრემლად
მოწანწკარებდა.

აქ ბევრი წყალზე მოტივტივე სტუმრობს
ქალაქპორტს,
მეც შიშველ ფეხზე გამოვიბა უნდა ღუზები;
და როგორც თევზი უბრუნდება საწყის კალაპოტს,
დავცლი ქვირითს და სასიკვდილოდ მოვიბუზები.

მეც შემელევა ეს ქალაქი, რადგან გმირისთვის,
არც აღდგომაა – სხვის ხარჯზე და, არც
ამაღლება;
მტანჯავს, შუბლ-თხემზე მოვლებული ეკლის
გვირისტი,
ქრისტეში ყოფნა და მის ჯვარზე გადასახლება.

ო, რა ძვირფასი შევიქნები, ვტკბები წინასწარ, –
სავალდებულო... საზეპირო... კალენდარული;
„არული-მეთქი, კუდიანებს“ – ყბაში ვინაც მცა,
არ მოერევა ალმური და ხალენთან რული...

ეს მერამდენედ იმეორებს ქრისტე თავისთავს,
ეს მერამდენედ... დაიღალენ მისი თანმხლები –
იუდაა თუ პილატეა... ვერც მე ავიცდენ
ჩემს ხვედრს... რა მერე – მიკრავთ კვერს თუ არ
მეთანხმებით.

უკვე არაფერს არ სჭირდება თქვენი თანხმობა,
უკვე ვერავის შეაჩერებს თქვენი უარი;
მამლის ხმობაზე დაიწყება თქვენი დამხობა, –
ესმის პეტრეს და დედამიწა ისევ ყრუ არი!..

დავით გურამიშვილის გარდაცვალებიდან 230 წლისთავი

თამარ გაბოძე

გურამიშვილი დღესაც ომშია

ფურცლები დღიურიდან

პოეტსა და მთარგმნელს, ქართულ-უკრაინულ ლიტერატურულ ურთიერთობათა მკვლევარს, ქალბატონ თამარ გაბოძეს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა.

იგი არის არის უკრაინის ქალთა კავშირის წევრი, მირგოროდის ხელოვანთა ძმობის წევრი. მისი სახელი და გვარი შეტანილია მირგოროდის მოღვაწეთა კარტოთეკაში (კატალოგში).

ლიტერატურულ ჟურნალ „ანეულის“ რედაქცია ულოცავს თამარ გაბოძეს საიუბილეო თარიღს და ახალ-ახალ წარმატებებს უსურვებს.

• • •

„წერტილოვანი დარტყმებით დაიბომბა მირგოროდისა და ხმელნიცკის“....

25.02.2022 (უკრ.ინფო)

ომი, დავითი და მირგოროდი

„ორმოცჩვიდმეტს ბრუსის კოროლს
შევურყივეთ ტახტის სვეტი“...
დ. გურამიშვილი

მრავალგზის მოსრა მსოფლიო ვრცელი,
უგუნურობის ავნო მომენტმა,
წალეკა – მიწა სისხლით, ზღვა ცრემლით,
კაციობრიობა – ჟლიტა ომებმა...
...ორასსამოცდახუთწელს ომიდან
ვთვლით, პრუსიას რომ რუსი ამხობდა.[1]
დღეს კი, სატანის კვერთხით, მოვიდა –
სპობს დედა-კიევს, ღვთის რისხვად მოდგა.
...აღვიძებს კიევს, მირგოროდს, მამლის
ყივილი? არა – შრაპნელი კვამლის!
არ დააცალეს კვირტებს გასკდომა...
სკდება ჭურვი და სცვივა ცას კვდომა...

1. პრუსია – გერმანია

მირგოროდი – „დავითიანის“ სამშობლო

დავით, მშვიდობის უფლებაც არ აქვს
მეგობრობის და მშვიდობის ქალაქს?!
ჰუსარს მუნდირი რად შეგიგინა,
მირგოროდშიც რად ბომბმა იგრგვინა?!
„დავითიანი“ მირგოროდს იშვა
და უკრაინაც ამ წიგნით იძმო
ღვთივ კურთხეულმა ქართულმა ჯიშმა,
შენი ცხოვრების აზრი რომ იგრძნო...
...ოცდაორ იმ წელს, პოლკის მხარდამხარ
„დერჟავის“ მსხვერპლთ რომ კვეთდი ხმალდახმალ,
„არ ცოდნა“ ერქვა რუსული ენის?[2]
არც ჩინი მოგცეს, არც შანსი რჩენის!..
დღეს გკადრეს, გულზეც დაედგათ ფეხი? –
დასჯის ჩრდილოელთ სამართლის მეხი!
მტერი მგლის მადით, ფაშიზმის ნიღბით,
განწირულია წამგების იღბლით!
...რა ბედისწერის ყოფილხარ, დავით,
მტერმა საფლავშიც არ დაგასვენა –
ომით შენს დევნილ, ობოლ მუზეუმს,
სად, სად მოუხდა ნეტავ გაქცევა?!
არ გაქცეულხარ ველიდან ბრძოლის,
შენ უკრაინას ყველგან იცავდი.
დღეს ხსოვნას გიცავს ხანძრიდან ომის –
მირგოროდიც – თავს გიხრის მიწამდე.

დავითის იუბილე ტყვიის წვიმაში, 1942...

დავით, გიშვილა და მშობლად იქცა
ბოგდან ხმელნიცკის ერი, ქვეყანა...
ასორმოცდაათ წელს უკვე მიწა
უკრაინული გულზე გეყარა,
შენ კი მრისხანე ორმოცდაორში,
ოკუპირებულ უკრაინაში,
ქვეყნის გერმანულ ფაშიზმთან ომში,
ერს ამხნევებდი ფოლადით ხმაში!
მებრძოლ, შევჩენკოს რადიოსადგურს,

2. რუსული ენის არცოდნის საბაბით დ. გურამიშვილს არც წოდება მოუმატეს და ნამსახურობის 22 წლის სტაჟით სრული პენსიაც ვერ მიიღო...

სიტყვაც ქართული მატებდა საგზურს –
რომ უკრაინულ სტეპს, ღვიძლ ტრამალებს,
არ დაუთმობდა ერი მტარვალებს!

ომიდან ომში (ანუ 150-დან 230-მდე)

რაც მიიცვალე, ორასოცდაათს
დავით, ითვლის წელს ქვეყანა ორი.
სულ შენი წასვლის, ძვირფასო, საათს,
იუბილეებს ემთხვევა ომი?
ფერფლიც ომში ხარ? მირგოროდს იცავ?!
თავზე ბომბები გაცვივა როცა,
შენ – უკრაინის ტანჯულო მიწავ –
გიშველის მხოლოდ წმინდანთა ლოცვა!
...გურამიშვილო – შენ საქართველო,
დაუძმობილე უკრაინელ ერს.
საუკუნოვან ამ მეგობრობას
გვჯერა, უფალიც მუდამ ინებებს!

იმედი...

არის წილხვედრი დედა ღვთისმშობლის –
უკრაინაც და დაიცავს კალთით
წმიდნანთა მადლიც კიევ-პეჩორის,
მცხეთით დაიცავს კი ქრისტეს კვართი...
...ქართული ხსოვნის ყაყაჩოები,
მზესუმზირებში გამობრწყინდება...
ცამდე მშვიდობის ხარაჩოებით
გმირ უკრაინას – მის ხალხს – დიდება!
ხსოვნა შევჩენკოს – აკაკის ძმობილს!
ერს – უკრაინკა ლესიას მშობელს –
მადლს ნუ მოაკლებს უკვდავი ძმობის,
შეევთხოვ ჩვენს წილმხვედრს –
დედაღვთისმშობელს!

26.02.2022წ.

მშვიდობა მსოფლიოს!

(ბოლოთქმა)

გამთბარ მიწაში თესლის ჩაგდება
რომ სცადა, მარტშიც დათვმა დაბეგვა...
რას ემართლება ტროლი მირგოროდს?!
სისხლში ჩაახრჩობს ბედი იმ ბოროტს –
შავი დღე სწია ვინც უკრაინას –
მტერმა რაც სთესა, მოიმკა! იმას
მიეზღვება ღვთით სამაგიერო
ქვეყნად მშვიდობის საბედნიეროდ!
. . . . . .
ქართველ ჰუსართა ზღვა თავდადება
მირგოროდის პოლკს დიდებით დაფნავს.
ეს ომიც, როგორც სხვა, დამთავრდება:
უკვდავყოფს ერის გმირობის ამბავს;
გადაშენების არ დავდგეთ კართან –
არაა სხვა ხსნა – მშვიდობის გარდა!
გამზევდეს ომის უამინდობა!
მსოფლიოს მისცეს ღმერთმა მშვიდობა!

30.03.2022 წ.

პოეზია

დავი მაზმიშვილი

ლეონტი მროველი

რომ არა საქმე კეთილი,
ქვა-ჯვარი, ხელით კვეთილი,
წიგნი, სიმდაბლით ნაწერი,
მეფეთ მეფობის აღმწერი,
მემატიანე რჩეული,
ღვთის სასოებას ჩვეული.
რომ არა, მსგავსი მამები,
რომ არ შეწევნა სამების,
სიკეთე, მათგან ნადენი,
არ ვიქნებოდით ამდენიც.
ჰოდა, რადგანაც იალა
დღემდე მადლსავსე ფიალამ,
მისი საქმე და ნაღვაწი
ლამპრად იბრწყინებს
მრავალწლის.
იყო დიდ საქმეთ მდომელი,
ერქვა ლეონტი მროველი.

მენატრება

წლებთან ერთად თან დამყვება კვალი განცდის,
ხსოვნის შროშნებს სარეველა ემატება,
გზა სად მიდის,
უპირველესს ხომ არ ავცდით,
დარბაისელთ სათნოება მენატრება.
სხვაა საქმე, სხვაა სიტყვის საგანძური,
მთქმელ-გამგონის თვალებში რომ ილაკრება,
ძაძასავით რად მომრავლდა ასე შური,
გულმართალი გაღიმება მენატრება.
საკაენო საქმეს არ აქვს დასასრული,
სანდო ხელში სანდო ხიდი არა ტყდება,
მენატრება მზე გულიდან ამოსული,
ერთიანი საქართველო მენატრება!

ქარი

თვალს ვხუჭავ,
უეცრად მოვარდნილ
ქარს ვუსმენ,
ცის შმაგი მხედრები ღამეს მოჰყოლიან,
სახურავს ვიღაცა
ზედ უსვამს კაქტუსებს,
ქარები, ქარები,
სამყაროს სულია
შიშის და დუმილის
წამს გეშავს განგება,
ფაფარი აშლიათ უფსკრულთან ჩანჩქერებს,
ხეებზე ჰკიდებენ
ბგერებად, ჰანგებად
ქროლვის და კვეთების
კლავიშის ნარჩენებს.
საიდან მოდიან,
საითკენ მიდიან...
როგორ მშვიდდებიან
ცის დამამხობელნი,
მგონია, სამყარო ქარის ფრთებს ჰკიდია,
ქარის ფრთებს ჰკიდია
ეს წუთისოფელიც.

* * *

შენ ახლა სხივთა
მარმაშში დგახარ,
უფლის ნათელი სამყაროს უვლის,
იმედით ვცოცხლობ,
რომ ისევ გნახავ,
ვით ანკესს, ისე მოვყვები სურვილს,
გგონია, მთვარე –
ზეცის მდინარე,
გადმოღვრის ჩქერს და
გახსნის ცის კარედს?
მთვარე კი არა,
გულია ჩემი,
წახვედი, გულიც
თან გაგატანე!

* * *

სამყარო გასაოცარი,
ღვთით მოსაზღვრული რკალით,
ვცანი და ძლივს შევიცანი,
სულ ორი კელაპტარით.
ცად უხილავი ბრწყინდება,
დაბლა იბნევა მინდი...
ნეტავი, მე რას მპირდება,
ჩემი გზა საით მიდის?!

რამდენი რამე

რამდენი რამე
გროვდება სულში,
გაუმხელელი,
წმინდა, ნათელი,
ენძელასავით ჩუმად
ფრთას რომ შლის,
სიყვარულად და სითბოდ ნადენი.
გაგიგვირისტებს
ოცნების მოვებს,
მტრედისფერ ნატვრებს მოგიტანს ქარში,
ხან სიხარულში გაგიმარტოვებს,
ხან მოგეწევა
თავსხმა წვიმაში.
ხსოვნის საცეცი აღარ გასვენებს,
იდუმალ ფიქრთა
ხდები მშველელი,
სიკეთესა და ტკივილს გახსენებს,
გენატრება და ვეღარ ელევი.
ზღვა მაინც ბოლოს
მორჩება ღელვას,
ვეღარ იბრწყინებს
წლებიც ფარჩებად,
ვიღაცის დარდი,
ვიღაცის ლხენა,
ვიღაცის ცრემლი შენთან დარჩება.

* * *

ისევ თბილი ფოთოლცვენა,
ქარვა, ოქრო,
ლალ-ძოწი,
საღამომდე ალმაცერად
მზე სხივჩამონაძოწი,
მთა-მთა ნისლი
იწყებს ტრიალს,
მიყვარს ფერთა არილი,
ქართლსაც უკვე დასტყობია
შემოდგომის მარილი.

* * *

მთელი ღამეა ქარები
ცისკენ წეროებს ხრიან,
დღე – ავთვალდაუკარები,
ჩამოჩალისფრდა გვიან.
სტრიქონით, როგორც ზმანებას
ფიქრის ნამცვრევებს მოვგვი,
ის ერთიც გამეხარება,
გადარჩენილი თმოგვი!

ალავერდი

ორ შუამთას, სიღნაღს, თელავს,
სიყვარულის ფიქრში ვხვევდი,
მაგრამ, როგორც ბედისწერა,
სულ მეძახდა ალავერდი!
ვერ ვივიწყებ დღესაც იმ წვას,
მასზე სათქმელს ვერა ვლევდი,
შორიდანვე ქართულ მიწას
მკერდს ჩაკვროდა ალავერდი!
ფრთები აჩნდა სივრცეს გაშლილს,
სალოცავად იდგა ღმერთის,
მიფრინავდა მზისფერ რაშით
მზის აღმართზე ალავერდი.
და ორი მზე ადგა კახეთს,
მათთვის დღესაც სულს დავლევდი,
მზე – სამყაროს თვალს რომ ახელს
და თვითონ მზე-ალავერდი!

ღიღილოები

განთიადი ლურჯ ხელწერას ცაზე ტოვებს,
მელნისფერი ეცრიცება ზამბახს, სოსანს,
ქართლის ველი დაუფარავთ ღიღილოებს,
ამას ჰქვია უფლის მიერ ყალმის მოსმა.
ცის სანთელი თაველებში ანთებულა,
აღტაცების ყველა კარი დამხვდა ღია...
სიყვარულით მიწა მუხლზე დაცემულა,
ცისფერთვალა ყვავილები იმდენია.
ქარი გაშლილ ღიღილოებს ფრთებით ძერწავს,
ვარსკვლავები მთვარის შუქზე ვერცხლით ღებენ,
ყოველ დილით მათი ნახვა ცას ასწევს და
მონატრებულ ქართლის მინდვრებს ახარებენ.

მწვანე მონასტერი

მაღლა იწევს ეგ კედლები,
პირველად აქ თენდება,
მას წაუღეს საკვდრები
უფლის ლურჯმა მტრედებმა.
დაგვატარებს სხივნანთებში,
თან ღვთის მადლი გვივლის გარს,
აყვანილო თითქოს ხელში
დედა ღვთისმშობელისგან!

* * *

მე შენთან ერთად მინდოდა
ეს ცა, ეს მიწა, ეს მზე...
არყოფნის სანაპიროსთან
ადრე მიხვედი ჩემზე!
ორ ნაპირს შორის ძნელია
რომელ საწადელს ვენდო,
ცა ისე მშვენიერია...
შენ ასხივოსნებ ფერდობს!

წვიმა ყინწვისში

წვიმს, ყინწვისური ბრილიანტით
კამკამებს ზეცა,
ზურმუხტისფერი სინატიფით
მიწა ბროლდება,
ანგელოზს ტაძრის
მოუვლია ფეხშიშველს დღესაც,
თბილ ნატერფალებს
გვირილები აღარ შორდება.
ცისფერ სამოსელს შეშრობია
შროშნების ნამი,
თვალში სიწმინდის ნაპერწკლები
არა ხუნდება,
მონატრების და მოფერების
მთავრდება ჟამი,
ულამაზესი ანგელოზი
ტაძრად ბრუნდება.
ტაძრად ბრუნდება სიყვარულის
ღვთიური განცდა,
როგორც მუდმივი ზიარება,
ძლევა, მიღწევა,
წვიმს, სათნოების სისპეტაკე
მიწიერს ასცდა,
ასე დღითიდღე ტაძარი კი
ცისკენ იწევა!

ენძელები

გადამრიეს ლურჯთვალება ენძელებმა,
მარტის დამდეგს მოისურვეს ცისკენ ცქერა,
მათ გარეშე ყოფნა უკვე მეძნელება,
თან მახარებს უცაბედი გამოჩენა.
და მარმაშებს აბრეშუმი თოვლის ციდან,
მინდვრებს ფიფქის ფარვანები შესევიან,
ენძელების სიჯიუტე ამინდს ცვლის და
დედამიწის დედოფლები ესენია!
თოვდა წუხელ, დარდმა აღარ დამაძინა,
ქარნაქარგი თეთრი თექა დამხვდა დილით,
როგორა მყავს თოვლქვეშ ნეტავ მაცოდინა,
ლურჯთვალება დობილები, მოწყენილი.
ოდესმე თუ უთოვია ასე წინათ,
შარიან ქარს თავი ძლივსღა დავაღწიე,
როგორც იქნა, მზემ ქართლის ცა გააბრწყინა,
ენძელებმაც თოვლში ფრთები წამოსწიეს,
ესენია დედამიწის დედოფლები,
რა ძალა აქვთ, რა სინაზე, რა შეძლება,
დაკარგულის ნახვას როგორც ველოდები,
ახლა ისე გამახარეს ენძელებმა.

უკრაინა და ილია

ბიოხბი ჯიღაძე

„ჩემი ილია“ და... „გაზაფხული“

სიმართლე უნდა ვთქვა:

უკრაინისა და ილიას ურთიერთობაზე საუბარს „ჩემს ილიაში“ საერთოდ არ ვაპირებდი...

არ ვაპირებდი, მაგრამ...

როგორც ახლა ვამბობთ, ოცი ოცდაორის 24 თებერვლიდან, მეც, ისევე როგორც, არ ვიტყვი, მსოფლიოს უდიდესმა ნაწილმა, უკრაინით ვიცხოვრე და ყველა საქმე, რომელიც ამ ოცდღიან შუალედში ჩავიფიქრე და გავაკეთე ან თუნდაც ვერ გავაკეთე და უკრაინას ირიბად არ შეეხო, მიუხედავად სიდიდისა თუ მნიშვნელობისა, სამარცხვინოდ დარჩება ჩემს ბიოგრაფიაში...

ასეა – ჯერ წესია საქმე და მერე საქმეა საქმე!!

წესი კი, სხვა თუ არაფერი, უკრაინაზე ყოველწამიერი ფიქრი იყო!

და რაც იყო, ყოველთვის არ უნდა გადავიდეს ნამყოში... და ამიტომ,

„ჩემი ილიას“ ეს ნაწილი უკრაინას და უკრაინელ ხალხს ეძღვნება...

Слава Україні

Хваліть героїв

კიდევ ერთხელ ჩემი უღრმესი პატივისცემა გმირებს...

ახლა კი დროა, „საქმეს მივხედო“. ვიწყებ:

წინასწარ გეტყვით, ძირითად წყაროდ „ილიას ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანეს“ შემოქმედნი მინდა შევახსენო/გავაცნო მკითხველს.

„სამეცნიერო პროექტი „ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე“ – ახალი ტექსტოლოგიური კვლევები (ორენოვანი გამოცემა)“ (FR/317/1-20/13) განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. წიგნში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორთა კოლექტივს და, შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს“.

პროექტის ხელმძღვანელი – მაია ნინიძე.

მასალის შემდგენლები: მაია ნინიძე, ქეთევან ხითარიშვილი, ნანა ფრუიძე, შარლოტა კვანტალიანი, ავთანდილ უჯმაჯურიძე.

რედაქტორები: მაია ნინიძე, ივანე ამირხანაშვილი.

© შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. ISBN 978-9941-9365-8-6 (PDF)

© გამომცემლობა „მთაწმინდა“ 2017“.

შთამბეჭდავი ორგანიზაციებისა და პიროვნებების ნაკრებია!

„მატეანე“ ძველი სტილით ფურცლავს ისტორიას.

მეც ასე მოვიქცევი და კალენდარს 1885 წლის 4 აგვისტოზე, ძველი და არა, ახალი სტილით გადავშლი.

გადავშლი და ვიდრე იქაც და თითქმის ყველგან ყურადღებას გავამახვილებ მოკლე ცნობაზე, წყაროებსა და პირთა ანოტაციაზე (მხოლოდ უკრაინელებზე), ყოველთვის არა, მაგრამ რამდენჯერმე ვუპასუხებ კითხვას, რა მასალა გვაქვს ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ რესურსებში ქართულ ენაზე.

კითხვაზე პასუხს ყოველთვის არ ექნება სრული, მიზეზებზე არც აქ და არც სხვაგან ვერ ვისაუბრებ, თუმცა ვიმედოვნებ, უახლოეს ხანში კოლეგები ეროვნული ბიბლიოთეკიდან, როგორც ჩვევიათ, შეავსებენ და სრულყოფენ.

კალენდარზე კი, როგორც ზემოთ ვთქვი, ძველი სტილით 1885 4 აგვისტოა.

„გაზეთ „კავკაზში“ იბეჭდება დასაწყისი ნიკოლოზ გულაკის სტატიისა „ვისრამიანი“ ჭავჭავაძის, სარაჯიშვილისა და უმიკაშვილის რედაქციით“.

ხომ იცით და თუ არ იცით, გეტყვით, ბიბლიოთეკარი ვარ და ამიტომ სასწრაფოდ ნათქვამი წყაროს მითითებით უნდა გავამტკიცო.

შორს წასვლა როდი დამჭირდება.

აბა, „მატიანეს“ მთავარ რედაქტორს „მოვისმინოთ“: „ძირითადი ტექსტი ქრონოლოგიური თანამიმდევრობით არის განლაგებული ციფრული დოკუმენტის ზედაპირზე, თითოეული ანოტაციის ბოლოს კი არის ღილაკი, რომელზე კურსორის დაჭერითაც იხსნება ქვედა შრე – სამეცნიერო აპარატი, რომელიც ძირითადად სპეციალისტთა ინტერესებს ემსახურება. იგი მოიცავს რუბრიკებს: „წყარო“, „ატრიბუცია“, „დათარიღება“, „პირთა იდენტიფიკაცია“, „პირთა ანოტაციები“ და „ფოტო/დოკუმენტი“. ბმულზე მოთავსებულ ასეთსავე ღილაკზე კურსორის დაჭერით მკითხველი ბრუნდება იმავე გვერდზე, რომელსაც კითხულობდა“.

ასე რომ, შესაბამის ღილაკს კურსორს ვაჭერ და ვკითხულობ:

წყარო: გაზ. «Кавказ», 1885, № 206.

იქვეა, პირთა ანოტაცია: „გულაკი ნიკოლოზ ივანეს ძე (1821-1899) – უკრაინელი პედაგოგი, პუბლიცისტი, საზოგადო და პოლიტიკური“...

ეროვნულ ბიბლიოთეკაში ნიკოლოზ გულაგზე ინფორმაცია, ძირითადად, ორ წყაროზე დაყრდნობით შეგვიძლია გავეცნოთ.

ჟურნალი „მნათობი“. თბილისი, 1961. 3, გვ. 149-

153

1. პირადოვი, ბ., ავტორი.

ნიკოლოზ გულაკი-ტარას შევჩენკოს მეგობარი: [სპეციალობით მათემატიკოსი. ქართული ლიტერატურისა და ენის შესახებ მრავალი მაღალხარისხოვანი ნაშრომის ავტორი, ქუთაისისა და თბილისის კლასიკური გიმნაზიის მასწავლებელი 1863-1892 წლებში. გარდ. 1899 წ.]

2. ენიკოლოფაშვილი, თ.

ლიტერატურული გაზეთი. თბილისი, 1961. 10 მარტი, გვ.1

შევჩენკოს თანამებრძოლი საქართველოში : [ნ. გულაკი]

საინტერესო სტატიებია, რომელსაც ეროვნული ბიბლიოთეკის სპეციალურ კოლექციაში „უკრაინა" მკითხველი უახლოვეს ხანში იპოვის და წაიკითხვას.

„ანეულის" მკითხველს აღნიშნული სტატიებიდან მხოლოდ რამდენიმე ამონარიდს შემოგთავაზებთ:

„ნიკოლოზ გულაკი – ტარას შევჩენკოს მეგობარი.

ადამიანი, რომელზედაც ჩვენ ქვემოთ ვილაპარაკებთ, დიდი კობზარის მეგობარი და თანამებრძოლი იყო. სიცოცხლის მრავალი წელი მან საქართველოში გაატარა და,რაც კი რამ საუკეთესო გააჩნდა – თავისი ცოდნა და ენერგია – მას შესწირა.

ნიკოლოზ ივანეს ძე გულაკის, ამ დემოკრატი მოღვაწის, მათემატიკოსის, ლიტერატურისმცოდნის, ლინგვისტისა და ისტორიკოსის უაღრესად საინტერესო პიროვნება რატომღაც თითქმის მივიწყებულია. ნ. გულაკი დაიბადა 1822 წელს, უკრაინაში, ხერსონის გუბერნიის ალექსანდროპოლის მაზრის სოფელ ნიკოლაევკაში, აზნაურის ოჯახში. 1843 წელს მან ბრწყინვალედ ჩააბარა კანდიდატის ხარისხის მოსაპოებელი გამოცდები.

და მეორე,

„1885 წელს გულაკმა დიდი რეცენზია მიუძღვნა 1884 წელს ილია ჭავჭავაძის რედაქციით გამოცემულ „ვისრამიანს".

„არ შეიძლება არ გაგვახაროს ამ ძველი პოეტური მოთხრობის დაბეჭდვამ",– ასე იწყებდა თავის რეცენზიას ავტორი, თუმცა შემდგომ, ნაწარმოების ანალიზისას აღნიშნავდა რა ვისრამიანის" ირანულ წარმოშობაზე, იგი დაასკვნიდა: „თუ შევადარებთ „ვისრამიანს" რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს", მაშინვე თვალში მოგვხვდება ამ ორ ნაწარმოებს შორის არსებული უდიდესი განსხვავება. „ვისრამიანის" შემქმნელი ხალხი ვერას დროს ვერ ამაღლდებოდა „ვეფხისტყაოსანში" დახატულ კეთილშობილ სახეთა სიმაღლეზე" («Кавказ, 1885 г., № 216. ბ. პეგალოვი. „მნათობი." თბილისი, 1961. 3, გვ. 149-153).

მენდეთ, საინტერესო სტატიაა.

სიამოვნებით გადავიკითხავთ მეორედაც, მაგრამ ვფიქრობ,უმჯობესია,ვირტუალური კალენდარი 1891 წლის 21 აპრილზე გადავფურცლოთ.

გადავფურცლოთ და წავიკითხოთ:

„პოეტი ალექსანდრე ნავროცკი ავტოგრაფით უძღვნის საკუთარ თარგმანს ლექსისა „გაზაფხული".

‚აი, სწორედ აქ იწყება „გაზაფხულის" მატიანე.

დაწყება კი, მოგეხსენებათ,ხშირად გულისხმობს დასასრულს...

მაგრამ რა დროს დასასრულია, ჯერ ბევრი რამ კიდევ მაქვს სათქმელი – აი, მაგალითად, ის, რომ ეროვნულ ბიბლიოთეკაში უკრაინაში გამომავალი გაზეთი „პრავდა" არ გვაქვს,სამაგიეროდ,ხელი მიმიწვდა «Кавказский вестник», 1900, №5-ზე, სადაც გამოქვეყნდა ალექსანდრე ხახანაშვილის სტატია „Грузинские поэты на малоросисском языке ", „რომელშიც ჩართულია ილია ჭავჭავაძის ლექსების: „გაზაფხული" (მთარგმნელი „ო. ლ-ი"), „მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან"..., „გ. აბხ." (მთარგმნელი ბორის გრინჩენკო), „პოეტი", „ელეგია", „გუთნისდედა" (მთარგმნელი პავლო გრაბოვსკი) უკრაინული თარგმანები".

ეს ამბავი 1900 წელს მოხდა და ლექსი როდისღა ითრგმნა?

ამას მოგვიანებით გეტყვით...

„ჩურჩულების" დრო ისტორიის კუთვნილებაა...

ახლა „ინტრიგის დატოვების" დროა უფრო...

ლექსის დრო ხომ არის და არის!

ინებეთ!

ВЕСНА.

(Кн. І. Г. Чавчавадзе).
Все на сьвіті разьвітае,
Все сьлівае на весні,
І в.садкахъ на сонці ллють ся
Слези щастя весняні.

Зацьвіли лісі і гори,
Цьвітои вкрили ся поля;
Чом же ти не разцьвітаеш,
Бідна вітчию моя?!
18. Х. 30. 0. Л– ий.

ასეთია ლექსის ოლექსანდრ ლოტოცკისეულ თარგმანი.

და როგორია ეს თარგმანი?

რამდენად ახლოსაა ან შორსაა ორიგინალისგან?

მე ვერაფერს გეტყვით.

ცნობილი უკრაინოლოგის ოთარ ბაქანიძის სტატიის „ილია ჭავჭავაძის პოეზიის პირველი თარგმანები უკრაინულ ენაზე" (საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობის აკადემიის შრომებში გამოქვეყნდა; იხილე: საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობის აკადემია შრომები. თბილისი,2007. [ტ.] V, გვ.7-20) შესაბამის აბზაცებს გავაცნობ მკითხველს და აქვე დავპირდები ბატონი სტატიის აღნიშნულ სტატიას რამდენჯერმე მივუბრუნდები.

მივუბრუნდები, რადგან სწორედ, ამ თოთხმეტგვერდიან სტატიაშია განხილული ლოტოცკის, გრინჩენკო გრაბოვსკის და კიდევ რამდენიმე უკრაინელი მწერლის მიერ ილიას თარგმანები და რომელსაც ჩვენ უახლოეს მომავალში აუცილებლად გავაციფრულებთ.

ჯერ ამონარიდები მოვიტანოთ, ჭაშნიკად:

„ოთარ ბაქანიძე

ილია ჭავჭავაძის პოეზიის პირველი თარგმანები უკრაინულ ენაზე

XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის მესაჭის ილია ჭავჭავაძის ცხოვრება და მოღვაწეობა შეუმჩნეველი არ დარჩენია უკრაინის ინტელიგენციას. 90-იანი წლების უკრაინულ პრესაში ქართული ლიტერატურის წარმომადგენელთა შორის ილია ჭავჭავაძეს საგანგებო ადგილი ეთმობოდა.

უკრაინული საზოგადოება ილია ჭავჭავაძეს იცნობდა, როგორც საქართველოს მოწინავე მოღვაწე-მოაზროვნესა და შემოქმედს.

90-იანი წლების უკრაინულ პრესაში გამოჩნდა ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებები, რომელთა თარგმანებიც შესრულებული იყო ო. ლოტოცკის, ბ. გრინჩენკოსა და პ. გრაბოვსკის მიერ. დღესდღეობით ჩვენთვის ცნობილია, რომ უკრაინულ ენაზე ამეტყველებული ილია ჭავჭავაძის ლექსები პირველად გამოქვეყნდა 1893 წელს. ლვოვის ჟურნალ „პრავდაში“ 1893 წელს „პოეზიისა და დრამის“ განყოფილებაში დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის ლექსი „გაზაფხული“.

„პრავდა“ იყო უკრაინული ყოველთვიური ლიტერატურულ სამეცნიერო და პოლიტიკური ჟურნალი. თავდაპირველად იგი ბურჟუაზიულ-ლიბერალური მიმართულებისა იყო. გამოდიოდა ლვოვში 1867-1898 წლებში (წყვეტილად). ჟურნალი „პრავდა“ 90-იანი წლების დასასრულიდან გახდა უკრაინულ-ბურჟუაზიულ ნაციონალისტთა ერთი ჯგუფის პოლიტიკური ტრიბუნა. „პრავდას“ უმთავრესი თანამშრომლები იყვნენ: ა. კულიში, ი. რომანჩუკი, ვ. ანტონოვიჩი და სხვ. თავის დროზე „პრავდის“ პოლიტიკური პლატფორმის მკვეთრი კრიტიკით გამოვიდნენ ცნობილი უკრაინელი მოღვაწეები: მ. დრაგომანოვი, პ. ჟიტეცკი, განსაკუთრებით კი – ი. ფრანკო და მ. პავლიუკი.

იმის გამო, რომ იმდროინდელ უკრაინაში არ არსებობდა სხვა მიმართულების ორგანო, ჟურნალ „პრავდაში“ აქვეყნებდნენ თავიანთ ნაწარმოებებს უკრაინული ლიტერატურის კლასიკოსები და მხატვრული სიტყვის გამოჩენილი ოსტატები – პანას მირნი, მიხაილო სტარიცკი, ივან ფრანკო, იური ფედკოვიჩი, ივან კარპენკო-კარი, მიხაილო კოციუბინსკი, ივან ნეჩუი-ლევიცკი და სხვანი.

აი, ამ ჟურნალში დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის მიერ 1861 წელს პეტერგურგში დაწერილი ლექსის „გაზაფხული“ თარგმანი და, როგორც მინაწერიდან ჩანს, იგი თარგმნილი უნდა იყოს ო. ლ-ის მიერ 1892 წლის 30 ოქტომბერს“.

სულ ცოტა ქვემოთ სხვა თარგმანს გაგაცნობთ. მანამდე „მატიანეს“ „პირთა ანოტაციიდან“ თავად მთარგმნელს გაგაცნობთ:

„ლოტოცკი ოლექსანდრ (ალექსანდრ) ეგნატეს ძე (1870-1939)

უკრაინელი საზოგადო მოღვაწე, მწერალი და პუბლიცისტი. თარგმნა ქართველ პოეტთა ნაწარმოებები“.

ბატონი ოთარის ლოტოცკისეული თარგმნის შეფასებას ცოტა ქვემოთ შემოგთავაზებთ, ახლა ერთ საინტერესო კრებულს და დაპირებული მეორე თარგმანის ჯერია.

თარგმანი, რომელიც პაბლო ტიჩინასია პირველად არაჩვეულებრ გამოცემაში ვნახე. გამოცემის სათაური „მამულო საყვარელო“, რომლის სრულ ორენოვან ანოტაციას აქვე გთავაზობთ:

„Ілля Чавчавадзе, Вітчизно Кохана, Тбілісі, 2007;

ჭავჭავაძე ილია, „მამულო საყვარელო“, თბილისი, 2007.

წინამდებარე კრებულში მოთავსებულია ილია ჭავჭავაძის ლექსები დედანსა და უკრაინულ თარგმანებში.

წიგნი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსებული უკრაინისტიკის ინსტიტუტის გამოცემაა. კრებულის მომზადებაში თავისი წვლილი შეიტანეს უკრაინის საელჩომ საქართველოში (ელჩი, ბ-ნი მ. სპისი) და თბილისის უკრაინულმა სკოლამ (დირექტორი ქ-ნი, გ. მატვეევა).

კრებული გამოსცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა.

У поданому збірнику поміщені вірші Іллі Чавчавадзе в оригіналі та українському перекладі.

Книга є виданням, заснованого у Тбіліському державному університеті Інститутом Українознавства. У підготуванні збірника свій вклад внесли Посольство України в Грузії (посол, пан М. Спис) й Тбіліська українська школа (директор, пані Г. Матвєєва).

Книга видана Тбіліськім державним університетом.

სარედაქციო კოლეგია:
ო. ბაქანიძე (მთავარი რედაქტორი), ნ. ნასყიდაშვილი, რ. ჭანტურიშვილი
აღმასრულებელი რედაქტორი
ნათია ამირეჯიბი
გარეკანი
თინათინ ჩირინაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა
მარიამ ებრალიძე ნინო ვაჩეიშვილი
Редакційна колегія:
О. Баканідзе (головний редактор), Н. Наскідашвілі, Р. Чантурішвілі
Виконавчий редактор
Натія Аміреджибі
Обкладинка
Тінатін Чірінашвілі
Компютерне
забезпечення
Маріам Ебралідзе
Ніно Вачеішвілі

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2007

უკრაინისტიკის ინსტიტუტი
Видавництво Тбіліського Університету, 2007
Інститут Українознавства ISBN 978-9941-13-012-0“

ვიმედოვნებ, მკითხველები და განსაკუთრებით კოლეგები ეროვნული და სხვა ბიბლიოთეკებიდან სურგრძელად მაპატიებენ ანოტაციის არასტანდარ-

ტული წარმოდგენისთვის.

მინდოდა, სწორედ ამ სახით გამომეხატა ურრმესი პატივისცემა გამოცემის ყველა მონაწილე პირებისა და ორგანიზაციისთვის.

დროა „გაზაფხულის“ ორიგინალსა და კიდევ ერთ თარგმანს აქვე შემოგთავაზოთ.

გაზაფხული

ტყემ მოისხა ფოთოლი,
აგერ მერცხალიც ჭყივის,
ბარში ვაზი ობოლი
მეტის ლხენითა სტირის.
აყვავებულა მდელო,
აყვავებულან მთები;
მამულო საყვარელო,
შენ როსღა აყვავდები?

1861 წლის იანვრის 28-სა,
პეტერბურღი

Весна

В діброві, де хилиться віточка, —
Ната ластівка, ясочка, ластя...
В саду виноград, як сиріточка,
плаче, ой плаче від щастя.
Долина струмками сполохана,
гори цвітуть верховіттям.
Вітчизно моя ти приКохана,
скоро ж покриєшся квіттям?
Переклав
П. Тичина

ვფიქრობ, „გაზაფხულის“ ილიასეული ხელნაწერის კიდევ ერთხელ ნახვაც არ იქნება ურიგო მკითხველისთვის, ამიტომ მასაც ვთავაზობთ.

და ეს ყველაფერი ვირტუალურად და უფრო ორიგინალურად შეგიძლია იხ. აქ: http://www.nplg.gov.ge/greenstone3/library/collection/video_file/document/HASHde5acdf5e08f95a442e4c0

ნუ გადადებთ. არაჩვეულებრივად გაფორმებული გვერდის მონახულების სიამოვნება გაქვთ წინ.

არანაკლები სიამოვნება გელოდებათ წინ ბატონი ოთარის ზემოხსენებული სტატიის იმ ადგილის წაკითხვისას, სადაც „გაზაფხულის“ ოლექსანდრ ლოტოცკისეულ თარგმანზეა საუბარი.

„აი ამ ჟურნალში დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის მიერ 1861 წელს პეტერგურგში დაწერილი ლექსის „გაზაფხული“ თარგმანი და, როგორც მინაწერიდან ჩანს, იგი თარგმნილი უნდა იყოს ო. ლ.-ის მიერ 1892 წლის 30 ოქტომბერს.

ილია ჭავჭავაძის ამ ორსტროფიანი ლექსის უკრაინულ თარგმანში შენარჩუნებულია ორიგინალის ზომა და რიტმი. შეიძლება ითქვას, რომ უკრაინულად აჟღერებული ილიას ლექსი შინაარსობრივად და ფორმითაც ძირითადად სწორად იმეორებს ორიგინალს, მაგრამ გვხვდება უზუსტობებიც. ილია ჭავჭავაძე ასე ამთავრებს ლექსს:

მამულო საყვარელო,
შენ როსღა აყვავდები?

ამ სიტყვებში გამოსჭვივის ქართველი მამულიშვილის გულისტკივილი იმის გამო, რომ ყველაფერი ყვავის ირგვლივ, ჰყვავიან მთებიცა და მდელოებიც, მაგრამ მისი სამშობლო დაჩაგრულია, მას თვითმპყრობელობის სუსხი არ აძლევს თავის აწევისა და მხრების გაშლის შესაძლებლობას. ავტორი ნეტარებით მოელის იმ დროს, როდესაც მამული, საყვარელი, თავისუფალი და ბედნიერი იქნება.

ილიას ამ სიტყვებს მაღალი იდეური დანიშნულება ჰქონდა.

როგორ გაიგო და გადაიტანა ეს აზრი მისმა უკრაინელმა მთარგმნელმა?

Чом же ти не розцвітаєш,
Бідна вітчизна моя?

ასე უწერია ო. ლ-ის.

ილია ჭავჭავაძე თავის ლექსში სამშობლო მხარის მიმზიდველ ბუნებას გვიხატავს, ხოლო ქვეტექსტში კი ხალხის ცხოვრების ტკივილებზე მიგვითითებს. ქართველი მგოსნისათვის დამახასიათებელი ეს ხერხი – მომხიბლავი ბუნების ფონზე მშობელი ერის ყოფის წარმოსახვა, კონტრასტები დიდებულ პეიზაჟსა და ხალხის ყოფას შორის, ავტორის პოეტურ სიტყვას გამოხატულების ძალას მატებს, უფრო ემოციურს ხდის.

მართალია, ო. ლ.-ის სწორად აქვს მიგნებული ქართველი პოეტის ლექსის ტონალობა, მისი განწყობილება, ავტორის პოეტური თვალთახედვა, თარგმანში იგრძნობა გაზაფხულის სურნელება და მიმზიდველობა, მაგრამ იმ პატარა „გადახვევით“, რომელიც ო. ლ.-იმ დაუშვა თავის თარგმანში, ერთგვარად შეიცვალა ავტორისეული მიზანდასახულობა.

ილია ჭავჭავაძე ხალხის მომავალზე წუხს და კითხულობს „შენ როსღა აყვავდებიო?“, ხოლო უკრაინულ ტექსტში აზრობრივი აქცენტი აწმყოზეა გადატანილი. თარგმანის ავტორი კითხულობს: „შენ რატომ არ ჰყვავიო?“

ილია ჭავჭავაძემ კარგად იცოდა ქართველი ერის მძიმე მდგომარეობა. მან მთელ რიგ თავის ნაწერებში მიგვითითა კიდეც მათზე. ილია ჭავჭავაძე თავის ლექსში საქართველოს იმდღევანდელი დაჩაგრული ყოფის მიზეზებს კი არ წამოსწევდა წინა პლანზე, არამედ ერთგვარად კითხვა-მოწოდებით მიმართავდა – შენ როდემდე უნდა იყო ამ დაჩაგრულ მდგომარეობაში და როდის ეღირსები თავისუფლებასა და დამოუკიდებლობასო.

სიტყვაში და აზრში დროის ამგვარი გადანაცვლებით უკრაინელმა მთარგმნელმა ერთგვარად შეასუსტა ილიას ლექსის იდეური შინაარსი, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მთლიანად თარგმანი კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს მკითხველზე“.

ს�ი ინტერვიუ

ნანა დემეტრაძე

ნიჭი შთამომავლობაში გრძელდება

მარიკა კვალიაშვილი – ცნობილი კომპოზიტორი, დიდებული მომღერლის,პირველი ქართველი ლოტბარი ქალის, მარო თარხნიშვილის, შვილიშვილია. მან მშვენიერი,სწორი და გამართული ენით, თავისი გენის წინაშე დიდი პასუხისმგებლობით დაწერა და გამოსცა წიგნი, ბებიის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ასევე გამოცემული აქვს პროზაული ნაწარმოებების კრებული. მისი მამა,კოტე კვალიაშვილი,იყო კინოსა და თეატრის ღვაწლმოსილი მხატვარი. ქალბატონმა მარიკამ მოამზადა და გამოსცა მამის მოღვაწეობის შესახებ წიგნი-კატალოგი და მოაწყო მისი ნამუშევრების დიდი გამოფენა. ამით მან ვალი მოიხადა წინაპრების წინაშე.

ეკა მამალაძე – ცნობილი საესტრადო მომღერალი, დიდი მომღერლის, ნანი ბრეგვაძის, ღირსეული ქალიშვილი და ახალგაზრდა ნატალია ქუთათელაძის დედა, რომელიც ოჯახურ ტრადიციებს აგრძელებს.

ია დავითაია – ცნობილი პედიატრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თავისი დედის გზის გამგრძელებელი (დედა – ქრისტინე თედიაშვილი - მაჩაბლისა, იყო იმდროინდელი სამხრეთ ოსეთის მთავარი პედიატრი)... დაახლოებით ოცდაათი წლის წინ მივედი მასთან ვიზიტით,ორი ბავშვით. მკითხა, აცრილები გყავსო? იმხანად, სამ ინფექციურ დაავადებაზე ერთი აცრა კეთდებოდა. გოგონა ძალიან ალერგიულია და მეშინია-მეთქი, – ვუპასუხე.

– ალერგიულს მეტი დაცვა სჭირდება, – განმიმარტა მან. დღეს კორონავირუსის პირობებში, როცა მე ასაკიც მაქვს, დიაბეტიც, გამახსენდა ქალბატონი იას რჩევა და პირველი შესაძლებლობისთანავე ავიცერი.

მზია ხეთაგური – საყოველთაოდ ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, არაერთი პრემიის ლაურეატი (მათ შორის – საერთაშორისო); ქართულ მწერლობაში შეტანილი წვლილისათვის და ოსი და ქართველი ხალხის დაახლოებაში გაწეული ღვაწლისათვის, დაჯილდოებულია წმინდა გიორგის ოქროს ორდენით საქართველოს პატრიარქის მიერ.

ამ ოთხ შესანიშნავ ადამიანს ერთო საერთო აქვთ – „სისხლის ყივილი“ – ისინი მშობლების გზას აგრძელებენ – არიან ტრადიციულებიც და თანამედროვენიც. ამიტომ ჩავთვალე, რომ მათი აზრი ყველასთვის საინტერესო იქნება ჩვენს ყოველდღიურობაზე.

1. საიდან იწყება ადამიანის შეგნებული ცხოვრება?

2. რას ნანობთ და რას არ ნანობთ?

3. რა მოგცათ და რა წაგართვათ ცხოვრებამ?

4. თქვენი ყველაზე სანუკვარი ოცნება და დიდი ტკივილი?

მარიკა კვალიაშვილი:

1. შეგნებული ცხოვრება არასდროს იწყება. ყოველი მომატებული წელი განვლილ წელს შეცდომად მიიჩნევს.

2. არც ერთ ჩემს გადაწყვეტილებას არ შევცვლიდი ჩემი ცხოვრების გზაზე.

ცხოვრებამ ყველაზე სათუთი სხეულის და სულის ნაწილი მომცა და, როგორც მომცა, ისევე წამართვა, მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ კვლავ ისეთივე სიყვარული დამიტოვა ნუგეშად.

3. მეოცნებე არა ვარ, რაც დავთესე, ის მოვიმკე ჩემი შესაძლებლობების შესაბამისად,რაც იქცა ჩემს სანუკვარ საქმედ.

4. ქალი, რომელიც შვილსა და შვილიშვილს კარგავს, დროთა განმავლობაში უფრო დიდი ტკივილი და მწუხარება ალბათ აღარ არსებობს, მათი არ დავიწყება და სულში ჩასახლება იქცევა შენს ნუგეშად. ისინი შენში, ისევ შენი სხეულისა და სულის ნაწილებად იქცევიან და შენშივე აგრძელებენ სიცოცხლეს.

ეკა მამალაძე:

1. ჩემი შეგნებული ცხოვრება დაიწყო როცა შვილები შემეძინა, როცა დედობა შევიგრძენი, მაშინ დაიწყო ჩემი ცხოვრების აღთქმის პერიოდი და დღემდის გრძელდება ეს პასუხისმგებლობა და ცხოვრებასთან ჭიდილი.

2. ბევრ რამეს ვნანობ, არის რისი გამოსწორებაც შეიძლება და არის, რასაც ვერ გამოასწორებ. სიკვდილს ვერაფერს მოუხერხებ, თორემ... დრო და მოთმინება ყველა შეცდომას ასწორებს. ასაკთან ერთად გამოცდილებაც გემატება და აზრიც გეცვლება – ყველაფრის დალაგება ხდება შესაძლებელი.

3. ცხოვრებამ სიცოცხლე მაჩუქა. შვილები მაჩუქა.

ყველაზე დიდი დანაკარგი, მაინც ადამიანის დაკარგვაა და აქაც მაინც მოთმინება და გაძლებაა მთავარი. ყველა გადაწყვეტილება მოთმინებით უნდა მიიღო და მაშინ არის სწორი.

4. ჩემი ოცნება უკვე შვილებზე მაქვს გადატანილი. განსაკუთრებით ნატალიზე... მისი გზა არის გასარკვევი, მეტი ოცნება იქით მაქვს...

პატარა ტკივილები ვცდილობ, ავიცილო, ყურაღება არ მივაქციო...

ადამიანის დაკარგვა ყველაზე დიდი ტკივილია. დროთა განმავლობასი ამასაც ვეგუებით, ვიტანთ. ასეა ჩვენი ცხოვრება მოწყობილი...

ია დავითაია:

1. ალბათ იმ მომენტიდან, როდესაც პირველ წარმატებას ან წარუმატებლობას წააწყდები. ეს შეიძლება მოხდეს ბავშვობაში მძაფრი შეგრძნებების გამო.

2. ვნანობ, რომ ჩემს შვილებს ვერ დავუთმე სათანადო დრო, რამაც მათ ბედზე საკმაო გავლენა მოახდინა.

არ ვნანობ, რომ დედაჩემის პროფესია ავირჩიე და ბედნიერი ვარ, რომ უამრავი ბავშვის სიცოცხლე გადავარჩინე.

3. ცხოვრებამ წამართვა მხოლოდ ახალგაზრდობა, მაგრამ მომცა სინანულის შეგრძნება, ამასთან, რწმენა იმისა, რომ არც ისე უსარგებლოდ მიცხოვრია და ასეთ რწმენას, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ჩემს ასაკში.

4. ყველაზე დიდი ტკივილი სამაჩაბლოს და აფხაზეთის დაკარგვაა და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებიც. მაწუხებს ჩვენი მოსახლეობის სრული დაუცველობა ეს ეხება ყველას, ვინც ამ პროცესებს მხოლოდ სათავისოდ წარმართავს.

რაც შეეხება ოცნებას, ვოცნებობ წარსულში დავბრუნდე, რათა შვილებზე განსხვავებული ზრუნვა შევძლო. ვოცნებობ განათლებულ საქართველოზე ყველა სფეროში, ეს განსაკუთრებით ეხება ახალგაზრდა მშობლებს, რომლებმაც უსათუოდ უნდა მიიღონ ბავშვის აღსაზრდელად საჭირო განათლება, სხვანაირად ჩვენი მომავალი საფრთხეში აღმოჩნდება. ასევე, ვოცნებობ საქართველო გაერთიანდეს ევროსაბჭოში, რაც, ჩემი აზრით, ყველაზე სწორი მიმართულება იქნება საქართველოს საკეთილდღეოდ.

მზია ხეთაგური:

1. ვფიქრობ, იწყება მომენტიდან, როდესაც ჯერ კიდევ ბავშვობის ასაკში გააცნობიერებ, რომ არსებობს სიკვდილი. ჩემს შემთხვევაში ასე მოხდა. უცებ გავიაზრე სიკვდილის გარდაუვალობა და ვიგრძენი, რომ მეკისრებოდა ისეთი ვალდებულებანი, რაც სიცოცხლეში უნდა მომესწრო.

2. ვნანობ, რომ შვილებს ვერ შეუქმენი ისეთი მომავალი, რომ დღეს მათთვის და ჩემთვისაც ცხოვრების სიმძიმე ამერიდებინა. თითქოს ყველაფერი გავაკეთე, რაც შემეძლო, მაგრამ უნდა გამეკეთებინა ისიც, რაც შეუძლებლად მეჩვენებოდა; ვერ გავიაზრე, რომ მომავალი სხვა მოთხოვნებს წაუყენებდა მათ. ამ „სხვა“ ცხოვრებისათვის ისინი ვერ მოვამზადე.

ვნანობ იმასაც, რომ ჩემი სიმართლისადმი ერთგულების გამო, პარადოქსია იქნებ, მაგრამ ზოგიერთ ახლობელ ადამიანს ვუღალატე და დღესაც ვღალატობ, იგივე სიმართლის სახელით. თან იმასაც ვნანობ, რომ ამას მაინც არ ვნანობ!

3. ცხოვრებამ მომცა ბევრი რამ, მაგრამ არ მომცა მთავარი – ბედი, ამაში დარწმუნებული ვარ! ანუ ყველაფერი მომცა, რაც ერთ ადამიანს კი არა, ათსაც ეყოფოდა, მაგრამ ჩემი უბედობის გამო ვერაფერი გამოვიყენე. ძირითადად, პრაგმატულ საკითხებს ვგულისხმობ – პრაგმატულობა ძალიან მნიშვნელოვანია ცხოვრების ასაწყობად. პრაგმატულობისადმი სრულმა ინდეფერენტულობამ წამართვა უზრუნველყოფილი მომავალი.

4. ჩემი ყველაზე დიდი ტკივილი ჩვენი ტერიტორიების დაკარგვაა და ამას დროებითს ვერ დავარქმევ. ყველა დროში ვკარგავდით ტერიტორიებს, მაგრამ მათი დაბრუნება ვერასოდეს მოხერხდა, ასე იქნება ახლაც – სამაჩაბლო და აფხაზეთი დაკარგულია. იმედი ამ რეალობას ვერ შეცვლის!

რაც შეეხება ოცნებას, ბავშვობისდროინდელ ცხინვალზე არც ვოცნებობ – მე რეალისტი ვარ, ჩემი რომანტიკული ბუნების პარალელურად. არ ვოცნებობ იმაზე, რაც, სამწუხაროდ, ოცნებად უნდა დარჩეს. ზღაპრები ბავშვობაშიც არ მიყვარდა და ვერც ახლა მოვიტყუებ თავს... ჩემი ოცნება მხოლოდ ის არის, რომ ოცნების სურვილი მქონდეს და მათი ასრულების იმედიც...

ჩემი არცთუ ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე მე მხოლოდ იმაში დავრწმუნდი, რომ დარწმუნებული არაფერში არ უნდა ვიყო... ამიტომ შესაძლებელია, ჩემი ეს უიმედობა ასე კატეგორიული არ უნდა იყოს და იქნებ მართლა დავიბრუნოთ ის, რაც წაგვართვეს, თუნდაც ამ ბედნიერებას მე ვერ მოვესწრო.

პოეზია

ნომადი ბაჩთაია



ზარებს

როგორ დამყვება მე თქვენი ხმები,
რაღაცნაირი თანაც ძალებით,
ზარები კი არ – თქვენ მგალობელი
ხართ ფრინველები სალოცავების.

თქვენ ერთნაირად უგალობთ ყველას,
ყველა ტკივილის თქვენ ხართ მძლეველი,
თქვენთვის ყველა დრო წელიწადისა
არის ყოველთვის განურჩეველი.

თქვენ გადამფრენი არ ხართ ფრინველნი,
არ გვაგრძნობინებთ თქვენს სიმარტოვეს,
ჩვენს სალოცავთა ეზო-ყურეებს
თქვენ არასოდეს არ მიატოვებთ.

როგორ დამყვება მე თქვენი ხმები,
რაღაცნაირი თანაც ძალებით,
ზარები კი არ – თქვენ მგალობელი
ხართ ფრინველები სალოცავების...

* * *

იცით, როგორ მომენატრა
თოვლის ნადნობი
ლებარდეს წყალი,
სხვა სახელი მას არა ჰქვია,
ყველაფერი სულ ეს არის.

მის ნაპირას, საღამო ხანს,
საოცარი რამე ხდება –
აღარაფრით არ მთავრდება
სურათების გადაღება.

მას თავისი სურნელი აქვს,
აგერ შენ და აგერ მე ვარ,
არასოდეს ის სურნელი
სხვა სურნელში აგერევა.

* * *

როგორ მინდა მოვეფეროთ,
როგორ იტევს გული ამდენს –
ქართლ-კახეთის ბაბოებს და
ქართლ-კახეთის მიხო-პაპებს.

თიხის ჯამით მისვამს მათი
სადღეგრძელო, შესულს ეშხში,
არაერთხელ მათ ნაჯაფარ –
ვარ ნამყოფი – ოჯახებში.

მათი ერთხელ შემხედვარე
ან რამეზე დაიჩივლებ,
ვენაცვალე მათ ეზო-კარს,
მათ ბომბორა შვილიშვილებს.

ასე დიდხანს ვეღარ გავძლებ,
მალე სურვილს ავისრულებ,
ერთხელ კიდევ თვალს შევავლებ
მათ დაკოჟრილ ხელის გულებს.

ერთხელ კიდევ, ერთხელ კიდევ
სიხარულით ავინთებ გულს,
ერთხელ კიდევ მე მოვისმენ
სიტყვა-პასუხს ო, მათებურს!..

როგორ მინდა მოვეფერო,
როგორ იტევს გული ამდენს –
ქართლ-კახეთის ბაბოებს და
ქართლ-კახეთის მიხო-პაპებს.

* * *

მინაწერი ივანე ჯაფარიძის წიგნზე:
„საქართველოს დედოზარი – ლევან გოთუა“

არავინ იცის, არავინ,
არც ერთმა იცის, არც ორმა,
რა საჩუქარი მოგვიძღვნა
ამ წიგნით მისმა ავტორმა.

აქამდე რად არ ვუწყოდი,
უფალო, ასე რად არის?
ყოფილა ეს რა ნატანჯი
ავტორი „გმირთა ვარამის“!

რამდენი დღეა, რამდენი,
რა განცდამ რომ არ მათოვა,
ამრია როგორ ამ წიგნმა
და როგორ დამიმარტოვა.

* * *

ვაჟა ჯიჭურიძეს

ახლა ერთ რამესა ვნატრობ,
მონა ვარ ერთი რამისა,
მომასმენინა გარმონზე
ნამღერი თუშის ქალისა!..
მომასმენინა გარმონზე,
ნამღერი თუშის ქალისა!..

გადამაქროლა აქედან,
მაცხოვრა სულ სხვა დროშია,
მანახა ერთხელ შენაქო,
მამყოფა ომალოშია!..
მანახა ერთხელ შენაქო,
მამყოფა ომალოშია!..

კიდევ ერთ რამესა ვნატრობ,
აი, რითა ვარ გართული,
            მომასმენინა თუშური
მე საუბარი ქართული!..
მომასმენინა თუშური
მე საუბარი ქართული!..

ფრიალოზედა ოდესღაც,
სუფრა რომ გვქონდა გაშლილი,
მანახა ნეტა, ის ბუდე
აგეურთაზე არწივის!..
მანახა ნეტა, ის ბუდე
აგეურთაზე არწივის!..
„ნეტავი იმას, ვინც მიყვარს,
ჩემსავით ვეყვარებოდე,
და მერე თუნდაც მთელ თუშეთს
ჭირივით ვეჯავრებოდე!
და მერე თუნდაც მთელ თუშეთს
ჭირივით ვეჯავრებოდე!“

ახლა ერთ რამესა ვნატრობ,
მონა ვარ ერთი რამისა,
მომასმენინა გარმონზე
ნამღერი თუშის ქალისა!..
მომასმენინა გარმონზე,
ნამღერი თუშის ქალისა!..

ნუშები რიკოთის გზაზე

გამოპარულებს ჰგავდნენ სახლიდან,
ცნობისმოყვარე ეგზომ თვალებით,
რიკოთის გზაზე, ჩუმათელეთთან,
ნუშები არასრულწლოვანები.

* * *

ვერ წარმოიდგენთ, ვით გავიხარე,
მამულო, ისემც შემოგევლები.
საქართველოში ისევ ყოფილან
„ვეფხისტყაოსნის“ გადამწერები.

დაიბადება თურმე გოგო და
კვლავ ძველებურად ზეიმს მართავენ,
საქართველოში „ვეფხისტყაოსანს“
თურმე მზითევში ისევ ატანენ.

ჩვულებრივად მიდის ცხოვრება,
ჟამთა დინებას არას აქნევენ,
საქართველოში „ვეფხისტყაოსნის“
გმირთა სახელებს ახლაც არქმევენ.

საქართველოში „ვეფხისტყაოსნის“
ო, გადამწერი თურმე ბევრია,
ქართველო კაცო,
ქართველო კაცო,
გადაგვარება არ გიწერია.

* * *

მე რომ ვირის შვილი ვნახე
ერთხელ ალავერდობაზე,
მსგავსი მისი არც არავის
არ უნახავს ქვეყანაზე.

ნეტავი მის დედას მშობელს,
ნეტავი მის აღმზრდელს ანდა,
ერთხელ წიხლიც არ უსვრია,
ბალახებში ის ძლივს ჩანდა.

ექსკურსიამძღოლი სადღაც
საუკუნეებში ჰქროდა,
არ მინახავს ქვეყნად რამეს
ყური ასე მოხდომოდა.

* * *

როგორ მიყვარს, როგორ მიყვარს,
ამ სიტყვებით როგორ ვთბები,
განა ბევრით, სამადსამით –
„ჭიშკრის სკამის მოხუცები!“

განა ამ მოხუცებისთვის
არ მქონია გული ღია,
შესიტყვება ესე ნატა
ვარადასგან გამიგია...

თემო ჭახნაჯია



ბავშვობა

ბუხარში ცეცხლი გუზგუზებდა,
ნაჭაზე ეკიდა კარდალა,
ბებერ ხეს კორტნიდა კოდალა
და ქარი დარბოდა კარდაკარ.

სკდებოდნენ ეკლის მუგუზლები,
ვიჯექი ვარვარა ღუმელთან.
ცა იყო საფიხვნო ღრუბელთა,
ბენზოხერხს მამა აღმუვლებდა.

ბალადებს ვსწავლობდი ზეპირად
და დედა ზეფირებს აცხობდა.
ხალისი იყო და განწყობა,
წარსულს გადავხედე აწმყოდან.

იქ, სოფლის ბოლოში, გზისპირას,
თოფს ვიღაც ორბიკენ ისროდა.
ბებია ხელთათმანს მიქსოვდა.
ქარში ჭრიალებდა ხის ოდა.

პირველად რომ ვიხეტიალე,
გალაკტიონის და ტერენტის
პოეზიის ულრან ტევრებში,
სად იყო მაშინ ინტერნეტი...

თითქოს უდარდელი ბავშვობა
იქცა მიტოვებულ სადგურად.
წიგნები, ლამპა და ნავთქურა,
ყოველი დრომ გაანადგურა.

იქ, სადაც მოლზე ვტანტალებდით
და გვქონდა რეზინის ბურთები,
მივყვები ფიქრის მატარებელს,
წუთით ბავშვობაში ვბრუნდები.

* * *

ჩვენმა დიდმა წინაპრებმა
არ დაყარეს ფარ-ხმალი,
სწორედ ამის დასტურია
ფეხზე მდგარი პარხალი!
ათასწლეულს გაუძლო და
დროებებსაც ავბედითს,
მწიგნობრობის კერა იყო
კურთხეული შატბერდი!
ვახ, რამხელა დრო გასულა...
ეპოქა დგას ახალი,
არ მსურს, ისე რომ დავბერდე,
მხნედ არ ვნახო პარხალი!
დახრულია დროის ეშვით
და მაინც შენახული,
სვეტები და ჩუქრთმები,
ჯამედ ქცეულ ხახულის!
დაიჩოქე, იქცეოდი,
ვაი, რომ ვერ მოგისწარ...
ხელი ველარ შეგაშველეთ,
გვაპატიე, ოპიზავ!

ლექსნაყოფები

სულში
პოეზიის ხე აღმომიცენდა,
რომელსაც ვრწყავ ხოლმე ცრემლის აიაზმით
და შთაგონების წყაროებით ვუნედლებ ფესვებს.
წიგნების კითხვით ნიადაგსაც ვუნოყიერებ.
როგორ ამაღლდა და გაიზარდა ასე ნელ-ნელა.
სულში რამდენჯერ გაიკვირტა ემოციით პოეზიის
ხე,
გამოისხა სევდის ფოთლები
და კაეშნისფრად აყვავდა,
რამდენჯერ ჩამოიხუნძლა
განცდის სტროფებით და სტრიქონებით,
იყო დრო, როცა საერთოდაც არ გამოუსხამს.
ვცდილობ დამწიფებას დაველოდო
და დალპობამდე დავკრიფო ლექსნაყოფები,
დავაწყო ფურცლის თაროებზე.
ადამიანები სხვადასხვაგვარად ზემოქმედებენ მასზე,
როგორც ნიავნი, ქარნი და გრიგალნი.
დავიწყების შაშვებს გადარჩენილი ლექსნაყოფები
პოეზიის ხიდან მოცვივა,
ხან ხვავრიელად, ხან კანტიკუნტად,
მე კი ვიჭერ და ვალაგებ ფურცლის თაროებზე,
საიდანაც შეუძლიათ აიღონ და დააგემოვნონ.
ზოგს ხურმასავით მწკლარტე გემო აქვს,
მოწყვეტის შემდეგ დრო სჭირდება ჩამწიფებისთვის.
ზოგიერთი გულაბი მსხალივით ტკბილია და
გემრიელი.
ჯანმრთელობას არცერთი არ ვნებს,
ყველას შეუძლია მიირთვას ჩემი ლექსნაყოფები.
პოეზიის ხე კიდევ იზრდება,
მთავარია, რომ არ დასჩემდეს უნაყოფობა,
გახმობამდე ჯერ კიდევ დროა.

ოკუპირებული სოფლის სევდა

ცაზე ჩანს ელვა, როგორც ნახმლევი,
ნისლები მთვარის ლამპარს ამკობენ,
უჩუმრად დგანან ძველი სახლები
და დუმილით ბევრს ლაპარაკობენ.

ძაღლი აღარ ჰყავს ეზოს დარაჯად,
სახლში ნიავი დადის ჩურჩულით,
ჩამსხვრეულია ყველა ფანჯარა,
ძირს უწესრიგოდ ჰყრია ჭურჭელი.

ვერ გადაურჩნენ ჭურვებს ჭურები,
გადაუარეს ვაზნარს ტანკებით,
ნეტავ ყურძნები, რას ჩურჩულებენ?
პატრონი არ ჩანს, მათი დამკრეფი.

კეცის ნატეხი გდია ბუხართან,
ჯვარდასმულ მჭადებს აცხობდნენ ერთ დროს,
ერთმანეთი კი ძლიერ უყვარდათ,
ნეტავ ის ხალხი სად გაქრა, ღმერთო?

სიჩუმე უზის დამტვერილ ტაბლას,
ექვსივე ჯორკო შეჭამა ჩრჩილმა.
ზოგი იმქვეყნად გაუშვეს ალბათ,
ზოგმა დარჩენას წასვლა არჩია.

დატოვეს მწარე ცრემლით მათ კერა,
ნაშრომ-ნაღვაწი მამა-პაპათა.
ეს კარ-მიდამო ვინ გადათქერა,
და მცხოვრებლები საით დაფანტა?

დაუკორტნიათ შაშვებს ძახველი,
ბარდები ფარავს ეზოს, ბლებიანს,
არც რამე ჩქამი, გადაძახილი,
არც მეცეცხლური მეზობლებია.

ცაზე ბრჭყვიალა თვლები ბრწყინავენ,
ნასოფლარის ცას ღრუბელი ჩასცდა,
უსათლო, გრძელი ხის ოწინარი,
დგას ანკესივით ჩაქცეულ ჭასთან.

მუხლჩაჩოქილი დგანან ოდები
და გასცქერიან სოფლის შარაგზას.
ოდებო, ნეტავ ვის ელოდებით,
— ხელისცახცახით, ვინც გადაგრაზათ?!

არ მოფრინავენ თქვენთან მერცხლები,
ბნელ ოთახებში ღამურებია.
თქვენგან წასულნი სხვაგან ვერ ძლებენ
და ალბათ მალე დაბრუნდებიან.

მაყვლის ლერწები გზაზე გართხმულან,
სოფლის შარაზე სიჩუმე დადის,
ვერაგი მტერი ავლებს მავთულხლართს,
ქართველებს გულში გვეზრდება დარდი.

განცდა მაქვს, თითქოს გულზე მესობა,
ყოველი ბოძი, იმ მავთულხლართთა,
გაუმაძღარ და ბოროტ მეზობელს,
უმეზობლობა სჯობია, მართლა...

მიდამოს აკრთობს ყვავის ჩხავილი
და მოწყენილი დგას ხის საყდარი,
ზარი ჰკიდია ჩამომხრჩვალივით,
სოფლის მოძღვარიც აღარსად არის.

ტაძართან ვხედავ ბზას, როგორც მლოცველს,
ირგვლივ კი მკვდარი საფლავებია,
წლების უნახავ საფლავთა ბორცვებს,
მწვანე ბალახი გადავლებია.

მავთულხლართიდან მოსჩანს გზაწვრილი,
შორს სახლები და ხოდაბუნებიც,
და ეკითხება მამას ყმაწვილი:
— მა, შინ ოდესმე, ხომ დავბრუნდებით?!..

სოფლის მოგონება

ცას კვამლით მიება ბუხარი,
ტაბლა დგას და ირგვლივ ჯორკონი.
წინკარში ლეკვების ბურხალი.
სექვთან ფოტოასლი ჯოკონდას.
თხმელის მუგუზლებზე კეცები,
თუშურ ქუდებივით მიყრილან,
ხტიან ცეცხლის ურა კვიცები,
დილამ მამალივით იყივლა.
ბებოს მოსწოლია ნაღველი,
კეცი გაუვარდა კინაღამ...
გულში ტკივილების ნაღვერდალს
დიდი მოთმინებით ინახავს.

სერზე ჭიხვინებენ ჭაკები.
აბოლებს ყალიონს ბაბუა.
მე არყით ავავსე ჭიქები...
და ორი ყლუპიც კი მაბრუებს.
სუყველამ მივირთვით საუზმე,
დრო მიუახლოვდა რვა საათს.
თითქოს ახლაც ვზივარ და ვუსმენ
ბუხართან ცეცხლის თბილ მასლაათს.
მახსოვს მთა, სოფელი, სიცივე,
კედელზე ბაბუის კიტელი,
უწმინდესი შუქით ციმციმებს,
სულში მოგონების კანდელი.

თარგმანი

ბაბილ დავთიანი



საქართველოს მწერალთა სახლის დარბაზში ცნობილი სომეხი პოეტის, მთარგმნელისა და რედაქტორის, გაგიკ დავთიანის 75 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა.

საღამოს ესწრებოდნენ: საქართველოში სომხეთის საელჩოს, სომხური სათვისტომოს, საქართველოს კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები...

ქართველი მწერლები, მთარგმნელები, მხატვრები, მუსიკოსები, პოეზიის მოყვარულები, ჟურნალისტები.

იუბილეზე გაგიკ დავთიანმა წარმოადგინა ორი ტომი, რომლებიც ახლახან გამოსცა გამომცემლობა „არმავმა“ („MULTIPLE VOIC“ – პოეტის ნაწარმოებები 17 ენაზე და მეორე – „101 პოეტი“, რომელშიც გაგიკ დავთიანის თარგმანებია შესული).

გაგიკ დავთიანს გადაეცა სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების „წლის საუკეთესო პოეტის“ საპატიო სიგელი.

იგი, ასევე, შემოქმედებითი მოღვაწეობისა და ქართულ-სომხურ ლიტერატურულ ურთიერთობებში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, მწერალთა კავშირის საიათნოვას პრემიით დაჯილდოვდა.

დაბოლოს, გაგიკ დავთიანმა დამსწრე ქართველი პოეტების შემოქმედება წაიკითხა. გთავაზობთ მის ლექსებს:

სიმღერის დაბადება

ალბათ გინახავთ,
როგორ
წვეთავს
კლდის ქიმზე წყალი...

როგორ თანდათან
ნელა-ნელა
გროვდება წვეთი,
როგორ იზრდება,
იწელება
და შემდეგ... წყდება.

ალბათ ამგვარადა იბადება
სიმღერაც ქვეყნად...

მაგრამ რა არის
იგი ძალა,
ხელს რომ უწყობს
წვეთის მოწყვეტას...

ქვეყნად უდროოდ შობილ სიმღერებს
უდროოდვე ელით სიკვდილი...

იმ ღამით

არ ვიცი,
ზეცა ვარსკვლავებით ჟიკჟიკებდა თუ
მძიმე წკვარამი არ იძვროდა იმ ღამით?!
იქნებ
ირგვლივეთს ღამის დაჰფენოდა შუქი ნათელი?! –

ძილში ვიყავი
და... ხატება
არ მახსოვს მისი...

უცახცახებდა ხმა და
სუსტად მეყურებოდა:
უცახცახებდა,
პარკინსონით სნეულს ვით ხელი...

მე მისივე ხმით
ვერ შევიძელ მისი ჩახატვა,
ხმა მაცდურია,
ძილში ვიყავ...

მოვიდა იგი
და როგორც ზღაპრად ხდება ზოგჯერ,
სამი რამ მითხრა:

კალიფორნიელ ჩუქჩასავით
წყალში თამბაქოს
ნუ დაალბობო და მის წვენში ნუ ჩაიხრჩობი,
ფუჭი საქმეა,
ვერ შეიცნობ ასე ჯადოქარს.

და კიდევ ერთი –
შვილი მშობლის დანაშაულზე
პასუხს არ აგებს! –
მშვიდად, მშვიდად
მშვიდად იყავი
(უმალ ვირწმუნე, ისე მშვიდად მმოძღვრავდა იგი!..)

და ბოლოს,
ჩემგან როცა უკვე შორს იყო,
წამით
დავიწყებოდა თითქოს რაღაც,
მომიბრუნდა და
მითხრა:

კეთილი სურვილებით როცა აცილებ
დღეს ნებისმიერს, უკვე განცდილს,
ქცეულს მყობადად,
დაიმახსოვრე ისიც,
იმ დღეს საკუთარ თვალში
ჩემო ძვირფასო, თუ რამდენჯერ დაპატარავდი...

თარგმნა ბაღათერ არაბულმა

თარგმნა გივი შაჰნაზარმა

იუბილე

ნინო ქუთათელაძე

სიყრმიდან მოაქამომდე

ნინო ქუთათელაძე სიყრმიდანვე ეზიარა ქართული სიტყვის მადლსა და ძალას, ამიტომაც არის მისი ყოველი სიტყვა მადლიანიც და ძარღვიანიც, იქნება ეს პოეზია, პუბლიცისტიკა, ნოველები თუ თარგმანები; იგი სრულიად ახალგაზრდა შეება იმ მძიმე უღელში, ქართული მწერლობა რომ ჰქვია და დღემდე ერთგულად ეწევა ჭაპანს.

ასე, სწავლასა და შრომაში, შრომასა და სწავლაში გაფრინდნენ წლები; გაფრინდნენ, რადგან ნინოს სიმართლითა და სიყვარულით სავსე გულს წლები ვერ დაამძიმებს. აი, სიმართლის გამო, საკუთარი ღირსების დაცვისას კი, ალბათ ბევრჯერ ჩავარდნილა მძიმე მდგომარეობაში. 2012 წელს გამოცემული წიგნის „ლექსები და პოემები“ წინასიტყვაობაში, „მცირე აღსარება“ რომ დაურქმევია, წერს: „მაღალო ღმერთო, მომიტევე, შემინდე, მაპატიე, თუ რამ შენი უნებური ჩავიდინე! ამქვეყნად ყველაზე ძვირფასი, რაც გამაჩნია, საკუთარი ღირსებაა. ღირსების დაცვის სურვილი ხშირად ამპარტავნებაში გადაიზრდება ხოლმე, რა ვქნა, ასეთი ვარ და ესეც ჩემი ცოდვაა“.

განა ეს კი ღირსება არ არის, როცა გრძნობ და საჯაროდ გამოგაქვს შენი ტკივილი, ცოდვად რომ მოგინათლავს. ნინო ქუთათელაძე ღირსეული ადამიანია და ასეთ შემოქმედებასაც ქმნის. ალბათ ამიტომ არის, რომ მისი ნაწერები ღირსეულ მკითხველს იმსახურებს. მადლობა უფალს, რომ მის უამრავ წიგნს, პუბლიკაციას, პოემას, თარგმანს ჰყავს ღირსეული მკითხველი.

ამ შემოქმედის ბუნების უფრო ნათლად აღსაწერად ისევ დასახელებული წიგნიდან „ლექსები, პოემები“ ერთი ლექსის „მიჯნაზე“ ბოლო ნაწილს მოვიტან:

ცხოვრების ჭუჭყსა და ლაფში
ჩამხრჩვალ სულებს დავეძებ,
დავეძებ დაღლილთა და
უმიზნოდ მოხეტიალეთ,
დავეძებ მგმინავთ, მგლოვიარეთ,
უსასოებს, უიმედოებს
და მინდა ვუთხრა, რომ მიყვარხართ,
სულის შეძვრამდე მიყვარხართ, რადგან
თქვენ იმ დროში დაიბადეთ,
რომელსაც ერთად შევარქვით –
ც ხ ო ვ რ ე ბ ა!

ალბათ, სწორედ ეს არის ის ჭეშმარიტი სიყვარული, რომლითაც შემოქმედ ადამიანს მოყვასი უნდა უყვარდეს.

ვულოცავ ნინო ქუთათელაძეს 70 წლის იუბილეს, ვულოცავ ჟურნალ „ანეულის“ სახელითაც და ვუსურვებ, კიდევ დიდხანს იღვაწოს ქართული სიტყვისა და მოყვასის სიყვარულის უკვდავსაყოფად.

ნინო არსენაშვილი

როცა უკუიწევს ღამე შავბნელი

– ძია, შენ კარგი ძია ხარ? დედიკომ მითხრა, გუშინ ცუდმა ძიებმა მამიკო წაიყვანეს. რატო, ძია, რატო? მამიკომ რამე გააფუჭა? – ეკითხებოდა საწოლზე გალასტული ხუთიოდე წლის გოგონა უცხო მამაკაცს, თან ხელები მაღლა აეწია და რკინის საწოლის საზურგეს ჩაფრენოდა.

– ეგრე რათ ეჭიდები საწოლსა? ჩემი გეშინია? – დაუყვავა ჭაღარაშერეულმა ჭრელთვალებს მამაკაცმა.

– არა, დედიკომ მითხრა, სახეს თუ მოიფხან, ლამაზი აღარ იქნებიო. – ამოიგმინა სიცხით გათანგულმა.

– სახადია? – ჰკითხა ისევ ჭაღარაშერეულმა კაცმა იქვე მდგარ ქალს.

– დიახ, ჩუტყვავილაა.

– მოემზადეთ, მოემზადეთ, ბევრი არაფერი წამოიღოთ! მხოლოდ ის, რაც თქვენ და ბავშვებს გჭირდებათ.

ქალი შებრუნდა, ორიოდე წლის ფეხშიშველ ბიჭუნას ჯერ წინდები ჩააცვა, მერე პაწია კალოშებში ჩადგმული ფეხსაცმელი. ბიჭი ტიროდა, დედას არ ემორჩილებოდა. ქალი ჩქარობდა, ნაჭრის დიდი ჩანთა გადმოიღო თახჩიდან და ჭინჭებით პირთამდე გაავსო.

– დედიკო, სად მივდივართ? – ეკითხებოდა ქალს საწოლზე მწოლიარე.

– არ ვიცი, შვილო, არ ვიცი!

გოგონას თვალები წითლად უპრიალებდა. ეტყობოდა, სიცხე უწევდა და თან სუნთქვაც უჭირდა. უკვე ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობდა. უცხო ძიამ გოგონას დახედა. ის ისევ ჯიუტად ჩასჭიდებოდა საწოლს, ხელს არ უშვებდა. მართლაც, ლამაზი ბავშვი იყო, ჭკვიანი დიდი თაფლისფერი თვალებით და თაფლისფერივე ხვეული თმით, სახეზე წითლად უღუოდა გამონაყარი, მაგრამ მას მყარად გადაეწყვიტა, ხელი არ დაეკარებინა აქა-იქ დახეთქილ-დაწყლულებული პატარა წითელი ძიძიბებისთვის, რაც უნდა საშინლად შეეწუხებინა ქავილს.

– ადექი, მედო, უნდა ჩაგაცვა! – მიუახლოვდა ბავშვს ქალი.

– მერე სახეზე რომ მომედოს კაბა?

– არა უშავს, მერე რა მოხდა?

— ლამაზი რომ აღარ ვიქნები?

— იქნები, იქნები! — სევდიანი ღიმილით უპასუხა დედამ.

— ჩაცმისას რო გამეკაწროს?

— ნუ გააწყალე, გოგო, გული! — ხმას აუწია ქალმა.

უცებ ოთახში ახალგაზრდა კაცი შემოვიდა, ხელში იარაღი ეჭირა:

— ლევონ სარქისოვიჩ, ვაგვიანებთ, ხომ არ დაგეხმაროთ?!

— იარაღი შეინახე! ვერა ხედავ, აქ ბავშვები არიან!

— ლევონ სარქისოვიჩ!..

— წადი, ეს ჩანთა წაიღე!

ახალგაზრდამ ჯერ კიდევ გახსნილ ჩანთას ხელი დაავლო და მანქანის გადახურულ საბარგულზე შეაგდო.

ქალი გოგონას აცმევდა. ბავშვი აალებული თვალებით შეჰყურებდა დედას. მან შუბლზე ხელი მიადო პატარას. „არა, ვერ წავიყვან! ვინ იცის, სად გადაგვკარგავენ? გზაში მომიკვდება“... — ფიქრობდა ქალი. ლამის კედლისთვის ეხალა თავი და აქვე დაემთავრებინა სიცოცხლე. თან ქმარზე ბრაზობდა — „რა ჯანდაბის პოლიტიკა აუტყდა წვრილშვილის პატრონს?! რა ვქნა, მე რა ვქნა ეხლა? იმან არ გაიხაროს ჩვენი ცოდვით“! — და ენაზე იკბინა — „ნეტავ ეს არ მეთქვა! არაფერი დამართონ ინ საცოდავს“! — გამშრალი თვალები ჯერ მოენამა, მერე კი ნაკად წამოვიდა და წამოვიდა ღვართქაფი.

პატარა ბიჭი ხელში აიყვანა კაცმა, თვალებში ჩახედა. მას თვალები ბრაზითა და სიჯიუტით ჰქონდა სავსე, ტუჩები მაგრად მოეკუმა და ჯიქურ, კაცურად შეჰყურებდა მტერს, დიახ,მტერს, რადგან გრძნობდა, რომ კარგ საქმეზე არ იყო მოსული ეს ძია.

ქალმა გოგონას პალტო ჩააცვა, დიდი თავშალიც შემოახვია თავსა და ბეჭებზე. მერე ზურგზე მაგრად გაუკრა. ბავშვი უკვე ლაპარაკს ვერ ახერხებდა. დედა გაბეცებული უყურებდა შვილებს. ერთხანს შუა ოთახში გაჩერდა, ცალი ხელი ჩანთას მოჰკიდა, მეორე — ქალიშვილს და თან გაჰყვა დაუპატიჟებელ სტუმარს. კარი უბრალოდ გაიხურა, არ ჩაუკეტავს. ეზო მოათალიერა. შენიშნა, ფარდებსა და დარაბებს მიღმა როგორ იმალებოდნენ მეზობლები; აივანზე მდგარი ანა ბაბო უჩუმრად იწმენდდა ცრემლებს.

სისხამი დილა იყო. ფქვილივით გადაფრქვეოდა ცას ნათელი; აქა-იქ ვარსკვლავები ისევ ციმციმებდნენ,უგულოდ,ცივად, მკრთალად ანათებდნენ საკუთარ თავს და ისიც იმიტომ,რომ ერთმანეთისთვის დაენახვებინათ, აქა ვართ, აქ და გაქრობას არ ვაპირებთო. იქნებ უფრო იმიტომ, რომ თავს ირწმუნებდნენ,არ მოვწყდებით,ხვალაც ვიკიაფებთო.

კაცმა ცას ახედა, „სადაცაა ინათებსო“, — გაიფიქრა. მერე იმ მოხუცს გახედა, მალვით რომ იწმენდდა ცრემლებს და თავისი ბაბო გაახსენდა, კეთილი ჭრელთვალება ქალი, რომელსაც ჯიბეუბე სულ ტკბილეულით ჰქონდა სავსე, შვილიშვილებისთვისა და მეზობლის გოგო-ბიჭებისთვის რომ ეამებინა. მანქანის საბარგულზე ფეხზე მდგარი ბიჭუნა ისევ აღნავლდა, გოგონა ძელსკამზე კვნესოდა. ქალიც უნდა ასულიყო და დაიძვრებოდნენ კიდეც, მაგრამ მოულოდნელი რამ მოხდა. ქალმა ძელსკამზე მწოლიარე გოგონა ძირს ჩამოათრია, მიწაზე დასვა და შემდეგ ბიჭსაც დაავლო ხელი.

— თქვენ აქ რჩებით! — მკაცრად უთხრა პატარებს.

გოგონას გაპროტესტების ძალაც არ ჰქონდა, უბრალოდ, ჩაქინდრულითავი წამოსწია და საშინელების მოლოდინში ფართოდ გაახილა თვალები. ის შეჭაღარავებული მამაკაცი წამოხდა სკამიდან, დედას ბიჭუნას გადმოყვანაში მიეხმარა და ხმამაღლა დაიყვირა:

— გასწით აქედან, დაიკარგეთ, ვითომ არც ყოფილხართ!

— რას აკეთებთ, ლევონ სარქისოვიჩ?!

— ვეღარ ვუძლებ ამ ბავშვების საცოდაობას! შენი ხმა არ გავიგო! შენ ადგილზე დაჯექ!

მთელ ეზო გარეთ გამოეფინა. ანა ბაბომ აღნავლებულ და შეშინებულ ბიჭს დაავლო ხელი; ქეთინომ ავადმყოფი მედიკო გადაიწვინა მკლავზე; ლუარსაბმა ჩანთები ამოიღლიავა და თავის სახლში შეარბენინა.

მხოლოდ ქალი იდგა გაოგნებული, ამდენ ჯაჯგურში თავიდან შალი ჩამოსცურებოდა, შავი თმა გაშლოდა და გასწეწოდა, თვითონ სიცივისაგან გალურჯებულიყო და თაფლისფერი თვალები ერთ ადგილს მისციებოდა. გუშინწინ სკოლაში ნათქვამი უტრიალებდა გონებაში: „ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახვათა უღმრთოთასა და გზასა ცოდვილსა არა დაადგა“... „ჰოი, ცოდვილო, იცან თავი შენი და შენცა ადრე ჰყავ მოქცევა ცოდვისაგან“...

რატომ, რატომ გაახსენდა ახლა ეს?!

იქნებ ეს შეჭაღარავებული კაციც იმ ავლაბრელი სომხის ქალის შვილთაშვილი იყო, ავადმყოფ, დაუძლურებულსა და სამშობლოსათვის თავგადადებულ მეიგავეს რომ უპატრონა.

ფრთხილად, ომია!

წვიმდა და წვიმდა, თითქოს ცას პირი მოერღვა და ანგელოზთა ნაბან წყალს უწყალოდ ასხამდა თბილისის ქუჩებს. ხან გაახშირებდა, ხან ჭვრილად სცრიდა. ქალაქელებს წყალდიდობის ეშინოდათ. ჯებირები კი ამოუშენეს მტკვარს, მაგრამ რა ჯებირი შეაკავებდა მომსკდარ წყალს?! წყალს კალაპოტი და სადინარი სჭირდება, რომ მდინერებდეს და აცოცხლებდეს გარემოს.

ოჯდა თავისთვის გოგი და გაჰყურებდა გუბურებში მოწანწკარე წვეთებს, თითქოს მათი ხმაც კი ესმოდა, გამაყრუებელ-სევდიანი ხმა. ომში არ წაიყვანეს, ხალხის მტრის შვილი ხარო, არ ენდვნენ, თავისი სამშობლოს დასაცავად არ გაუშვეს...

დეიდაშვილებიც იქ იყვნენ, ბიძებიც, თვითონ კი მხარ-თეძოზე წამოწოლილს უნდა ესწავლა და ეწვალა უნუგეშობით. დედამ კი გაიხარა, უკან რომ მოაბრუნეს. მაგრამ თვითონ სინდისის ქენჯნა არ აძლევდა გახარების ნებას. მართლაც და, რატომ უნდა დაღუპულიყო დიადი საბჭოეთისთვის? მას თავისი საქართველო ადარდებდა, „აგერ მთებში არიან და გადმოსვლას გეგმავენო. ეს ჰიტლერიც ვერ დაეტია თავის ქერქში?!. არა, მსოფლიოს დაპყრობა მოინდომა. მოინდომა და წააწყდა თავისნაირს. ზიზღმა და სიჯიუტემ დაღუპა ქვეყნიერება, ზიზღმა და სიჯიუტემ“. — ფიქრობდა თავისთვის გოგი.

თითქოს წვიმის წვეთები უჭედავდნენ თავში ამ საფიქრალს. წვიმაზე გაბრაზდა და თან ისე გაბრაზდა, რომ ფანჯრის რაფას ხელები დაჰკრა და ადგილიდან წამოფრინდა. წამოფრინდა და წვიმაში გავარდა. მაგრამ თითქოს ხელი აიქნია ვიღაცამ, თითქოს ბიჭის გაბრაზებამ შეაშინაო, უკანასკნელმა წვეთებმა გაიბრძოლეს და შედგნენ. წვიმამ გადაიღო, საფიქრალსაც გზა-კვალი აებნა და უკან-უკან წახოხიალდა.

ფეხსაცმელი გუბურებში აჭყლოპინ-აჭრიალდა. უნივერსიტეტისკენ დაიძრა ბიჭი, იქნებ ლექციებისთვისაც მიესწრო. სწრაფად მიდიოდა, უკანმოუხედავად. წინ რაზმიკა შემოხვდა, მიესალმა და, როცა ოდნავ გასცდა, მიაძახა:

— გოგიჯან, იქით არ წახვიდე, მარიაკები არიან!

გოგის ყურადღება არ მიუქცევის რაზმიკას „ბჟუტურისთვის“, გზა განაგრძო და მხოლოდ მაშინ მიხვდა მეზობლის ნათქვამს, როცა თეთრ-ლურჯი ფართო საყელოთი დამშვენებული ფორმიანი მეზღვაურების წინ აღმოჩნდა. როგორც კი გოგი დაინახეს, ქამრიდან ორლესულები დააძვრეს.

- Ах, сволочь, мы там кровь пролмваем, а вы здесь прячетесь![1] — და იმისთანა გინება მოაყოლეს, ყურში არ შეიშვებოდა.

გოგი გახევდა. კი გაეგონა, მაგრამ საკუთარი თვალით არ ენახა საზღვაო პატრულის თარეში.

ხალხი შეიკრიბა. უმთავრესად ქალები და მოხუცები იყვნენ. ან კი სად ნახავდი ახალგაზრდებს ომიანობისას?! ქალებიც და ვაჟებიც გაკრეფილები იყვნენ თბილისიდან. ვინც ქალაქში დარჩა, ისინიც მეომრებს ემსახურებოდნენ, ან ომისთვის პროდუქტებს ამზადებდნენ.

— ერთი ყავარჯნიანი ჭაბუკი გოგის უყვიროდა:

— გაიქეცი, გაიქეცი! ამათ დანდობა არ იციან!

გოგი მილურსმულივით იდგა ერთ ადგილას, ფეხს არ იცვლიდა, თითქოს სასჯელს იხდიდა იმისთვის, რომ იქ არ იყო, სადაც მისი მეგობრები სისხლს ღვრიდნენ, გაავებულ თავდამსხმელებს იგერიებდნენ, თანამებრძოლებს გაჭირვებაში არ ტოვებდნენ, სიყვარულსა და სითბოს უნაწილებდნენ. მხოლოდ მაშინ დახარა გოგიმ თავი, როცა ცეცხლმა დაკვესა მის წინ მდგარი მეზღვაურის თვალებიდა და ისიც იმიტომ, რომ მოქნეული დანა აეცილებინა. იმ ჭაბუკმა, გოგის გაქცევას რომ ურჩევდა, ყავარჯენი იარაღივით მოიმარჯვა და კოჭებში დასცხო ხელდანიანს. მეზღვაურმა ცალ მუხლზე ჩაიჩოქა. მერე კი გამშველებელს მიუბრუნდა:

— Мы тебя не тронем, брат, ты свое отвоевал![2]

თავდმსხმელმა კი წამოდგომა სცადა და კვლავ მოუქნია ორლესული გოგის. ამ დროს სად იყო და სად არ იყო, გოგონა ჩახტა მათ შორის. თავშალი მხრებზე ჩამოვარდნოდა, თმა გასწეწოდა, თვალები გიჟივით უელავდა, თან ყვიროდა:

— გოგი, წადი აქედან, წადი!

წამოდგომისას მეზღვაურის მიერ მოქნეულმა დანამ თვალი დახამხამებაში გაიზუზუნა ჰაერში და გოგონას ზურგს დაეძგერა. ხალხი ჯერ გაირინდა, მერე პატარა ქალს ეცა. გოგის ზაფრა დაეცა, მუხლები მოეკვეთა და ზედ დაემხო გოგონას:

— ნანო, ნანო! — ღრიალებდა და თავზე ხელს უსვამდა. — ის ჯერ თხუთმეტისაა, ნუთუ მე უნდა შემეწიროს!.. დაიკო, ჩემო ლამაზო, ჩემო საყვარელო, ნანო, ნანო! — ცრემლს ვერ იოკებდა ბიჭი.

ვიღაც ჭაღარა ქალმა ხალხის ტალღა გაარღვია, სათვალე მოიმარჯვა და გოგონას დახედა:

— გამჭოლი ჭრილობაა! გოგო ისეთი სიფრიფანაა, ეს გასაკვირი არც იყო. როგორც ჩანს, გული აქვს დაზიანებული... ჩქარა, ჩქარა! საავადმყოფოში! იქნებ გადარჩეს!

ნანო სისხლის გუბეში ცურავდა. ნაწვიმარ ქვაფენილზე წითელი ყვავილივით ეგდო და აღარ სუნთქავდა.

როცა გოგიმ თვალები გაახილა და ხალხს თვალი მოავლო, მეზღვაურები აღარსად ჩანდნენ. დანა... დანა კი სიკვდილის ანგელოზივით ბორდიურთან მიყრდნობილი სისხლი ცრემლებით ტიროდა: „ნანო, შე საბრალო, ნანო, ნანო!“

1. შე არამზადა, ჩვენ იქ სისხლს ვღვრით, თქვენ კი აქ იმალებით!

2. შენ ხელს არ გახლებთ, ძმაო! შენ შენი წილი უკვე იომე!

საკუთარ თავთან მიახლოება

ბატონი ანდრია ორმოცდაერთს იყო მიღწეული, როცა ომიდან დაბრუნდა. ყველა ბრძოლა გადაიტანა, სტალინგრადიდან ბერლინამდე იარა. თავისი სანიტარული მატარებელიც სულ თან ახლდა. ჭრიდა და კერავდა დაჭრილ-დაფლეთილებს, ადამიანები უნდა გადაერჩინა. იმ უბედურებაში ნარკოზი და ტკივილგამაყუჩებელი ვიღას ახსოვდა?! საოპერაციოში ღრიალი და გნიასი ისმოდა. მათარით სამოგონს ჩაასხამდნენ ხოლმე დაჭრილებს და მოურიდებლად კვეთდნენ სხეულებს.

ერთხელ თვითონაც დაიჭრა, უფრო სწორად, ნაღმზე აფეთქდა ბელორუსიაში. მაშინ მოკვეთეს

კოლეგებმა ფეხი. ახლა პროთეზს ეყრნობოდა და შტორმში მოხვედრილი მეზღვაურივით ქანაობდა.

იმ ღამეს არც კი ეძინა, სულ აფეთქებები და მოახლოებული ტანკები ესიზმრებოდა. დაღლილ-დაქანცული წამოდგა საწოლიდან, ჩაიცვა და საავადმყოფოსკენ გაემართა. უკვე საღამოს ოთხ-ხუთი საათი იქნებოდა, როცა მამაკაცმა ხელზე გადაწვენილი ახალგაზრდა შემოიყვანა. ახალ-გაზრდა უგონოდ იყო, ვიღაცას სასტიკად ეცემა. შეშფოთდა ბატონი ანდრია.

— ეს ჩვენი „გოგო“ არ არის? — სარკასტულად წამოიძახა ირაკლიმ.

— ჰო, ეგ არის! ვერა ხედაც, ფილთიკოზის „ჩულქები“ აცვია?! — დაეთანმა მეორე.

ანდრო ღამის თორმეტ საათამდე არ მოს-ცილებია ავადმყოფს, ჭრილობები გაუსუფთავა, გადასერილ წვივზე ნაკერები დაადო, შეუხვია. როცა საპროცედუროდან გამოვიდა, უცებ ირაკლის, მორიგე ექიმის ხმა შემოესმა:

— რაღაც მეტისმეტად ეფერებოდით, ხომ არ მოგეწონათ ჩვენი გოგო?!

— სილა არ გამომტყუო, ჭაბუკო! — რისხვით სახე წამოენთო ექიმს. შემდეგ მედდის სკამზე ჩამოჯდა, დამშვიდდა, ხელის თითები დაასვენა და ირაკლი თავისთან მოიხმო.

— რას ერჩი, ბიჭო, ამ წითელპერანგა ბიჭებს? დაგიშავეს რამე?

— უჰ, რომ შემეძლოს, სულს ამოვხდიდი მაგ კაცთა მოდგმის შემარცხვენლებს, ბოზებს! — ახლა უკვე აღშფოთებით შეჰყვირა ირაკლიმ.

— მოიცა, მოიცა... ეგენის ხომ ადამიანები არიან! თავისთვის თუ დადიან, შენ რა გაკლდება, კაცობა თუ სინდის-ნამუსი?! თან ექიმი ხარ, ესეც არ დაგავიწყდეს!

როცა ბატონი ანდრია ლაპარაკს იწყებდა, მთელი განყოფილება შემოეხვეოდა ხოლმე. ახლაც ასე მოხდა, მიუხედავად იმისა, რომ შუაღამე გახლ-დათ. მოკლედ, ვინც ჯერ კიდევ საავადმყოფოში იყო, ვისაც სახლში წასვალა შეაგვიანდა, ყველა იქ გაჩნდა.

— ბატონო ირაკლი, ოდესმე გაგიგონია „ან-დროგენის“ შესახებ? — განაგრძო ანდრიამ, — არა! წითელპერანდა ბიჭები ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთსა და რომში იყვნენ. ჰო, აი, პლატონი გვიყვება, რომ ოდესღაც ადამიანები ორარსებიანნი ყოფილან — მთლიანნი, ანუ თავის თავში „ანსა“ და „იანს“ აერთიანებდნენ. წარმოიდგინე სიამის ტყუპები! თუმცა იმ განსხვავებით, რომ მათ ოთხი ხელი, ოთხი ფეხი, ორი სარცხვინელი და ერთი თავი ჰქონდათ, ანუ ერთ სხეულში იყო მამაკაცი და მამაკაცი, მამაკაცი და ქალი, ქალი და ქალი, ანუ ანდროგენი. შემდეგ ისინი ზევსმა გაჰყო და ახლა ერთმანეთს დაეძებენო.

თქვენ სრულიად მართალი იქნებით, თუ მე-ტყვით, რომ ეს, თქვენს ენაზე რომ ვთქვათ, „ბლე-ფია“, მაგრამ იქნებ მართალია, ან იქნებ სულაც იმისთვისაა გამოგონილი, რომ ადამიანმა ადამიანი შეიყვაროს და არა მისი ეროტიკული ზრახვანი.

მართალია, ჩვენი სარწმუნოება კრძალავს მამათმავლობას და დიდ ცოდვადაც თვლის ერესს. დიახ, ისინი ცოდვილნი არიან და ისევ მაგრამ... პლატონი იმასავ ამბობს, რომ მშვენიერება ნაყო-ფიერებაშია და თუ მამათმავლების ურთიერთობას ნაყოფი არ მოსდევს, ეს სიმახინჯეა; სიმახინჯე კი არც ერთ ღმერთს, ზევსიდან მოყოლებული ქრისტემდე, არ ჰყვარებია არასოდეს.

სიმახინჯე სიმახინჯეა ყველა დროში და ყველ-გან, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას გძულდეს სიმახინჯე და არ გიყვარდეს ზოგადად ადამიანი, მითუმეტეს თუ „ესკულაპი“ ხარ.

— „წითელპერანგა ბიჭები რომ ახსენეთ, ეს რაღაა? — ჰკითხა სანიტარმა გოგონამ.

— ჰო, ჩემო კარგო, ძველ თბილისში ასე ეძახდნენ იმ ბიჭებს, რომელთაც ეროტიკული ურთიერთობა ჰქონდათ ზრდასრულ მამაკაცებთან, ვაჭრებთან, კინტოებთან... სიმღერა მაინც არ გაგიგიათ — „ერთი ბიჭი დამეკაგა წითელპერანგა“? ... ეს სიმღერა სწორედ იმის დასტურია, რომ მამაკაცს სიგიჟემდე უყვარდა თავისი ეროტიკული მეგობარი. ასეთი ბიჭები დღევანდელივით თხელ წინდებსა და მაღალქუსლიან ფეხსაცმელს კი არა, წითელ პერანგებს ატარებდნენ, რაც მათ სხვათაგან გამო-არჩევდათ.

მომავალში რა იქნება, არავინ იცის, მაგრამ მეც შენსავით მშვენიერება მიყვარს, ჩემო ირაკლი და არა სიმახინჯე, გადახრა. თუმცა არც ჩენი და არც შენი გადასაწყვეტია, ვინ როგორ დაისაჯოს, ეს უფლის ნებაა! მე და შენ კი ჩვენი საქმე ვაკეთოთ დაუმადლებლად.

ჰო, კიდევ... შენ ერთი საშინელი სიტყვა ახ-სენე — „სულის ამოხდა“. ასეთი კონსტრუქციით ეს ცნება მხოლოდ ჩვენს ენაში არსებობს და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი ქვეყანა ღვინის სამ-შობლოა. ოდითგან ასე იყო: როცა ქართველი კაცი ყურძნის წვენს ქვევრში ჩაასხამდა, ვიწრო ხვრელს ტოვებდა საგოზავში, რომ შიგ ლერწმის ღერი მოეთავსებინა, რათა ღვინოს დადუღებისას ქვევრი არ გაეხეთქა. დიახ, მეგობრებო, ყველა მცენარესა და ცხოველს აქვს სული, ისინი სულიერნი არიან ჩვენსავით, საგოზავში ლერწმის ღერის ჩადგმით, ყურძენს, იოლად დადუღებად მცენარეს, ვხდით სულს. ასეა ვაშლის ღვინის, სიდრის, გამოხდისას ალბათ. საარყე ქვაბში ხილის მექანიკურ წამო-დუღებასაც ხომ ასე ჰქვია, — „არყის გამოხდა“.

როცა ამ სიტყვას ყურძნის ან ხილის მისამარ-თით ვამბობთ, მისაღებია ჩვენთვის, რადგან ყოველი ხილი, ბოსტნეული თუ მცენარე ადამიანთა საზრდე-ლად შექმნა უფალმა. თუმცა ასე როდო ფიქრობდა დიდი ქართველი ფილოსოფოსი — ვაჟა-ფშაველა; დიახ, ფილოსოფოსი და ნუ გაგიკვირდებათ ეს სიტყვა, რადგან „პოეზია სიბრძნის დარგიაო“ — აცხადებს რუსთველი. ვაჟა შენატროდა ისეთ ქვეყა-

ნას, სადაც აბსოლუტური ჰარმონია იმეფებდა, ჰარმონია სულისა და ხორცისა, სადაც სალ კლდეს არ დასჭირდებოდა იმის თქმა, „ადამიანებო, გიყვარდეთ ერთმანეთი!“ ამასვე გვეუბნება „ვეფხისტყაოსანიც“, ოღონდ იქ პოლიტიკურ ჰარმონიაზეა საუბარი. ჩვენ ისე ცოტა ხანს ვცოცხლობთ ამ ქვეყნად, რომ არ შეიძლება ჩვენი ადგილ-საბადებელი არ გვიყვარდეს, რადგან წყაროს თითოეულ წვეთს უყვარს ის კლდე, საიდანაც გადმოედინება და მდინარედ იქცევა.

ჰო, იმას ვამბობდი, რომ მისაღებია სიტყვათშეთანხმება „სულის ამოხდას“ მცენარეთა მიმართ ვხმარობთ-მეთქი, მაგრამ ადამიანთა მიმართ ამ გამოთქმის ხმარება ყოვლად დაუშვებელი და წარმოუდგენელია.

მე ბევრი მიფიქრია ამაზე და თქვენც გაგიზიარებთ ამ საფიქრალს, თუმცა შეძლება, ვცდებოდე კიდეც... თქვენ თქვენი იფიქრეთ, მე ჩემსას გეტყვით:

როცა პირველად ამოვიკითხე წყაროებში, რომ ჰიტლეტი და მისი თანამეინახენი ნადიმზე, საბრებისას, შეკრებებისას რაღაც გაურკვეველ, მაცოცხლებელ ნექტარს სვამდნენ, ძალიან გამიკვირდა. დადასტურებით არც არავინ იცოდა, რა ნექტარი იყო ეს. მერე ნელ-ნელა ამომიტივტივდა აზრი — გაზის ღუმელები... რომლებშიც ბავშვებსა და ქალებს ცოცხლად ყრიდნენ, დაუზოგავად იმეტებდნენ უსუსურ, უთავისუფლო ადამიანებს, ხოლო მათი დულილის, წვისა და ხარშვის შედეგად მიღებულ სითხეს, ნექტარს უწოდებდნენ, თავყრილობებზე მიირთმევდნენ, რათა ადამიანთა სულის ამოხდის მეშვეობით ბახუსით გაბრუებულიყვნენ და სიამოვნება მიეღოთ. იქნებ ეს ჩემი ფანტაზიაა?! მაგრამ ყოველივე შესაზებელი არც ისე შორსაა რეალობისგან.

არასოდეს, არასოდეს არ დაემუქროთ არავის სულის ამოხდით! ჩემი აზრით, ამაზე დიდი ბარბაროსობა და საშინელება არაფერია. ამას იმიტომ გიყვები, ჩემო ირაკლი, რომ მინდა საკუთარ თავსა და სულს გაუფრთხილდე. სული არც ჩვენია და არც ჩვენ ვართ მისი... შენ ხომ გიყვარს მშვენიერება?! — სულის ამოხდა კი სიმახინჯეა, გადახრაა, სიბილწეა!

ბატონმა ანდრიამ თავი ჩაჰკიდა, შუბლზე ოფლის წვეთები აჩნდა, თვალები თითქოს დაბინდოდა და უკვე ათასჯერ ნანახი სიზმრისკენ მიაქანებდა. ამ დროს იმ სანიტარმა გოგონამ, თვალები რომ გაფართოებოდა და სულში ძილგამკრთალი ნათელი ჩადგომოდა, თავისთვის წაიჩურჩულა:

— ტყუილად კი არ ამბობდა პაპაჩემი, ეს კაცი ბრძენია და მისგან ბევრ რამეს ისწავლიო.

თვლემაში წასულმა ანდრიამ თვალები გაახილა და თვითონაც ჩურჩულით უპასუხა:

— მთავარია, ფიქრი ისწავლო! მე კი... მე ბრძენი სულაც არა ვარ, სიბრძნისაგან ძალიან შორსა ვარ, ძალიან შორს და ნელ-ნელა ვუახლოვდები სიბრძნეს კი არა, საკუთარი თავის შეცნობას.

„ვიხსენებ დღეებს“...

ლეილა ჟიტოშვილი – სახლთხუსიშვილისა

ჩანიშნული მოგონებებიდან*

„როცა კაცი რაღაცას იხსენებს, უკან კი არ იხევს, წარსული გადააქვს მომავალში“.
ოთარ ჭილაძე

XX საუკუნის 70-იანი წლებია, ლატვიაში ვართ, საბჭოთა კავშირის მაშინდელ ევროპულ ნაწილში... ივლისის თვეა, თუმცა მწველი სიცხე, რომელიც თბილისში დავტოვეთ, აქ ნაკლებად გვაწუხებს... გუნდგუნდად მიმოფანტული ღრუბლებიდან ნელთბილი მზე ხანდახან თუ გამოყოფს თავს, ისიც კრძალვა-რიდით, თითქოს გვებოდიშება გამუდმებული წვიმებისა და ზაფხულისათვის უჩვეულო სიცივისათვის.

ადგილობრივებსა და რუსეთის რეგიონებიდან ჩამოსულ დამსვენებლებს ამინდის ცვლილება გუნება-განწყობას არ უფუჭებს, საერთოდაც არ აღელვებთ... ბალტიის ზღვა ჩვენთვისაა ცივი და უკარება, თორემ ისინი — რიგაშიც კი ღიღლიპანები დადიან...

გაოცებით შევყურებთ (წლებია, მიჩვეულები ვართ, მაგრამ მაინც...) ზღვის ნაპირზე საათობით მათ ყოფნას, ცივ წყალთან, ტალღებთან თამამ ჭიდილს... ახლაც, ამ სტრიქონების წერისას რომ გამახსენდება იქაური, ნესტიანი სიცივე, ტანში უსიამოვნოდ მაჟრჟოლებს... გამუდმებული წვიმების „ბრალია“, რომ ქალაქი ბაღნარადაა ქცეული... იხტიბარს არ ვიტეხთ და საშემოდგომოდ ჩაცმულები, იაპონური ქოლგებით დაიმედებულნი, თითქმის ყოველდღე ვმოძრაობთ. ამაში ხელს გვიწყობს საზოგადოებრივი ტრანსპორტი, განსაკუთრებით ტრამვაი-ტროლეიბუსები, რომლებსაც საოცარი სიზუსტით გადაჰყავთ მოქალაქეები დანიშნულების ადგილებზე... ჩვენ „ტეიკის“ უბანში ვცხოვრობთ,

*** გაგრძელება. დასაწყისი იხილეთ „ანეული“№3, 2019; №3, 2020წ.**

რაც ქართულად „ლეგენდას“ ნიშნავს; ახლო-მახლო ქუჩების სახელწოდებები – ლატვიური ხალხური ზღაპრების პერსონაჟების სახელებითაა დახუნძლული...

რიგა ევროპის ერთ-ერთი ძველი ქალაქია, მის შესახებ ცნობები 1198 წლიდან არსებობს. მდინარე დაუგავა მას ორ ნაწილად ჰყოფს; მისი სანაპიროების გამაგრება ჯერ კიდევ 1297 წელს დაუწყიათ; აუგიათ ქვის მკვიდრი ჯებირები. ნაოსნები დღევანდელი პორტების საწყობებამდე მიცურავდნენ. რიგის პორტმა, თავის დროზე შიდა ვაჭრობითა და საკუთარი სავაჭრო ქსელით, პეტერბურგსა და ოდესას გადაუსწრო. ამ მხრივ, მეფის რუსეთის დროს, იგი რუსეთის ცენტრად იქცა. ეს პორტი ქალაქთან ერთად იზრდებოდა. 1884 წელს მდინარის სანაპიროდან პირველად გემი „უნიდა“ გასულა, რომელსაც რიგიდან – ზღვის სანაპირომდე დაუწყია მიმოსვლა, ე. ი. დღევანდელ იურმალამდე (იურას – ზღვა, მალას – ნაპირი – ლატვ.); ამან დამსვენებლებს საშუალება მისცა, მისულიყვნენ კუნძულებამდე და პატარა ქალაქ დოლესამდე... მდინარეზე პონტონის ხიდის მშენებლობა 1896 წელს დასრულებულა; მანამდე აქ ხის ხიდი ყოფილა, რომელიც 1814 წელს გაუდვიათ; ხოლო რკინის ხიდის კონსტრუქცია, ასე ვთქვათ, სარკინიგზო ხიდი 1871-72 წლებში განუხორციელებიათ. ის 1905-1911 წლებში განუახლებიათ; 1981 წელს კიდევ ერთი ახალი ხიდი შემატებია.

გვაოცებს კარგად შემონახული ქუჩები: ტირგონიუსის (ვაჭრების), ვილნიუს, ტროკბინის (ხმაურის), რომლებიც XIV საუკუნით თარიღდება; ასევე ძველია ლატვიელი მწერლის, ფოლკლორისტ კრიშან ბარონის ქუჩა, რომელიც 1876 წლიდან ამშვენებს ქალაქს...

გვერდს ვერ ვუვლით კონვენტის ეზოს, ლივონთა ორდენის მაგისტრის რეზიდენციას, რომელიც 1515-1783 წლებში აღუდგენიათ; ზვიედრუ ვარდუს – შვედურ კარიბჭეს – XIII სკ. ისტორიულ ძეგლს. ბასტიონების ციხესიმაგრის ფრაგმენტების ანსამბლს, რომელიც XI საუკუნის აგურით ნაგები კოშკია – ტყვია-წამლის საწყობი; მისი კედლების სისქე მეტრ-ნახევარს უდრის, აქვს უამრავი სათოფური. სახურავი – კონუსის ფორმისაა, სპილენძის, რომელიც ხანგრძლივი ნესტის გამო მწვანე ფერისაა... აქედან დასაკეცი, პანტონებიანი ხიდით დაუგავას მარცხენა მხარეს გადავდივართ, ანუ „vecriga“-ში (ძველ რიგაში).

ძველი რიგა ქალაქის ცენტრშია მოქცეული. ქალაქი წრისებურად იზრდებოდა, იგი წყლით იყო „გარშემორტყმული“ – ერთი მხრიდან მდინარე დაუგავა, გარშემო კი – დაუგავადან არხი უვლიდა, რომელიც ისევ დაუგავაში ჩადიოდა. ახლა საქალაქო არხი მიწითაა ამოვსებული, თუმცა ზოგან ისევ ჩანს. აქვე, აიზკრაუკლეს ქუჩაზე (ლატვ. ზღაპრის გმირის – კეთილი გოლიათი ჭაბუკის სახელია) სპორტსმენებისთვის განკუთვნილი კაფე „არგოა“ გახსნილი... რაღაც მანძილის გავლის შემდეგ, თავისუფლების ქანდაკების სიახლოვეს ხელოვნური მაღალი მთა „პასტეიკალნისია“, რომელიც 30 მეტრის სიმაღლისაა; კიბეებით ავდივართ მთის „მწვერვალზე“, – ქვემოთ ვიხედებით, დაცემული ვაკეა... მას რიგელები ძალიან უფრთხილდებიან. აქვეა XIII საუკუნის წმინდა პეტრეს სახელობის ტაძარი; ლიფტით ავდივართ, ოცდაშვიდსართულიანი შენობის სიმაღლისაა; სახურავის წვერზე ლუთერანული რელიგიის სიმბოლო, – მამალია დამაგრებული, რომელიც 150 კილოგრამს იწონის, მოოქროვილია. მოოქროვილია, ასევე, ტაძრის დიდი საათის ციფერბლატებიც. იგი მხოლოდ სრულ დროს აჩვენებს... საერთოდ, ადგილობრივი მრევლის სამსახურშია ასევე, წმინდა იანის, წმინდა გიორგის, წმინდა იაკობის, წმინდა გერტრუდას, წმინდა მარიამ მაგდალინელის სახელობის ეკლესიები... რუსული მართლმადიდებლური ეკლესია.

ძველ რიგაში თვალშისაცემია გოთიკური არქიტექტურის გამორჩეული ძეგლი – დომის ტაძარი, რომლის მშენებლობაც რიგის არქიეპისკოპოსს 1211 წელს დაუწყია. მისი რეკონსტრუქცია 1883 წელს ჩაუტარებიათ. ფანჯრები, სარკმელები ფერადი ვიტრაჟებითაა დამშვენებული, რომლებიც ადგილობრივ სპეციალისტებს გაუკეთებიათ; ქადაგებისთვის სპეციალური მოჩუქურთმებული კათედრა დგას. ტაძრის მშვენებაა XVII-XVIII საუკუნეების ორღანი, ევროპაში რიგით მესამე, ე.ი. ვ. ვალკერისა და კ.რ. ფირმისაა... დომის ტაძრის ვრცელი, ფილაქნით მოკირწყლული მოედანი და ვიწრო ქუჩაბანდები, ძველი შენობების არქიტექტურა, მას კიდევ უფრო საინტერესოსა და მიმზიდველს ხდის. ახლა ტაძრის შენობის საკონცერტო დარბაზში, კლასიკური მუსიკის კონცერტები, ფესტივალები იმართება... ლატვიის ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი კი, „დიდი გილდიის“ ყოფილ სივრცეშია განთავსებული, რომელიც XIV საუკუნის არქიტექტურული ძეგლია. ძველ, XVII-XVIII საუკუნეების შენობაშია განთავსებული ლატვიის კულტურის სამინისტრო, – ამანტეს ქუჩაზე; დანნენ შტერნის სახლი – მარსტალიუს ქუჩაზე, სახლი, რომელიშიც პეტრე I ცხოვრობდა. საფრანგეთის საელჩოს შენობა, მეცნიერებათა აკადემიის, უნივერსიტეტის, სამხატვრო აკადემიის, კონსერვატორიის... შენობები; სასტუმროები – „ბალტია“, „სალუტიე“, „ლატვია“, „რიგა“, „მეტროპოლია“, „რომი“, „ტემპო“, „დაუგავა“, „ბაკა“ და სხვები.

ბასტიონების ციხესიმაგრეების ანსამბლში (XIV სკ.) განთავსებულია ლატვიის ისტორიის, საზღვარგარეთის ხელოვნების, იან რაინისის სახელობის ლიტერატურისა და ხელოვნების მუზეუმი, საზღვარგარეთის ხელოვნების მუზეუმი თავს ბევრი ორიგინალით იწონებს, თუნდაც: კ. მონეს „ზამთრის პეიზაჟი“, ა. ფეისერბახის „ქრისტეს დატირება“ (გერმან. სკოლა), კრამსკოის „ქრისტე უდაბნოში“, ხ. მაკარტის „ლაპიფების ბრძოლა კენტავრებთან“ (ავსტრ. სკოლა), ლ. ჯორდანოს „სოლომონის კერპთაყვანისმცემლობა“ (იტალ. სკოლა), ლ.

რიხტერის „ტიბრის სანაპირო აკვიაჩატოსთან“ (გერმან. სკოლა), ლ. დეიონგესის „ოჯახი“ (ჰოლ-ანდ. სკოლა), მ. ლენდსირის „დასვენება“ (ინგლ. სკოლა), ნ. რეინერის „კონცერტი“ (იტალ. სკოლა), კ. სიხულსკის „ქორწილიდან დაბრუნება“ (პოლონ. სკოლა), ამა ნოვაკის „გლეხების ოჯახი“ (უნგრ. სკოლა) და სხვა. ასევე შთამბეჭდავია გორდეევის „პრომეთე“ (მარმარილოს ქანდაკება), ოპეკუშინის „ჩაფიქრებული პეტრე I“... რუდოლფ ხეიმრადტის მასიური გობელენი „ძველი მოტივი – ადამი და ევა“, „ყვავილების გამყიდველები“ (შალი), „შემოდგომა“, „დასვენება“, „საზეიმო ცეკვა“ და სხვა. საგამოფენო დარბაზში ვრცლადაა წარმოდ-გენილი იანა კალნის – „პეპლები“, „მთებს დას-დგომიათ ღრუბელი“, „ძებაღე“, „კონტრასტები“... შერეული ტექნიკით (შალი და კაპრონი) შეს-რულებული გობელენები, ლადგალური კერამიკა (ლატვიის ერთ-ერთი კუთხეა) თავისი მდიდარო ფორმებითა და ფერებით...

საინტერესოა რიგის ისტორიის, ნავიგაციის, მედიცინის, ლატვიის ბუნების დაცვის მუზეუმები, აღარას ვამბობ შემოქმედი ადამიანების სახლ-მუზეუმებზე, რომლებიც დიდი სითბოთი და გე-მოვნებით არის წარმოდგენილი. ლიტერატურის მუზეუმში სულ ხუთი დარბაზია, – ლატვიური რეალისტური რომანის ფუძემდებელები ძმები რეინის და მატის კაუძიტისები ყოფილან. მათი ერთობლივი რომანია „მიწის მზომელთა დრო“... რევოლუციური რომანტიზმის წარმომადგენლად ასპაზიას მიიჩნევენ, ნაციონალურ მწერლად კი – რუდოლფ აბდუმანისს; სახალხო მწერლებად – იან რაინისს, ვილის ლაცისს, ჟანის გრივას, არია ერკლენს, მორგა წემპეს...

თეატრალური მუზეუმი ედუარდ სმიალძის სახლ-მუზეუმშია განთავსებული, ლატვიური თა-ტრის ისტორია 1868 წლიდან იწყება. მის მამა-მთავრად ადოლფ აიენანი ითვლება, რომელიც 21 წლის იყო,როდესაც თეატრს სათავეში ჩაუდგა; იგი იყო მსახიობი, დრამატურგი, რეჟისორი. ლატვი-ური თეატრის დედად ბერტა დიუმიტეა მიჩნეული. მან როლების შესრულება 18 წლისამ დაიწყო... რუსული დრამატული თეატრი – 1903 წელს ჩამოყალიბებულა, რომლის შექმნაშიც გარკვეული წვლილი კოტე მარჯანიშვილს მიუძღვის... 30-40-იანი წლების ყველაზე პოპულარული მსახიობი ქალი ლილია შტენგელი ყოფილა,რეჟისორი კი – ედუარდ სმილინძისი, რომელსაც ძალზე ორიგი-ნალური დღიურები დაუტოვებია. იგი ქაღალდის მომცრო ფურცლებზე მოკლედ, კონკრეტულად წერდა მისთვის საინტერესო ამბებს. შემდეგ ამ ფურცლებს საყვავილეში მოთავსებულ ხის ტოტე-ბზე ამაგრებდა, ბუტაფორიული ყვავილებივით...

სიამოვნებით ვიხსენებ გამორჩეული ლატვიელი მხატვრის იან როზენტალის მემორიალურ სახლ-მუზეუმს, რომელშიც იანი და მისი მეგობარი რუდოლფ ბლაუმანისი ერთად ცხოვრობდნენ. როზენდალს ფინელი ქალბატონი ელი ფროსელი ჰყავდა ცოლად. მხატვრის ნახატების დიდი უმ-რავლესობა ფინეთშია დარჩენილი. ვიდრე მეორე მსოფლიო ომი დაიწყებოდა, ფინეთში მხატვრის ნახატების გამოფენა ჩატარებულა. სწორედ ამის გამოცაა, რომ ლატვიაში იან როზენდალის ნახ-ატების მცირე კოლექციაა შემონახული... ასევე ვსტუმრობთ მწერალთა კავშირს, სადაც თბილად შეგვხვდა კავშირის თავმჯდომარე, დრამატურგი გუნარ პრიედე, მდივანი – ახალგაზრდა პოეტი პეტერ ზირნიტისი;

მოგვიბოდიშეს, რომ მწერლების დიდი ნაწილი აგარაკზეა, ზოგი კი დასასვენებლადაა წასუ-ლიო... ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან ჩვენ ხომ დაუგეგმავად მოვხვდით ამ მშვენიერ შენობაში?!... საუბრისას გაირკვა, რომ მწერალთა კავშირის წევრობის კანდიდატები ბევრნაირ, ძალზედ ობიექ-ტურ შემოწმებებსა და კომისიებს გადიან, ვიდრე წევრები გახდებიან... ეს პერიოდი, 60-70-იანი წლები, მთარგმნელობითი მუშაობის გაფურჩქვნის ხანად ითვლებაო... მალე გამოვა ქართული ლიტ-ერატურიდან მთარგმნელების – მაია გურასესა და მარგა ნიედრეს ახალი თარგმანები – ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობები და გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხეო“; გაგვიხარდა, რადგან ორივე ქა-ლბატონს კარგად ვიცნობდით...

დღესაც გუშინდელივით წვიმს, ძალიან ცუდი ამინდია, ცივა. ერთი დღის გაცდენა არ გვინდა, ამიტომაც თბილად ჩაცმულები პლანეტარიუმში მივდივართ. იგი ქალაქის ცენტრშია, ძველ,სამნავიან, დიდი მოცულობის რუსული ეკლესიის შენობაშია განთავსებული. ცხადია, ეკლესია ჯვრების გარ-ეშეა... ამ შენობას „ცოდნის სახლსაც“ ეძახიან. აქ იმართება მხატვრების გამოფენები, სხვადასხვა ტიპის ექსპოზიციები; ახლაც, ჩვენდა გასაკვირად, პირველ სართულზე ა. გაგუას ნახატების გამოფენა დაგვხვდა. რა თქმა უნდა, გაგვიხარდა. თბილისელი აღმოჩნდა. თუმცა მის მხატვრობას ნაკლებად ვიც-ნობდით. თბილისის ხედების ბევრი კარგი ტილო იყო წარმოდგენილი, ასევე – პორტრეტებიც... მეორე დარბაზში მოვისმინეთ ლექცია „შეიძლება თუ არა მომავლის გამოცნობა?!“,საინტერესო იყო... განსაკუთრებით ჩვენებურად,კარგ ხასიათზე დავდ-ექით, როდესაც ჭერი ვარსკვლავებით დაიფარა, ნამდვილ ცას დაემსგავსა. მერე „ცა“ თანდათან განათდა და „ძველი რიგის“ თავზე მზე ამოვიდა... განთიადის ეს ილუზიური კადრი ყველაფერს შთ-ამბეჭდავ წერტილად დაესვა...

მზიან ამინდებში ყვავილნარში ჩაფლულ ბულ-ვარებში ვსეირნობთ: – ალექსანდრეს, ასპაზიას, პადომიუს, თეატრალურ და ა.შ. ბულვარების მარ-გალიტია ელიზავეტას ქუჩა – ყვავილნარებითა და დეკორატიული მცენარეებით დამშვენებული. ხშირად ვართ ვერმანის ბაღში, რიგის ყველაზე ძველ პარკში (1817 წ.),რომელიც ვერმანს თავისი ქვრივის სახელზე გაუშენებია; მას შადრევანი და ხელოვნური წყაროები ამშვენებს. სწორედ აქაა XVI საუკუნეში გაყვანილი არხი, რომელიც ქა-

ლაქს დღესაც ემსახურება. პადომიუს ბულვარში თეთრად ანათებს ლატვიის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის შენობა, რომლის ფასადის ზედა ნაწილი საშუალო ზომის ქანდაკებებითაა დამშვენებული. შენობის წინ შადრევანია, რომლის ცენტრშიც ნახევრად შიშველი ქალის ულამაზესი ქანდაკება დგას; თავს ზემოთ აწეული ხელებით დიდი, ბრტყელი ნიჟარა უჭირავს, ფეხებთან კი სამი პატარა, შიშველი ბიჭუნა ჩარფუზანას უვლის... დაუვიწყარია „გავუიას“ პარკი – ბევრისთვის საზოგადოებრივი, მოქალაქეების გარკვეული ნაწილისთვის – „წმინდათა წმინდა“...

შთამბეჭდავია „თავისუფლების ქანდაკება“, რომელიც 30-იან წლებში ქალაქის ცენტრში დაუდგამთ. კვარცხლბეკზე ლატვიის თავისუფლებისთვის დაღუპულ მებრძოლთა ქანდაკებებია, რომელთა შუაშიც აღმართულ რამდენიმემეტრიან სვეტზე დგას ახალგაზრდა ქალის ფიგურა, რომელსაც ცისკენ აღმართულ ხელებში სამი მოოქროვილი ვარსკვლავი უკავია; ვარსკვლავები სიმბოლურად ლატვიის სამ კუთხეს – კურზემეს, ზემგალესა და ლადგალეს გამოხატავენ... ქანდაკების მზერა ევროპისკენაა მიმართული. წლების შემდეგ აქ ლენინის ძეგლი დადგეს, თუმცა ლატვიელებს თავისუფლების ქანდაკება არ დაუნგრევიათ. ეს ორი ქანდაკება ერთმანეთს ზურგით „შესცქეროდნენ“. ახლა, რა თქმა უნდა, ლენინის ძეგლი აღებულია და მის ადგილზე სკვერია გაშენებული...

რიგაში პანთეონი არა აქვთ. იან რაინისისა და ძმათა სასაფლაოებია, სადაც მწერლები, მსახიობები, საზოგადო მოღვაწენი არიან დაკრძალულნი; ასევე – მეცნიერები და მეორე მსოფლიო ომში დაღუპულები.

ყველაფერი სადად და ძალზე უბრალოდ გამოიყურება. განსაკუთრებით საინტერესოა იან რაინისის საფლავი – კიბის რამდენიმე საფეხურის ავლის შემდეგ, გადამწვანებულ ჩარდახში მწერლის მჯდომარე ქანდაკება გხვდებათ; ეს უფრო მისი ნიჭის ქანდაკებაა, ვიდრე პორტრეტული; მზერა აღმოსავლეთისკენ, მზისკენ აქვს მიქცეული. საფლავზე მისი სიტყვებია ამოტვირფული:– „დაა, მუდამ აღვდგები მე – მზის ამოსვლასთან ერთად!“ აქვეა მისი მეუღლის, პოეტ ასპაზიას საფლავი, რომელზედაც შავი მარმარილოს ფილა დევს...

ამ ადგილიდან არცთუ ისე შორსაა იური იურევსკის საფლავი, რომელიც თავს ქართველად თვლიდა; არსებობს მოსაზრება, რომ მისი ნამდვილი სახელი და გვარია გიორგი სარუხანაშვილი; მშობლები კი თბილისში ცხოვრობდნენ... ოცი წუთის სავალზეა ქართველი მედიკოსის, ქირურგის არჩილ მაჩაბლის საფლავი, რომელიც ლატვიელებს ძალიან ჰყვარებიათ; მისი საფლავი მუდმივად ცოცხალი ყვავილებითაა მოფენილი...

ძალზე ლამაზი, სადაა ძმათა სასაფლაო; ფართო გზას ორივე მხარეს ნაძვისა და სოჭის ხეების წყება მიუყვება, ქვის ფილებზე მონოტონური ნაბიჯების ხმა ისმის, ი დუმალი და ავის მომასწავებელი, სადაც ექოც ისმის და, ძალაუნებურად, მოკრძალებისა და პატივისცემის გრძნობა გეუფლება...

აქვე გავიხსენებ „სალაცპილსს“ – „კუნძულის ციხეს“, სადაც მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელებს საკონცენტრაციო ბანაკი ჰქონდათ.

რიგიდან რამდენიმე კილომეტრში მატარებლით გავემგზავრეთ. მატარებელი კარგა შორს ჩერდება, წვიმაში მინდორ-მინდორ დიდხანს ვიარეთ, კარგადაც დავსველდით, ადგილზე მისულებს დამთვალიერებელთა რამდენიმე ნაკადი დაგვხვდა. მემორიალში გზის ფართო მონაკვეთი შედის. შესასვლელის ზედა ნაწილს თალხი ფერის მემორიალური ფირფიტა გასდევს, რომელზეც ლატვიურად წერია: „ამ კარს იქით მიწა კვნესის!“... მარჯვენა მხარეს შავი მასიური მარმარილოთი მოპირკეთებული ნაგებობა დგას, რომელშიც მუზეუმია განთავსებული. მინდვრის ცენტრში სამი ცენტრალური ფიგურა დგას; მათ ირგვლივ ჩონჩხად ქცეული ადამიანების ფიგურებია – ზოგი მიწაზეა გართხმული, ზოგი წინაა წამოწეული, დედები მტრის ბინძური ხელებისგან ზურგს უკან შვილებს მალავენ, მარცხენა მხარეს შავი მარმარილოთი მოპირკეთებული საძმო საფლავია უამრავი ყვავილით; ერთ ადგილას ფილა დაბლაა ჩაწეული და ყრუ ხმა ამოდის; მიწის ქვითინი ისმის. წინ, მარცხნივ ბავშვების სასაფლაოა...

მავთულხლართებში ვარდია გარჭობილი... მუზეუმი ნახევრად გადახურულია. კიბეებით ჯერ მაღლა ადიხარ, შემდეგ კი – დაბლა ჩადიხარ. შესასვლელში მარმარილოს ფილაზე წერია: „მშვიდობიან დღეებში, ფაშისტ ოკუპანტებს სალაცპილსის სიკვდილის ბანაკში ებრძოდნენ და იხოცებოდნენ ათასობით დაუმორჩილებელი ლატვიელები და რუსები, უკრაინელები და ბელორუსები, ლიტველები და ესტონელები, პოლონელები და ებრაელები, ჩეხები და სლოვაკები, სერბები და ხორვატები, ბევრი ხალხის ქალიშვილები და ვაჟები, დაე, აცხოვდეთ მათზე, როგორც ხალხების გულში ანთებულ ჩირაღდანზე“!

გარეთ სივრცეში, ძმათა სასაფლაოს გვერდით, ქვის მართკუთხა პარალელეპიპედის ფილაზე ლატვიურად წერია: „აქ ადამიანებს იმის გამო სჯიდნენ, რომ ისინი უდანაშაულონი იყვნენ... აქ ადამიანებს იმის გამო ხოცავდნენ, რომ თითოეული მათგანი იყო ადამიანი და უყვარდა სამშობლო!“... ეს ბანაკი გერმანელებმა 1941 წელს ააგეს... ხშირ წიწვოვან ტყეში გადაჰყავდათ ტყვეები და მასიურად ხოცავდნენ. ტყეში ბევრი საძმო საფლავია. ბანაკი მთლიანად ხისგან ყოფილა ნაგები... 1944 წლის შემოდგომაზე, როდესაც ლატვიაში საბჭოთა ჯარები შევიდნენ, გერმანელებმა მთელი ბანაკი ტყვეებთან ერთად გადაწვეს. აქ ასი ათასზე მეტი ადამიანი დაიღუპა; მათ შორის ორი ათასზე მეტი მშვიდობიანი მოსახლეობა; შვიდი ათასზე მეტი ბავშვი, ორმოცდაშვიდი ათასზე მეტი საბჭოთა მეომარი. პატიმრების გარკვეული ნაწილი გერმანელებმა თან წაიყვანეს...

ყველა ერის ეთნოგრაფიული მუზეუმი საინ-

ტერესოა; ყოფილ საბჭოთა კავშირში ლატვიის ეთნოგრაფიული მუზეუმი ერთ-ერთი ძველია; იგი ღია ცის ქვეშაა განლაგებული თავისი XVII-VXIII-XIX საუკუნეების შენობებით, დუქნებით, მებატონეთა სახლებით, გლეხების ქოხებით, ყმების ქოხებით, ქარის წისქვილებით, ჭებით, საქონლის სადგომებით, ისლით გადახურული სახლებით... უკავია რამდენიმე ჰექტარი და წარმოდგენილია ლატვიის ყველა კუთხე, მათი ეთნოგრაფიისთვის დამახასიათებელი სამეურნეო ხელსაწყოებით, ჭურჭლით, საქსოვი დაზგებით და სხვა... უზომოდ საინტერესოა.

ლატვიაში ძალიან ბევრი ტბაა. წიშეზერის ტბა საკმაოდ დიდია, თუმცა სიდიდით მეთორმეტე ადგილი უკავია; მასზე შეიძლება საშუალო ზომის გემით ისეირნო, შემდეგ გზა განაგრძო მდინარე დაუგავაზე და გახვიდე ნავსადგურთან... ამ ტბასთან, ცხადია, ქალაქის გარეუბანში, რამდენიმე ჰექტარზე გადაჭიმულია „მეჟპარკი“ (ტყეპარკი); ესაა ნაძვის, ფიჭვის, არყის, მუხის, თელას ხეებისგან შემდგარი შერეული ტყე. ნაძვებს რომ ახედავ, ბოლო არ უჩანთ, რჩება შთაბეჭდილება თითქოს წვეროებით ცა უჭირავთ, რომელიც არ ჩანს... ტბა, სუფთა ჰაერი, სიმშვიდე, სხვადასხვა ჯიშის ფრინველების გადაძახილი, მინდვრის ყვავილებით მოქარგული კორდები, ხის კენწეროებს გამოცდენილი მზის სხივთა ათინათები ნამდვილად გავიწყებენ ყოველდღიურობას... შაბათ-კვირას მეჟპარკი დამსვენებლებითაა სავსე; ტერიტორიის გარკვეული ნაწილი ზოოპარკს უკავია, სადაც ცხოველები ვრცელ ვოლიერებში არიან დაბანაკებულნი, მათთვის საჭირო გარემო პირობებით... აღარას ვამბობ სხვადასხვა სახეობის ატრაქციონებზე...

პარკის ერთი ნაწილი დათმობილი აქვს შემაღლებულ ღია სცენას, რომელიც ერთდროულად ათი ათასზე მეტ მომღერალს იტევს. ყოველწლიურად, აქ საგუნდო სიმღერების დღესასწაული იმართება, რომელშიც ლატვიის რეგიონების გაერთიანებული გუნდები, ასევე სხვა ქვეყნებიდან მოწვეული მომღერელთა გუნდებიც მონაწილეობენ... სიმღერის დღესასწაული – ესაა რიგის ქუჩებში არა მარტო ადამიანების მრავალათასიანი ტალღა, და გუნდების გრანდიოზული კონცერტი, არამედ ესაა მოუღლელი შრომა რეპერტუარის გამდიდრებისათვის; რათა რეგიონალურ დათვალიერებაზე საუკეთესონი შეირჩნენ, რის შემდეგაც მათ რიგაში ჩასვლის უფლება ეძლევათ...

ამ ტრადიციის დასაწყისად XIX საუკუნის მეორე ნახევარი ითვლება, როდესაც გერმანიაში საგუნდო მომღერალთა საზოგადოებები იქმნებოდა. 1857 წელს მას ბალტიისპირეთიც შეერთებია, ჯერ ტალინში ჩატარებულა, შემდეგ, 1861 წელს კი – რიგაში. პირველი ლატვიური საგუნდო სიმღერის დღესასწაული 1873 წლის 26-29 ივნისს ჩატარებულა. მონაწილეობდა 1003 საგუნდო მომღერალი. შეუსრულებიათ ლატვიური ხალხური სიმღერების ორიგინალური და გადამუშავებული ვარიანტები. იმ დროისთვის ეს არნახული, არგაგონილი ამბავი ყოფილა...

რიგაში ერთ-ერთი ჩასვლისას გვქონდა ბედნიერება, ასეთ კონცერტს დავსწრებოდით; მაშინაც, როგორც ყოველთვის, გადაუღებლად წვიმდა; მიუხედავად ამისა, ქუჩებში არ წყდებოდა ადამიანთა ნაკადი, რომლებიც ნაციონალურ ტანსაცმელში გამოწყობილები, ღიმილიანი სახეებით სცენისაკენ მიემართებოდნენ, რათა ორი საათის განმავლობაში კონცერტისთვის მოესმინათ... როგორი იყო ჩვენი გაოცება და, ამავდროულად, სიხარული, როდესაც „მორბის არაგვი, არაგვიანის“ მელოდია გაისმა, რომელსაც 16 -ათასიანი გუნდი დიდი მონდომებით (ტექსტს ქართულად) ასრულებდა... იქ ნამღერ სიმღერებს შორის, ეს რაღაც სხვა მელოდიურობა, რიტმიკა, ხმოვანება იყო; რაღაც ძალიან შორეული (მათთვის) კლასიკა... ჩვენმა მეგობრებმა ისიც კი გვიამბეს, რომ ერთ-ერთ კონცერტს, წელი არ ახსოვდათ, ბატონი ოთარ თაქთაქიშვილი დირიჟორობდაო... ძალიან გვესიამოვნა, რადგან ბატონი ოთარი არა მარტო საკუთარი ხმის მქონე კომპოზიტორი იყო, არამედ ჩვენი ქვეყნის გამორჩეული კულტურის მინისტრი...

დომის ტაძარში რამდენჯერმე დავესწარით საორღანო მუსიკოს კონცერტს... რა თქმა უნდა, დიდებულად ჟღერდა ბახი! ძველ რიგაში ძირითადად ორ კაფეს ვსტუმრობთ – „13 სკამი“ და „იქროლე ნიავო“ – სიძველით გაჟღენთილი გარემო და ბალტიური სიმყუდროვე, რაიმონდ პაულსის ჯაზური იმპროვიზაციები „გაიძულებს“, კარგა ხანს დარჩე მაშინდელ ევროპულ სურნელში გახვეული...

ივლისის ბოლოა; თეთრი ღამეები თანდათან ილევა, უფრო სწორედ სადღაც ქრებიან და ახლა უკვე 12 საათზე ღამდება. ნაწერს ჩემი ლექსით დავასრულებ:

„ივლისი... დაუგავას სანაპირო თეთრი...
თეთრი ღამეების სითეთრეა მკრთალი...
წინ და უკან ბორიალობს სიზმარი და ძილი...
გათენდა, დაღამდა
– თეთრია და თბილი“...

დღეს რიგა თურმე კიდევ უფრო გალამაზებული, დახვეწილია... ძალიან მინდა გავიარო იმ ბულვარებსა და ქუჩებში, სადაც 70-იან, 80-იან წლებში თითქმის ყოველ ზაფხულს დავდიოდით... შევხვდე ჩვენს მეგობრებს, მათ შთამომავლებს – მეცნიერებს, მწერლებს, პრესის წარმომადგენლებს, მხატვრებს, რადიო-ტელევიზიის მუშაკებს, ჩვეულებრივ რიგელებს – და ვუთხრა მათ, ისევ ისე მიყვარხართ, ნათლად მახსოვს იმ საუკეთესო წლების ყოველი დღე, მეგობრული საღამოები, გულიანი საუბრები ორივე ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე... ჩვენ მაშინ ძალიან ახალგაზრდები ვიყავით... მენატრება ჩვენი ახალგაზრდობა!...

* * *

ცნობილი ლატვიელი მწერლის ალბერტ ბელის

ნაწარმოები ბალტიისპირეთში დიდი მოწონებით სარგებლობს, მოთხრობების კრებული „დანებით თამაში“ 1966 წელს გამოვიდა, ამას მოჰყვა მცირე რომანი „გამომძიებელი“ (1967წ.), რომელიც ესტონურ, რუსულ, ჩეხურ, ბულგარულ, უნგრულ ენებზეა თარგმნილი; მოთხრობების კრებული „თავად მე – ვაკეზე“ (1968წ.), მცირე რომანი „გალია“ (1972წ.) თარგმნილია ლიტვურ, ესტონურ, ჩეხურ, ფინურ, ქართულ ენებზე (მთარგმნ. უ. სახლთხუციშვილი)... მცირე რომანი „ხმა დამძახებლისა“ (1973წ.) თარგმნ. რუსულ, გერმანულ ენებზე; 1977 წელს გამოიცა რომანი „პოლიგონი“, 80-იან წლებში – რომანი „ადამიანები ნავებში“ – მალევე ითარგმნა რუსულ, ესტონურ, გერმანულ ენებზე და სხვა.

იგი ინტელექტუალური პროზის წარმომადგენლად ითვლება. მისი შემოქმედებისთვის დამახასიათებელია მცირე ფორმის ნაწარმოებები, თხრობის ლაკონურობა; ამის მიუხედავად, მკითხველს ფიქრისა და განსჯის ვრცელ მასალასა და საშუალებას აძლევს. თავის ნაწერებში მწერალი მთავარ კითხვას სვამს: – ადამიანისადმი საზოგადოების დამოკიდებულება, შემოქმედის ვალი ხალხის წინაშე... ერთგან იგი წერს: „დღეს იშვიათია სიუჟეტით ვინმეს გაკვირვება, მსოფლიოში უამრავი სხვადასხვანაირი ამბავი ხდება. ჩვენ გვაინტერესებს ის, თუ რა ხდება, ამ შემთხვევების უკან, რატომ ხდება, ცხოვრების კვლევა-ძიება და აქედან გამომდინარე დასკვნების გამოტანა“...

სწორედ ალბერტ ბელმა მიგვიწვია შინ, სადილზე. რასაკვირველია, მიწვევა სიამოვნებით მივიღეთ. წასასვლელად საგულდაგულოდ მოვემზადეთ. რატომღაც თბილისიდან წამოღებული ღვინო, ჭაჭა, სუვენირები არ ვიკმარეთ, შევიარეთ ნეგიუს შვიდ ნომერში, მთავარ, ცენტრალურ ბაზარში და ყუბანელი გლეხისგან მოზრდილი საზამთროც ვიყიდეთ. კმაყოფილები ვართ, რომ ასე, ჩვენებურად ხელდამშვენებულები მივალთ მათთან...

ალბერტი და მისი მეუღლე ინა, დიდი სიხარულით შემოგვეგებნენ, ასევე ქალიშვილები – ბაიბა, სილვია და იევა... მიუხედავად ენის ბარიერისა, ბავშვებმა საერთო ენა მალე გამონახეს და...კახი გოგონებთან დიდ ამბავშია... ინა მაგიდასთან ტრიალებს, ჩვენ კი – ალბერტი სამუშაო კაბინეტისკენ გაგვიძღვა;

მოზრდილი ოთახი წიგნების თაროებითაა სავსე, ძველებური მასიური მაგიდაც წიგნებით, ნაბეჭდი თაბახის ფურცლებითა და სხვადასხვა საგნითაა დახუნძლული; მწერლის სავარძელს კი არც მეტი, არც ნაკლები – ნამდვილი ტყავისგან დამზადებული ცხენის უნაგირი ამშვენებს. ალბერტი იღიმება, ჯდება და უშანგსაც სთავაზობს ამ ორიგინალურ სავარძელში ჩაჯდომას... ლატვიურად საუბრობენ; მე ინას ნახატებს ვათვალიერებ – ძალიან ქალური ფერებითა და შინაარსითაა სავსე... ბავშვები ხმაურობენ; ხანდახან, როდესაც ერთმანეთს რაღაცას ვერ აგებინებენ, ხან ერთი შემოვარდება, ხან მეორე... კახი ხუთი წლისაა, ბაიბა – ექვსის, სილვია ხუთის, იევა – ორის... ალბერტს წინადადება შემოაქვს, შენობის სახურავზე ავიდეთ და ფოტოები გადავიღოთო. ინტერესითა და ხმაურით ავდივართ სახურავზე, საიდანაც ქალაქის გარკვეული ნაწილი შესანიშნავად მოჩანს... უამრავ ფოტოს ვიღებთ, ვიცინით, ბავშვებს ვეთამაშებით, კმაყოფილები ქვემოთ ვეშვებით...

მაგიდა ათასნაირი ბუტერბროდით (ყველით, ადგილობრივი საუკეთესო ლორით, ხიზილალით, ძეხვით...), უგემრიელესი ნამცხვრებით და ტკბილეულით არის სავსე; რა თქმა უნდა, არყითა და სხვადასხვა მარკის ევროპული ღვინოებით – ისინი ხომ ერთი სახეობის სასმელის დალევას არ სჯერდებიან, აუცილებელია მაგიდაზე სასმელების სახეობების სიუხვე... ვხუმრობთ, ვიხსენებთ განვლილი წლების შეხვედრებს... ინას საქონლის ხორცისგან დამზადებული ერთი თავი ნაციონალური სადილი შემოაქვს... გემრიელია... თითქმის ყველაფერი მივირთვით, თუმცა ასე სიხარულით „მიღებული“, მათთვის ეგზოტიკური, საზამთრო არა და არ ჩანს...

საათი საათს მისდევს; ბოლოს ველარ მოვითმინე და:

– მოდით, საზამთრო დავჭრათ; ვფიქრობ, პატარები ძალიან გაიხარებენ, დროა!

– რა თქმა უნდა, ახლავე...

– რაღაც უხერხულად მეთანხმება ალბერტის მეუღლე და სამზარეულოში გადის... ოც წუთზე მეტი გავიდა, ინა კი არ ჩანს... სოლიდარობის ნიშნად სამზარეულოს კარი მორიდებით შევაღე; დგას ინა, მაგიდის ცენტრში დაუდვია ეს ხელიხელსაგოგმანები საზამთრო, ხელში მოზრდილი დანა უჭირავს...

– რა კარგია, რომ შემოხვედით, მერიდებოდა თქვენი შეწუხება... იცით, არ ვიცი. როგორ უნდა დავჭრა საზამთრო... აი, ვდგავარ და ვერაფრით ვერ მოვიფიქრე, როგორ უნდა გავაკეთო ეს... იქნებ, თქვენ თავად გაისარჯოთ?! ჩვენ, ხომ, არც ტრადიცია და არც პრაქტიკა არ გვაქვს...

– ახლავე, ამას რა დიდი ცოდნა უნდა?!

წინსაფარი ავიფარე, შევარჩიე მოზრდილი სინი, დანა გამოვართვი, საზამთრო ონკანის ქვეშ კარგად „გავრეცხე“... და ე.წ. თავის მოჭრა დავიწყე; საზამთრომ ტკაცანი გაიღო... მერე ყველაფერი თავისთავად, უცებ წავიდა... ერთი მოზრდილი ლანგარი საზამთროს ნაჭრებით აივსო, ცალკე წითლად ღუოდა საზამთროს გული... ინა გაოცებულ-გახარებული შეჰყურებდა ჩემს საქმიანობას... ბავშვები სიამოვნებითა და ხმაურით სვლეპდნენ საზამთროს გულის ჩაწითლებულ კუბებს... გარშემო საოცარი იდილია სუფევდა...

დღესაც შთამბეჭდავია მაშინდელი გადაღებული შავ-თეთრი ფოტოები თავისი წამიერი სიმართლითა და განწყობილებით... ახალგაზრდული სულით...

(გაგრძელება იქნება)

პოეტი - ემიგრანტი



ელგუჯა ციგროშვილის პოეზია

ელგუჯა ციგროშვილი პოეტი ემიგრანტია. მისი მშობლიური ქალაქი თელავია. 27 წელია საბერძნეთში ცხოვრობს, ამჟამად – ქალაქ თესალონიკში, სადაც დაარსა ვაჟა-ფშაველას სახელობის საკვირაო სკოლა და ეხმარება ქართველ პატარებს მშობლიური ენის დაუფლებასა და არდავიწყებაში. იგი მრავალი ულამაზესი ლექსის ავტორია, რომელთაგან რამდენიმეს გაგაცნობთ, მაგრამ მანამდე მის პოეზიაზე მინდა ვისაუბრო.

დარწმუნებული ვარ, თითოეული თქვენგანი აუღელვებლად ვერ წაიკითხავთ ელგუჯა ციგროშვილის პოეზიას.

პოეტი-ემიგრანტი თითქოს არასოდეს მოშორებია მშობლიურ კუთხეს,მისი ტკივილით ცხოვრობს, მის ტანჯვას აუფორიაქებია მისი სული, როგორც ნისლა ხარი თქერავს სამშობლოს მიწა-წყალს, ისე მისი გონებაც მუდამ აქ არის და ესიყვარულება ყვავილებიან მინდვრებს, მთებსა და ქედებს, მდინარეებსა და მათ ნაპირებს, სულ პატარა კენჭებსა თუ ლოდებს, რომლებიც თავისი ლექსების მთავარ გმირებად უქცევია. „მე უკვდავი ვარ, ვიდრე შენ ხარ ამ ქვეყანაზე, მქმნელი მადლისა, ზოგჯერ ამ მადლს ხომ სტოვებს ქვაზე“... – ამბობს ლოდი ლექსში „ლოდის მონოლოგი“, რითაც სიკეთის ქმნისაკენ მოგვიწოდებს ჩვენ ადამიანებს, უბრალო მოკვდავთ.

უდიდესია პოეტის დარდი იმის გამო, რომ ახალ წელს, შემდგომ გაზაფხულს ვერ ხვდება მშობლიურ მიწაზე, დედის საფლავზეც კი ვერ გადის, რომ ერთი კონა ია მიიტანოს იქ და მხოლოდ ფრთათეთრ წეროებს ატანს სიყვარულით, სითბოთი, იმედებით სავსე ბარათებს, რომ ოდესმე დაბრუნდება და მხოლოდ რიტორიკულ კითხვას სვამს: „რატომ უჩემოდ?!“ რომლითაც ყველას მოგვმართავს: ღმერთსაც, ჩვენ, ქართველებს, მთელ მსოფლიოს, რომელსაც არ შეუძლია ბედნიერი გახადოს ადამიანი თავის მიწა-წყალზე და იძულებულს ხდის, ცხრა მთას იქით გადაიკარგოს ლუკმა-პურის საშოვნელად.

ელგუჯა ციგროშვილის ლექსებში ჩანს სამყაროს შეცნობის უდიდესი წყურვილი, ისმის ბევრი ფილოსოფიური შეკითხვა და სიტყვის დიდოსტატს პასუხებიც აქვს ბევრ კითხვაზე. ლექსებში გამოყენებულია ბიბლიური, მითოლოგიური სიუჟეტები, მათი საშუალებით ვუახლოვდებით და ვწვდებით, ვიმეცნებთ სამყაროს არსს, ადამიანის რაობას, მის ადგილს კოსმოსურ სივრცეში. პოეტს უსაზღვრო ფანტაზია აქვს, ის ხან ზღაპრების გმირია, დაუცხრომელი მებრძოლია, სამშობლოს გამათავისუფლებელი, ხანაც – ნაზი მიჯნური, რომელსაც ხელთ უპყრია ოქროს ქოში და ქვეყნიერებაზე ეძებს იმ ერთადერთს, კონკიას, რომელსაც, თუ საჭირო გახდება, მთელ სამყაროს გადაუფენს თვალწინ.

განსაკუთრებით ამაღელვებელია ელგუჯა ციგროშვილის სამიჯნურო პოეზია. „ქალს ყვავილებს ვადარებ“, – ამბობს ის და ასეცაა, მისთვის ქალები ყვავილებია ნარცისები და ტიტები, იები და ვარდები და თავის ლექსში „ყვავილთმწყემსი“ წერს: „შეეხე მხოლოდ ყნოსვით და მზერით, არ მსურს ყვავილთა ცრემლი ვიხილო“...

ის მოუწოდებს მამაკაცებს, სიხარული აჩუქონ ქალებს, არ სურს ქალის სახეზე ცრემლის დანახვა. მისი პოეზია გაჟღენთილია ღმრთისადმი უდიდესი სიყვარულით: „უფალიც წყალობას მამცემს, არ მინდა მე სხვა სიმდიდრე“! – წერს ავტორი ლექსში: „ღმერთო, იდიდე, იდიდე“! და მან კარგად იცის, რომ ღვთის ნების გარეშე არაფერი არ იქნება, მხოლოდ მას ძალუძს, სიზმარი რეალობად აქციოს, ქარის წისქვილები უკუღმა დაატრიალოს და ვიღაცის თავზე სიყვარულის მზეც დაკიდოს. „ზაფხულის მზეებს აგინთებ თვალში“, – წერს პოეტი, შეუძლებელია მისი შაირ-კაფიები წავიკითხოთ და მზეები არ დაგვენთოს თვალში.

ის კაფიების ოსტატია. როგორც ძველი ფშაველი, მისი ლექსები ფშაურ კილოკავზე დაწერილი განუმეორებელია, საკვირველია. „ვმალე და ვეღარ დავმალე, ფიქრები გულში ნადები... თვალებ ლოდინით დავღალე, ვიდრე შენ ამოჰბრძანდები“. – ეუბნება ცისკარს და ასე გვგონია, ჩვენ გვეუბნება, ასე გვგონია, ჩვენ გველოდება...

გავყვეთ მისი პოეზიის გზებსა და გზაწვრილებს, შევიმეცნოთ ჩვენი თავიც და პოეტის უდრეკი, მოუხრელი სული „კაი ყმისა“.

მაია დიაკონიძე

ეიბუჯა სიბიროშვილი

დედაშვილობა!

გადავეჩვიეთ მოფერებას ჩვენი მამულის,
გადაგვავიწყდა, როგორ უნდა ეს მოფერება...
სამშობლოს გარეთ სულ სხვა არის ტკივილი
სულის,
შორს, მირაჟივით მოჩანს ჩვენი ბედნიერება.

ვერ მივაღწიეთ... მის ძებნაში გავლიეთ დღენი,
მყუდრო სავანეც ვერ ვუპოვეთ გადაღლილ
სხეულს,
გავთითოკაცდით,— შეგვეყარა ეს მძიმე სენი,
ნუგეშისმცემიც არვინა გვყავს, ბოგანოს, ეულს.

ერს შეეყარა გულგრილობა,— როგორც სახადი,
სოდომურ ვნებას ბევრმა ფართოდ გაუღო კარი,
სუყველა ცოდვას აქვს თავისი გადასახადი
და გვავიწყდება ანგელოზთა მსჯავრი საზარი.

გავშორდით უფალს... სიყვარული სიტყვებად
დარჩა,
მაგრამ რა არის საზღაური სანაცვლოდ ამის?
სიხარბე თვალში და ღორულად კუჭისთვის გარჯა,
გავაფერმკრთალეთ მოლოდინი განკითხვის ჟამის.

პილატესავით დავიბანეთ ყველამ ხელები,
გამოფხიზლება არ ეღირსა ჩვენს მიძინებას,
არ გვსურს, რომ გავწყდეთ, ისე,— როგორც
არაგველები,
სხვის ხარჯზე ველით ივერიის გამობრწყინებას!

რამდენიმე კაცს წამოვკიდეთ მამულის ტვირთი,
სხვამ, ვინც რა შეძლო,— დაარიგეს ჭრელ-ჭრელ
ფარჩებად...
ისე გადაგვრეცხს ისტორიის მღელვრე ზვირთი,
ჩვენს ნასახლარზე ნაყორნალიც აღარ დარჩება!

არ ვუფრთხილდებით გამზრდელ მამულს,— ისე,
ვით დედას...
საკუთარივით არა გვტკივა მისი ჭრილობა,
გარეშე მტერიც მიტომაა, ამდენს რომ ბედავს,
რადგან ჩვენ თვითონ ვერ შევიგრძნეთ —
დედაშვილობა!!!

ვკითხულობ ვაჟას!

ვკითხულობ ვაჟას... არ მასვენებს „მბორგალი
სული“:
მე ვარ ალუდა, ვარ ბაკური და... ვარ მინდია;
ხან უკან მომდევს, ხან წინ მისწრებს ქვეყნის
წარსული
და ვერც კი ვიგებ, სარკმელს მიღმა რა ამინდია.
გულში მზეა და თვალებშიც კრთის მისი ნათელი,
ავი წყევდიადი ვერას აკლებს ღვთიურ განთიადს...
ბერი სანათას დანთებული თაფლის სანთელი,
ერის მომავლის იმედად და რწმენად ანთია!
ღმერთო! მასწავლე ლოცვა,— შენი სადიდებელი,
არ მათქმევინო სიტყვა:— ფშუტე, ბერწი,ლუგუმი,
შენ მოუმართე ერის კაცებს საქმეში ხელი,
„ლაშარის გორზე შასადგომად“ მოდის ლუხუმი!
დრო არ არსებობს... ვერ მძლევია,— ღვთიური
ნიჭის,
წარსულს ვერ ვარქმევ: „დროს გარდასულს“,
ან თუნდაც „სხვა ჟამს“... და როცა ძალზე მიხარია,
ან ძალზე მიჭირს,— ვკითხულობ ვაჟას!
ვკითხულობ ვაჟას! ვკითხულობ ვაჟას!

ემიგრანტული ფიქრები თელავზე

კავკასიონს გაუშლია მხარ-მკლავები
და აკავებს ჩრდილოეთის ქარებს, ოჩანს...
აქ სულ სხვა შუქს ასხივებენ ვარსკვლავები,
ცის ტატნობზე მათი მწყემსი მთვარეც მოჩანს.

სძინავს თელავს! ნაჯაფარის ძილით სძინავს,
მასთან ერთად ჩემს ბავშვობას სძინავს ტკბილად...
შორით,— ფიქრად მივეხლები ფანჯრის მინას,
ირგვლივ თითქოს არაფერიც არ შეცვლილა.

შევცქერ ვარსკვლავს, ბავშვობიდან ამორჩეულს,
ალმასივით მოკაშკაშეს ზეცის ღილად
და „ცივის მთა“, თელავ-ქალაქს, გამორჩეულს,
გადმოჰყურებს,— ეფერება მზერით თბილად.

ფიქრმა უკან დამაბრუნა, სულ სხვა დროში,
ვეფერები „ძველ გალავანს“, თეატრს, — ახალს...
და ჭადარიც თავის ბებერ ფუღუროში,
ამ ჩემს ლექსსაც სხვა თაობებს შეუნახავს!

სადაც კი დავალ!

რაც იღბლით მერგო, ვთვლი, რომ უფლის
განაჩენია...
ცოდვას ვერიდე, მაინც მწარედ დავრჩი ვნებული,
არც აკრძალული ხის ნაყოფი არ მიგემია,
თუმცა კი გავხდი — სამოთხიდან გამოგდებული!
ის სამოთხე ხარ, გაჩენიდან რაიც მიყვარდა,
მაწოვე ძუძუ, მზრუნველობით გამორჩეულით,
ქართული თიხით მოზელილი ადამი ვარ და...
სადაც კი დავალ, — საქართველო დამაქვს
სხეულით!
შორსა ვარ შენგან, ვაგვიანებ, ვით ოდისევსი...
სხვათ საამებლად ვგვემე ხორცი, დავტანჯე სული,
ვერ ვხვდები, ვის სურს მოგვითხაროს ძირი და
ფესვი,
არ მაქვს აწმყო და მომავალი... მხოლოდ
წარსული!!!
ისაც მანდ დამრჩა... თან მე არა წამიღია რა,
ვერაფრით ვხვდები, ბედმა ასე რატომ იურჩა
და ნოსტალგია, — მოურჩენი სულის იარა,
უცხო მიწაზე, არაფერმა არ დამიყუჩა.
სხვათა წალკოტში, ჩემთვის ვარდმაც არსად
ივარდა,
ვხარობ, — ლექსების გაცრეცილი, თხელი
რვეულით...
ქართული თიხით მოზელილი ადამი ვარ და
სადაც კი დავალ, — საქართველო დამაქვს
სხეულით!
უფალო! არ ვარ უმადური, რაიც მარგუნე...
ისე ვიარე, ბევრგან ვტოვე სიკეთის კვალი,
გთხოვ, ჩემს კურთხეულ სამოთხეში კვლავ
დამაბრუნე,
რომ ქართულ მიწას არ დააკლდეს ჩემგან
მისხალი.
არავინ იცის, ბოლო ჟამი ვისთვის სად მოვა,
ვის სად ეწვევა ბედისწერა ელვით თუ მეხით...
ღმერთო! იმას გთხოვ, წმინდა მიწის ეს მცირე
გროვა,
კვლავ სამოთხეში დავაბრუნო, ჩემივე ფეხით!
მე შენი ნდომა, არასოდეს გადამივარდა,
ყველგან მიყვარხარ, სიყვარულით წრფელით,
გრძნეულით...
ქართული თიხით მოზელილი ადამი ვარ და
სადაც კი დავალ, — საქართველო დამაქვს
სხეულით!

მთისქალასთვის ლოდინი

(მთის კილოზე)

ტალღები გულ-მკერდზე ეხლებიან,
ვნებას მისცემიან ე ლოდები...
ლოდინმა დამღალა, არი გვიან,
არაგვზე მთისქალას ველოდები.
გვირგვინი დავუწან იმისთანა,
მართლა დედოფლისთვის შესაფერი,
სუ ფეხით მოვგალე მინდორ-ყანა,
ყვაილებ ვარჩიე ათასფერი.
არც კაბისა ისმის შარიშური,
ბილიკებს გავცქერ და ვერა ვხედავ;
ბლომად დამიგროვდა საყვედური,
მოვა და... ერთს ვერ გავუბედავ.
იცის, რომ ბილიკზე ველოდები,
იცის და ლოდინით გამათავა...
ე ტალღა, ლოდს ყელზე მეეხვევა,
მაისურვილებს და ბარში წავა.
ლოდს კი რა? არც კი აათრთოლებს,
მისთვის უცხო არი დარდის თოვა...
იმ ჩავლილს თვალს არც გააყოლებს,
ტალღის მეტი რაა, სხვა ხომ მოვა.
მე მარტო ჩემ ერთას ველოდები,
ლოდივით არა მაქვს გული ქვისა...
ჩემ ირგვლივ ბევრია ლამაზები, —
დაკვლევაც არ მინდა არავისა!
ენას ვინ აუკრავს ნეტავ ქალებს,
ვისაც რა უნდოდეს, ის იყბედოს...
იმდენს დავუკოცნი ლამაზ თვალებს,
ბარისკენ სულ აღარ გაიხედოს!

და ბევრჯერ მინდა!

სხვისი მიწა ვერ გავითავისე,
ფიქრი არ სწყდება
მშობლიურ არეს...
და ბევრჯერ მინდა
ყმუილი ისე,
როგორაც მგელი
შეჰყმუის მთვარეს!

ლოდის მონოლოგი

„სიკეთე ქენ, ქვაზე დადე,
გამოივლი, წინ დაგხვდება“...

მე უკვდავი ვარ,
ვიდრე შენ ხარ ამ ქვეყანაზე,
მქმნელი მადლისა, ზოგჯერ ამ მადლს
ხომ სტოვებს ქვაზე...
მადლი რომ დადეს, ის ლოდი ვარ,
ჩემო ბატონო,
და ვეღარ ვიგებ, ის მპატრონობს, —
თუ მე ვპატრონობ!
ერთი კი ვიცი, ამ ლოდს ყველა
მაშინ იხსენებს,
ვიდრე სიკეთე, მადლის სახით,
ლოდზე ისვენებს.
მალ—მალე ქენით სიკეთე და
დადევით ქვაზე...
რომ ქვის გულებიც
სიყვარულის ამღერდნენ ხმაზე.

ჩვენებური

მუსტაფა იახუთი
(ბუჰამ ხიმშიაშვილი)



ნოდარ დუმბაძე და ფაქირ ბაიქურთი

თურქეთ-საქართველო – ორი მეზობელი ქვეყანა, ორი მეზობელი კულტურა და მწერლობა

1989 წლის ნოემბერში გაზეთ „ჯუმჰურიეთის“[1] (რესპუბლიკა) რედაქტორი სამი კარაორენი მეუღლესთან, ქალბატონ მეჰჩურესთან[2] ერთად ესტუმრა საქართველოს. თურქეთში დაბრუნების შემდეგ მან თავის გაზეთში გამოაქვეყნა წერილი ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებების შესახებ სათაურით: „სარფის კარი იხსნება მეგობრობისათვის“, რომელშიც იგი აღნიშნავდა:

„საბჭოთა კავშირის საზღვრის გახსნის შემდეგ ფრაზა „კარის მეზობელი“ ყველაზე უკეთ საქართველოს რესპუბლიკას მიესადაგა. საქართველოში თურქეთის მიმართ სიყვარული იმდენად გულითადია, იმდენად თბილი, რომ სარფის კარის გახსნას ძალიან სასიხარულო მოვლენად თვლიან; ის კი არადა, დაგვიანებულადაც მიაჩნიათ... მომავალში კი კეთილმეზობლური ურთიერთობების გაფართოება-გაღრმავება სურთ. საქართველოში უნივერსიტეტი ძალზედ დაფასებული სასწავლებელია. დამოკიდებულება მეცნიერებისადმი იმდენად მაღალ დონეზეა, რომ უნივერსიტეტი საქართველოში „ცოდნის ტაძრად“ ქცეულა. თბილისში დიდი ხანია არსებობს მეცნიერებათა აკადემია, რომელსაც ორმოცზე მეტი კვლევითი ინსტიტუტი ექვემდებარება“.

საქართველოში თურქული ენა, ისტორია და თურქული მწერლობა ძალიან სერიოზულად ისწავლება. თავდაპირველად ქართველი ლექტორები ოსმალურსა და თურქულს დიდი მონდომებით წიგნებიდან სწავლობდნენ. იმხანად მხოლოდ პროფესორი სერგი ჯიქია (1898-1993) – საქართველოში თურქოლოგიური დარგის დამაარსებელი – გახლდათ ნამყოფი თურქეთში. 1927 წელს თურქოლოგიაში დასახელოვნებლად იგი ჩადის თურქეთში და ორი წელი სწავლობს სტამბოლის უნივერსიტეტში. აქ სერგი ჯიქია ისმენს ისეთი ცნობილი თურქი მეცნიერების ლექციებს, როგორებიც არიან: ფუათ ქოფრულუ და ორჰან შაიქ გიოქიაი. შემდეგ იგი მოღვაწეობას აგრძელებს რუსეთის[3] თურქოლოგიურ წრეებში. 1936 წელს ბატონი სერგი ბრუნდება თბილისის უნივერსიტეტში, სადაც მას აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების ხელმძღვანელად ირჩევენ. ამრიგად, სერგი ჯიქია ხდება პირველი ლექტორი, რომელიც კითხულობს ლექციებს თურქოლოგიურ საგნებში. შემდეგ იგი ინიშნება აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანად. მისი შედგენილია მოკლე ქართულ-თურქული ლექსიკონი,[4] იგი კითხულობდა თურქულ ისტორიულ წყაროებს,[5] იკვლევდა თურქულ-ქართულ ენობრივ ურთიერთობებს, ადგენდა საკითხავ წიგნებს თურქულ ენაში. სერგი ჯიქიას მიერ დაარსებული ქართული თურქოლოგიური სკოლისა და იქ აღზრდილი თურქოლოგების ნამუშევრების წყალობით, ქართველი საზოგადოება თანდათან გაეცნო ცნობილი თურქი მწერლების ნაწარმოებებს.

1940-იანი წლებიდან მოყოლებული, ითარგმნა ნაზიმ ჰიქმეთი, მას მოჰყვა იაშარ ქემალი, აზიზ ნესინი და ფაქირ ბაიქურთი, ასევე საბაჰათინ ალი, ომერ სეიფეთინი, უმით იაშარი, ორჰან ველი, ჯაჰით ქულები, აჰმეთ რასიმი, მელიჰ ჯევდეთ ანდაი, საით ფაიქი, ფაზილ ჰუსნუ დაღლარჯა, ჰალდუნ თანერი, ორჰან ფამუქი, აჰმეთ უმითი, აიშე კულინი და კიდევ უამრავი სხვა მწერლის ჩამოთვლაა შესაძლებელი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართულად თარგმნილია ფაქირ ბაიქურთის რომანი „გველების შურისძიება“, რომელიც თურქული ლიტერატურის კლასიკურ ნაწარმოებად ითვლება. ასევე თარგმნილია მისი მოთხრობები: „ჭორფლიანი“, „გნოლი“ და სხვ.

ახლა თურქულად თარგმნილ ქართულ ლიტერატურას გადავხედოთ. გარდა 1968 წელს გამოსული აჰმეთ ოზქან მელაშვილის წიგნისა „საქართველო“, მანამდე საქართველოსა და ქართული ლიტერატურის შესახებ არაფერი იყო გამოცემული. 1969 წელს გამოქვეყნდა ნოდარ დუმბაძის რომანი „მე ვხედავ მზეს“. სხვადასხვა

1. გაზეთი „ჯუმჰურიეთი“ დღესაც გამოდის თურქეთში და მემარცხენე-დემოკრატების გაზეთად ითვლება (აქ და შემდეგში შენიშვნები ეკუთვნის მთარგმნელს).

2. სამწუხაროდ, ბატონი სამი კარაორენი გარდაიცვალა სულ ახლახან, 2022 წლის 12 მაისს, ხოლო მისი მეუღლე, ქალბატონი მეჰჩურე დიდი ხნის – 20 წლის გარდაცვლილია.

3. კერძოდ, სანქტ-პეტერბურგის, იმხანად ლენინგრადის ორიენტალისტიკის სკოლაში.

4. მოკლე ქართულ-თურქული და თურქულ-ქართული ლექსიკონი ვენერა ჯანგიძესთან ერთად.

5. გამოცემულია „გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი“, სამი ტომი.

მუსტაფა იაკუთი (გურამ ხიმშიაშვილი) ნოდარ დუმბაძის ქალიშვილ ქეთევანთან ერთად. სტამბოლი, 2019 წ.

ენაზე თარგმნილი ეს წიგნი თურქულად ითარგმნა გერმანულიდან მეჩურე კარაორენის მიერ. მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოები არ იყო თარგმნილი დედნიდან, თარგმანი ისეთი მშვენიერი გამოდგა, რომ არაერთხელ დაიბეჭდა განმეორებით. იმ პერიოდში ქართულიდან თურქულად მთარგმნელები ფაქტობრივად არ იყვნენ. აჰმეთ ოზქან მელაშვილმა კარაორენების ოჯახი სწორედ ამ მიზეზით გაიცნო. მელაშვილის სამი კარაორენთან კონსულტაციები ქართულიდან თურქულად თარგმნილი წიგნების გამოქვეყნების თაობაზე ბოლომდე, მის გარდაცვალებამდე გაგრძელდა. ხოლო ფაქირ ბაიქურთის სიყვარული ნოდარ დუმბაძის მიმართ მისი სწორედ ამ რომანის გაცნობით დაიწყო.

2020 წლის 11-12 დეკემბერს ბურსის ვილაეთის ნილუფერის რაიონის მუნიციპალიტეტმა ონლაინრეჟიმში ჩაატარა ორდღიანი საერთაშორისო სიმპოზიუმი ეგიდით – „მწერალი, რომელმაც მინდორ-ველებს ფერი უცვალა/ წლის საუკეთესო მწერალი ფაქირ ბაიქურთი“.

გამომცემლობების მიერ დადასტურდა, რომ ფაქირ ბაიქურთის ლიტერატურულ მემკვიდრეობას შეადგენს 14 რომანი, ერთი ავტობიოგრაფიული ნაწარმოები, რომელიც რვა ტომს მოიცავს და 50-ზე მეტი სხვა წიგნი. იგი შეფასდა, როგორც თურქული ენის მედროშე მწერალი, რომელმაც მტკიცე ხიდი გასდო სოფელსა და ქალაქს შორის და რომელმაც სოფლის ველ-მინდვრებს ფერი უცვალა. თავის მოთხრობებსა და რომანებში მწერალი აღწერს სოფლის მკაცრ ცხოვრებას, სიდუხჭირეს, უმეცრებას, ფანატიზმს, ცრურწმენებს და ექსპლოატირებულ ხალხს. სოფლის მცხოვრებთა მატერიალურ და სულიერ სამყაროს იგი სოციალური და რეალისტური კუთხით წარმოგვიდგენს.

ბაიქურთმა, თავისი მრავალმხრივი პიროვნებით, როგორც ოსტატმა, რომანისტმა და ნოველისტმა, რეალისტმა და რევოლუციონერმა მიზნებისა და სურვილების განსახორციელებლად არ იკმარა მხოლოდ მწერლობა და ცხოვრებაშიც აქტიურ მოქმედებაზე გადავიდა.

როგორც ნამდვილი ინტელექტუალი, ინტელექტუალური პასუხისმგებლობით აღჭურვილი, საზოგადოების სამსახურში ჩადგა. განათლების დარგში მისი აქტიურ რევოლუციონერად გარდამქმნელი სწორედ რომ ეს მისი ინტელექტუალური პასუხისმგებლობა გახლდათ.

როგორც ადამიანი, მწერალი გარშემო მყოფთ დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ეპყრობა; საზოგადოებას აკვირდება, კარგად ამჩნევს მის მანკიერ მხარეებს, ნაკლოვანებებს და აკრიტიკებს მას.

როგორც მასწავლებელს, განათლებისა და მასწავლებელთა მოძრაობის საქმეში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გასული საუკუნის 60-იან წლებში მასწავლებელთა მოძრაობის ჩამოყალიბებაში, თურქეთის მასწავლებელთა პროფკავშირის დაარსებაში და თავად აიღო ინიციატივა მისი ხელმძღვანელობისა.

ფაქირ ბაიქურთმა განათლება გონენის სოფლის ინსტიტუტში მიიღო. ამ წლებში იზრდება მისი ინტერესი პოეზიის მიმართ. 1948 წელს მან სოფლის ინსტიტუტი დაამთავრა და ხუთი წელი იმუშავა სოფლის მასწავლებლად იეშილოვაში. შემდეგ სწავლას აგრძელებს პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომელსაც ამთავრებს 1955 წელს თურქული ენის მასწავლებლის სტატუსით.

1958 წელს მისი რომანი „გველების შურისძიება“ იუნუს ნადის პრემიით აღინიშნა. 1969 წლის 15-18 დეკემბერს მეგობრებთან ერთად მოამზადა და უხელმძღვანელა მასწავლებელთა ოთხდღიან დიდ ბოიკოტს. თურქეთის მასწავლებელთა 70% ამ ბოიკოტს შეუერთდა.

1971 წლის 12 მარტის მემორანდუმის გამოქვეყნების შემდეგ ფაქირ ბაიქურთი დააპატიმრეს და ხანგრძლივი დროით ციხეში გამოამწყვდიეს.

1979 წელს მწერალი გერმანიის ქ. დუისბურგში დასახლდა და ცხოვრების დარჩენილი 20 წელი გერმანიაში გაატარა. იქაც წერა გააგრძელა. ანატოლიის ხალხის ჰუმანიზმი გერმანიაში გადაიტანა. ბაიქურთის წიგნებში გმირები განუწყვეტლივ იბრძვიან. სოციალისტური რეალიზმი კი, რომლის გამოც იგი უსიამოვნებაში გაეხვა, სახელმწიფოსათვის სახიფათო მიმდინარეობას წარმოადგენდა. მწერლის რომანების მოქმედი პირები სოფელში მცხოვრები ადამიანების შეუპოვარი მაგალითებია. თავის ნაწარმოებებში ფ. ბაიქურთი აგვიწერს გლეხთა მუდმივ წინააღმდეგობას ბედისწერისა და დრომოჭმული ტრადიციების მიმართ; ითავისებს რა რეალობას, ხალხი უარყოფს შეჩვეულსა და ყავლგასულს.

შემოქმედებითი ქარგის საშუალებით ბავშვის, ქალის, კაცისა თუ მთელი საზოგადოების გარდაქმნა და მდინარესავით თავიდან ახალი კალაპოტის ძიება იქცა მწერლის ახალ კრედოდ გერმანიაში.

ფაქირ ბაიქურთი ნოდარ დუმბაძეს გაეცნო და შეიყვარა რომანით „მე ვხედავ მზეს“. მიუხედავად იმისა, რომ მას ძალიან უნდოდა, პირადად გასცნობოდა ავტორს, ამ სურვილს ახდენა არ

თურქი კლასიკოსი მწერალი ფაქირ ბაიქურთი (შუაში), მარჯვნივ უდგას ჩვენებური ქართველი ილია ხიმშიაშვილი – გერმანიაში ერთ-ერთი თურქული სკოლის პედაგოგებთან და მოსწავლეებთან ერთად.

ეწერა. 1983 წელს საბჭოთა კავშირში სამოგზაუროდ ჩამოსული მწერალი, ვაჟიშვილ თონგუჩთან ერთად ბაქოში ჩადის და იქიდან ბათუმს მიმავალი თბილისშიც შეივლის. მაგრამ ნოდარ დუმბაძის ავადმყოფობისა და ხანგრძლივი მკურნალობის ქვეშ ყოფნის გამო შეხვედრა არ მოხერხდა. შემდეგ მას გერმანიაში გაცნობილი ქართული წარმოშობის ამხანაგთან აბდურაჰმან ჩეთინკაიასთან (ილია ხიმშიაშვილთან) ერთად არაერთხელ მოუწევს ჩამოსვლა საქართველოში და ყოველთვის გულდაწყვეტით მოისაკლისებს ქართველ სულიერ მეგობარს, რადგან ნოდარ დუმბაძე 1984 წელს გარდაიცვალა და თურქ კოლეგას იგი ცოცხალი აღარ დახვდა.

1987 წელს ილია ჭავჭავაძის 150-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე ფაქირ ბაიქურთი თურქეთიდან მოწვეულ მწერალთა სიაშია. მის გარდა საქართველოს თურქეთიდან ეწვივნენ: თაჰსინ სარაჯი, აზიზ ჩალიშლარი, ჰაიათი ასილიაზიჯი, ჰაირი ჰაირიოღლუ, ოსმან ნური მერჯანი და აბდურაჰმან ჩეთინკაია.

1988 წელს ფაქირ ბაიქურთი აბდურაჰმან ჩეთინკაიას დახმარებით თარგმნის ბათუმელი პოეტის ფრიდონ ხალვაშის ლექსებს. გამომცემლობა „ორთადოღუს“ (შუა აღმოსავლეთი) მიერ წიგნი გამოიცა, როგორც გერმანიაში თურქულ ენაზე დაბეჭდილი პირველი ქართველი პოეტის წიგნი. 1988 წელს საქართველოში ვიზიტისას თურქი მწერალი ესტუმრება თბილისში, ვაკის უბანში მდებარე ნოდარ დუმბაძის სახლ-მუზეუმს, პარკ „მზიურს“, მოინახულებს საგურამოში მუზეუმად ქცეულ მწერლის საზაფხულო აგარაკს. ესტუმრება თბილისიდან 300 კმ-ის მანძილზე მდებარე გურიასა და სოფელ ზენობანს, სადაც ნოდარ დუმბაძემ გაატარა ბავშვობა. ამ მგზავრობაში მას ახლდნენ: მწერლის მეუღლე, ქალბატონი ნანული, ქალიშვილი ქეთევანი და იმხანად თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი, ართვინელი ჭაბუკი ჰასან ჩელიქი. ზენობანში მათ დახვდათ ალი ალთუნი, რომელიც მაშინ „მარადისობის კანონს“ თარგმნიდა თურქულად.

ცხრა წლის ასაკში დაობლებული ნოდარ დუმბაძე სოფ. ზენობანში ბებიასთან ჩაიყვანეს. 1945 წელს იგი ამთავრებს სოფ. ხიდისთავის საშუალო სკოლას და უმაღლესი განათლების მისაღებად თბილისს უბრუნდება. 1950 წელს ამთავრებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტს. იმავე წელს ქართულ გაზეთებსა და ჟურნალებში ლექსებისა და იუმორისტული მოთხრობების გამოქვეყნებას იწყებს.

1967-1972 წლებში ნოდარ დუმბაძე იყო საბჭოთა მწერალთა კავშირის წევრი და საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი, თან რედაქტორობდა იუმორისტულ ჟურნალს, სახელწოდებით „ნიანგი“. მისი თითქმის ყველა ნაწარმოები იდგმებოდა ხოლმე თეატრების სცენაზე ან გადაღებულია კინოფილმებად.

ნოდარ დუმბაძის ავტოგრაფიული რომანი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ პირველად თურქულად ითარგმნა გულიზარ ჭელიძის[6] მიერ, ხოლო თარგმანის რედაქტირება იტვირთა ცნობილმა თურქმა მწერალმა ფაქირ ბაიქურთმა. მაგრამ, სამწუხაროდ, გამოქვეყნდა ამ რომანის სხვა მთარგმნელის მიერ თურქულად თარგმნილი ვერსია. ამიტომ გულიზარ ჭელიძის თარგმანმა და ფაქირ ბაიქურთის ამ რომანისათვის დაწერილმა ისტორიულმა წინასიტყვაობამ[7] დღემდე ვერ მიაღწია თურქ მკითხველამდე.

თურქულიდან თარგმნა ნანა კაჭარავამ

---

6. გასული საუკუნის მეორე ნახევარში თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე თურქული სამეტყველო ენის პედაგოგი.

7. სამაგიეროდ, იგი იხილა ქართველმა მკითხველმა. წერილის გაგრძელება ანუ ფაქირ ბაიქურთის მიერ ნოდარ დუმბაძის რომანისათვის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ დაწერილი წინასიტყვაობა უკვე თარგმნილია და დაბეჭდილი ჟურნალში – „აღმოსავლეთმცოდნეობა Oriental Studies“, №8, თსუ გამომცემლობა, 2019, გვ.198-205.

თურქულიდან თარგმნა
ეთერ სადაღაშვილმა

თურქი ქალი პოეტები

ჰალიდე ნესხეთ ზოჩღეთუნა

1901 - 1984

* * *

გამეცალე, ამ ჩრდილებში რა გინდა...
გაზაფხულის მზერა ისევ მთვრალია,
ნუ შეცდები, ჩემს გულს ნუ ესტუმრები,
სალოცავთან ჩარაზული კარია.
ტაძარია, მეიჰანე[1] კი არა!

ამ გვირილებს რად აქვთ ოქროს გვირგვინი,
მზისფერ თმებში დაიბნიე ვარდები,
გაზაფხულო, წადი, ღვთის გულისათვის,
მუხლმოდრეკილ ქალწულებს ნუ ადარდებ...
გულს ნუ მოხვალ, ის კაშანე[2] არაა!

სიკაშკაშე, სურნელება, ფერები,
ერთი დღე და კიდევ ერთი ქორწილი,
ბულბულს მკერდში უზის მისი ლანდები, —
ბულბულს მკერდში ეღვრებიან ვარდები!
ლამაზი ხარ, ვიცი, არ მეჩვენები!

გაზაფხულო, წადი, სხვა გზებს უღიმე!
ზღვას ფერები საჩუქრებად ეყაროს,
ცის ტატნობზე, ცის კიდეზე იარე,
ოღონდ ჩემს გულს, ამ გულს არ გაეკარო.
კანდელია, ფეიმანე[3] კი არა.

1. გასართობი ადგილი, ტავერნა
2. სასახლე
3. სასმისი ალკოჰოლისთვის.

შუქუფე ნიჰ�-ბაშაჰი

1896 - 1973

* * *

ოქროსფერ ქვიშას დავაწერე შენი სახელი.
უკანასკნელი შევიწმინდე ცრემლის წვეთები,
ზღვისპირას ვზივარ, ნავებს ვითვლი,
შენგან სახსოვარს —
ვუმზერ თეთრ ცივ ქვას, გამყინვია სული
ქვასავით!
ისევ ქრის ქარი, ბობოქრობენ ისევ ტალღები,
ბოლო ოცნებაც დამეკარგა, სადღაც ქვიშაში...
დამარცხებული ვუმზერ სივრცეს, მზეც მე
ჩამომგავს,
გაჰხუნებია მასაც ფერი, ისიც ფითრდება.
წამიღე ზღვაო, გამიტაცე მაგ წყლის ქვეშეთში,
ვიღა ვარ, მხოლოდ ერთი ქვა ვარ, ათას ქვებს
შორის,
„ნუ გავიყრებით, ერთად ვცუროთ,
ხელჩაკიდულმა“ —
ოდესღაც სატრფომ, ამ სიტყვებით გამიშვა ხელი...

ჰულია დენიზ უნალი

ძალიან კარგი ამინდია დღეს

კარგი ამინდია, რამე გავაკეთოთ,
კარგი ამინდია, მოდი,
ბორანზე ავიდეთ, გაღმა გადავიდეთ,
ინჯირათალის კბოდეს.
ანდა იქნებ სხვა რამ...
მსგავსი რამეებით, ამინდს დავახსომოთ თავი,
ავტობუსს შევახტეთ, სარნიჩში წავიდეთ....
ანდა... მოვიფიქროთ რამე...
ბორანზე თოლიების გულები მოვიგოთ, —
პური ვუწილადოთ ერთი,
სარნიჩში იქნება სტეპების კვალს მივყვეთ,
ან ზღვაში ვისროლოთ ქვები.
ანდა მონატრებით, თურქელ მინიბაშის —
ჩვენი ლამაზი მწერლის,
სადგურის კაფეში ჩაი დავლიოთ და
ჩაით გავიხსენოთ, მწველით.
ნახვა რომ გვინდოდა, ვნახოთ ადგილები,
გაზზე, მაგალითად, ომი,
გაზზე ვარდია და ადამიანების
სინდისს დაეკლავს, მგონი,
რადგან პატარების ცრემლები არ წყდება,
რადგან მშვიდობაა შორი,
შხამით დანამული ოლეანდრებიდან
დარდი ცრემლებად მოდის....

კარგი ამინდია, რაც ვერ გავაკეთეთ,
დღეს ის გავაკეთოთ, მოდი.

ბუღთენ აქინი

1933 - 2015

ლექსი დამსხვრეულ ქალებს

ლამაზი კანი რომ მირაჟია,
ბოლოს რომ ქრება,
იციან ქალებმა,
ქალებმა, რომლებიც ბოლოს
მკითხაობის ჭაობში იძირებიან.
სადღაც სიბნელეში, დაშვებული,
იდუმალი ფარდის მიღმიდან
ნამარჩიელები იმედების
სხივი, მხოლოდ
იმ დაშვებული ფარდების
სიგრძის ზომაა.
ეძიებენ იმედებს ქალები...

ვის აინტერესებს
მათი სამყარო,
რკინაა? ცეცხლია?
თუ ჯოჯოხეთია.
პროპელერივით მობზრიალენი,
ფერადი შუშების
მსხვრევა-მსხვრევით,
დამსხვრეული ფრთებით,

* * *

ვსხედვართ
ოცნებების ყავახანაში
და
ვსვამთ
ცხოვრების ჩაის.
ყოველ ჯერზე, ნაკლებად
გვეწვება ტუჩები.
ყოველ ჯერზე უფრო
გრილია, ჩვენი ჩაი.
ყავახანაც დანგრევის პირასაა
თითქმის...
მომსვლელნი იგივე...
წამსვლელნი იგივე...
ხომ არ გავიდეთ
აწი ყავახანიდან?
ერთი ყლუპიც კიდევ?
რატომ?
არ მოგბეზრდა
ტუჩების წვა
ჯერკიდევ?

ანასტასია დმიტრუკ (უკრაინა)

თავისუფალი თარგმანი
ირინე გოჩაშვილისა

ჩვენ ველარასდროს...

(რუს ოკუპანტ „ძმებს“!)

ჩვენ ველარასდროს ვიქნებით ძმები
ველარც აღმართზე და ველარც – დაღმა!
თავს არ დავიღლით სიკეთის ძებნით,
არ გამოგვრიყავს ერთი ზღვის ტალღა!
ჩვენ ველარასდროს, ორიოდ წვეთსაც,
ვერ მოვასხურებთ ბაგეებს მწყურვალს!
არ შეგვაწუხებს ერთურთის კვნესა,
ცეცხლი, მახვილი, ზეიმი, ურვა!
ჩვენ ველარასდროს ამდენ სიცრუეს
ვერ ავირეკლავთ ბატკნის თვალებით!
ამიერიდან მხოლოდ ვიცხოვრებთ
გულგრილობით და სამტრო ძალებით!
უკვე ჩამდგარა ჩვენ შორის ყინვა
თოთო ბავშვების სისხლით და ცრემლით!
მთა მუჰამედთან უფრორე მივა,
ვიდრე გალღვება ტკივილი გრდემლის!
აღარასოდეს არ შეიკვრების
ჩვენი ხელებით, საერთო ძნები...
ჩვენ არ ვყოფილვართ და ვერც ვიქნებით
სისხლისმიერი დები და ძმები!

ქალი პროზა

ბიოხბი ალავეიდაშვილი



„ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“...

მე ხელმეორედ მიპოვეს, უფრო სწორად – მკვდრეთით აღმადგინეს! კარგად მახსოვს, ჩემი ცხოვრების პირველი წლები უნივერმაღ „თბილისის“ საკანცელარიო ნივთების ერთ-ერთ განყოფილებაში გავატარე. ჩემმა პირველმა პატრონმა, გამყიდველმა გოგონამ პირველად რომ გადამშალა, გული სიხარულისგან ამიჩქროლდა... მაგრამ ლამაზი თვალებით მხოლოდ გადამათვალიერა და მალევე დამხურა... მერე თაროზე შემომდო და ზემოდან თავისი „Make-up“ დამალაგა... მის შემდეგ კოსმეტიკის გახსენებაზე ვბაცდები...

ერთხელაც ჩვენს დახლს ერთი კაცი მოუახლოვდა. საკანცელარიო ნივთების თვალიერებაში უცებ შემამჩნია და მაშინვე თვალებში საოცარი სხივი ჩაუდგა. შემდეგ გამყიდველს რამდენიმე ფანქარი, საშლელი და სახაზავი გადმოაღებინა, მსხვილი კუპიურა გაუწოდა და ვითომ ხუმრობით უთხრა: ამ ყველაფერს თაროზე შემოდებული ის წიგნიც დაამატეთ და თქვენი ხურდა აღარ მინდაო! მაშინვე ვიგრძენი, სასიცოცხლო ძალა რომ მემატებოდა!

ჩემდა გასაკვირად, გამყიდველმა გოგონამ არაფრისდიდებით ხურდა არ დაიტოვა, მე კი დიდი ზარ-ზეიმით გადამცა...

მე ახალი ცხოვრება დავიწყე. ყველაზე მეტად კი ის მიხარია, რომ აქეთ-იქიდან გვერდში ჩემი ძმები მიდგანან: „მარტის მამალი“ და „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“. სხვებიც გავიცანი უკვე. ყველაზე მეტად მაია ტუროვსკაიას „შვიდნახევარი, ანუ ანდრეი ტარკოვსკის ფილმები“ დამამახსოვრდა. ყურადღება კი იმიტომ მივაქციე, რომ ახალი პატრონის სიტყვები გამახსენდა, მეგობარს რომ ეუბნებოდა: „ისინი ერთმანეთს იმაში ჰგვანან, რომ ოთარ ჭილაძეს განსაკუთრებული მკითხველი ჰყავს, ანდრეი ტარკოვსკის კი – განსაკუთრებული მაყურებელი!“

აშკარად ვგრძნობ, რომ ბოლო ხანებში გაბაცებული ასოები გამიმკვეთრდა და მგონი შინაგანად ვანათებ კიდეც!

„ყოველმან ჩემმან მპოვნელმან მომკლას მე“.

ყოველმან ჩემმან მპოვნელმან მკვდრეთით აღმადგინოს მე.

გაზაფხულდა?

დღეს პირველად მოყინა სერიოზულად. ჯერ თოვლი არ მოსულა, მაგრამ ყველაფერი თოვლისფრად არის გადაჭირხლული. ხვალ სახლ-კარის დასახედად კახეთში ვაპირებ წასვლას, იქნებ ხის კენწეროებზე შემორჩენილ ხილსაც კი გამოვკრა ხელი, შემოდგომაზე დაკრეფვა რომ დამეზარა და დავტოვე...

ვნატრობ: ერთი-ორი დღეც და მერე მოთოვოს და გაყინოს კიდეც... მთელი კახეთი რომ ელოდება. მეტროს ვაგონში ხალვათობაა. შემოდიან სიცივისაგან აბუზული ადამიანები. სითბოზე ნელ-ნელა სულს ითქვამენ და მერე წელში სწორდებიან. ერთ-ერთ სადგურში ხნიერი კაცი შემოვიდა ხელში თავმომწონე ყოჩივარდების პატარა თაიგულებით, მხარზე ჩანთით – ისიც ყოჩივარდებით სავსე.

– შე კაი ადამიანო, ჯერ ზამთარი არ დამდგარა ხეირიანად და შენ კი გაზაფხული მოგყავს? – გავიფიქრე და გვერდზე გავიხედე. მიესივნენ გოგო-ბიჭები. ბაიყუშივით ვდგავარ მე. „როგორ ენატრება ხალხს სილამაზე და სიყვარული“! – გავიფიქრე და ერთი კონა მეც ვიყიდე, ოღონდ არ ვიცოდი, ვისთვის, ალბათ თოვლის დედოფლისთვის, მაღლა რომ მელოდებოდა ლაპლანდიაში წასაყვანად...

მეტროს ამოსასვლელთან ავტობუსის გაჩერება იყო. ჯიბეში ყოჩივარდით ხელში (აბა, სად წამეღო?) ვდგავარ და ავტობუსიდან ხალხის ჩამოსვლას ველოდები. ჩემ გვერდით მდგარ ბავშვიან გოგონას გზა დავუთმე, თან მეორე ხელი ავტობუსიდან ჩამომსვლელ ხნიერ ქალბატონს შევაშველე.

– გამომართვი, შვილო! – ჩაიჩურჩულა ხნიერმა ქალბატონმა და თავისი ბილეთი ბავშვიან გოგონას გაუწოდა.

– ინებეთ, ქალბატონო! – ყოჩივარდები გავუწოდე მე. მგზავრები თბილი ღიმილით გვიყურებდნენ... უკვე მართლა დათბა!

წნორის ღვინო

ლომის ოქროს ქანდაკება, რომელიც ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით თარიღდება, წნორის მახლობლად, ერთ-ერთ ყორღანში, ანუ თეფაშია ნაპოვნი. თვითონ წნორის განაშენიანებას საფუძველი რკინიგზის მშენებლობამ ჩაუყარა XIX საუკუნის ბოლოს.

ამ ადგილას ადრე ვეებერთელა წნორის ხე მდგარა, რომლის ძირში წყაროს წყალი ამოჩუხჩუხებდა თურმე. რკინიგზის სადგურს ახლაც „წნორის წყალი“ ჰქვია, მაგრამ სადღაა წყალი? ზაფხულობით წნორი გავარვარებულ ჯამს ჰგავს, რომელსაც თავზე ალმური ასდის! სამაგიეროდ ღვინოები გამოდის საუკეთესო ამ მხარეში. წინაღმდეგი არ ვიქნები, თუ „წნორის წყალს“ სახელი შეეცვლება და დაერქმევა ახალი სახელი – „წნორის ღვინო“.

თვალებში შუქი მომემატა,
მუხლებში – ძალა!
წნორის ღვინოს ვეზიარე
და გავსპეტაკდი!
.....
ქიზიყს ვსტუმრობდი!

სოფანია – სოფიკო

ჩემი ქალიშვილი დღეს პირველად შემხვდა ქუჩაში.

სამსახურიდან გამოსული გაჩერებაზე გავჩერდი. მოსაცდელში სკამზე ჩამოვჯექი და მგზავრებს ვათვალიერებდი. ხალხის ნაკადში ჩემი ყურადღება ვარდისფერკაბიანმა გოგონამ მიიქცია, რომელიც ნელა-ნელა აღმართს მოუყვებოდა და დროდადრო თაბახის ფურცლით სახეს ინიავებდა. უცებ სასიამოვნო გრძნობამ დამიარა – ვარდისფერკაბიანში საკუთარი ქალიშვილი ამოვიცანი!

მისი პატარაობა გამახსენდა. საოცარი ბავშვი იყო – ანცი და ჭკუით სავსე. ერთხელ, ჩვენმა სტუმარმა, ქეთინო ღვედაშვილმა დიდი ტორტი გამოაცხო, მაგიდაზე დადგა და გვითხრა, ეს ჩვენი საგვარეულო» ტორტია და მხოლოდ ღვედაშვილებმა უნდა მიირთვანო, სოფანიამ კი ჩანგალი მოიმარჯვა და მორცხვად გამოგვიცხადა, მე „ღედასვილი“ ვარო! ერთხელაც საბავშვო ბაღში წასვლის წინ კაბა ცოტა დაეჭმუჭნა, მეუღლემ თქვა, უცებ გადავაუთავებ და ისე წაიყვანეო. გულგახეთქილი სოფანია ფართხა-ფურთხით მომვარდა და შეშინებული ჩამეხვია... ალბათ იფიქრა, რომ დედამისი ჩაცმული კაბის დაუთოვებას აპირებდა...

პატარ-პატარა ოინბაზობები კი ცალკე:

პურის საყიდლად ეზოში ჩავედი. მეშვიდე სართულიდან დამინახა ორი წლის სოფანიამ. „პატალა მამა“! – გახარებია, შემდეგ კი სამსახურში წასვლამდე შარვალი ფეხსაცმელების ჯაგრისით „გამიწმინდა“. რამდენჯერმე კი დამაგრძელებელი გადაჭრა ცულით...

გარდამავალ ასაკში რაღაც შიშები დასჩემდა. შებინდდებოდა თუ არა, გარეთ ვერ გამოდიოდა. იმ პერიოდში ზაფხული სოფელში გაატარა, საიდანაც წერილი მომწერა – მეშინია და თავს ვერაფერს ვუხერხებო. მეც საპასუხოდ ვრცელი პასუხი გავუგზავნე, სადაც ვწერდი, თუ როგორ აღმწერა ცნობილი უფოლოგის, თალეს შონიას ძმამ – გიორგიმ: თავზე ანტენები გაქვს და მიწაზეც ვეებერთელა კუდი დაგთრევსო! მეტი დამაჯერებლობისთვის ტექსტს დაუშრეტელი ფანტასტიკის ოსტატის, ჰიერონიმუს ბოსხის ერთი ფიგურაც მივახატე – ალბათ გახსოვთ თენგიზ აბულაძის ფილმიდან „მონანიება“ ეპიზოდი ეკლესიაში: ლაბორატორიაში რადიოთი ისმის გადაცემა ციკლიდან – „მსოფლიოს გამოჩენილი მეცნიერები. ალბერტ აინშტაინი“ მის ანდერძს კითხულობენ. ეკლესიაში განლაგებულ უზარმაზარ მოწყობილობებს შორის კი სწრაფად ჩაივლის მწვანე-ცისფერკაბიანი ქალი. იგი მიათრევს გრძელ კუდს, თავზე სქელტანიანი წიგნი ადევს, წიგნზე ზის ვირთაგვა (სახე მეცნიერებისა, რომელიც საკუთარ თავს ჭამს). ნახატს კი ასეთი მინაწერი გავუკეთე: „რადგან ჩემი შვილი ხარ, „პაწუა“ ანტენები შენც გექნება, როცა არასასიამოვნო ფიქრებში გაეხვევი, „გადმომიგზავნე“ და არაფერზე იფიქრო-მეთქი“.

გასჭრა.

მოეხსნა შიშები.

– მამა?! რატომღაც ვიცოდი, რომ აქ შეგხვდებოდი! უნივერსიტეტში ვიყავი, განცხადება უნდა დამეწერა, მაგრამ რექტორის არჩევნებიაო და არ შეგვიშვეს.

– მერე აქ საიდანღა გაჩნდი?

– ელბაქიძე ფეხით ჩამოვიარე, მერე კი შენკენ გამოვწიე, ბარემ ერთად წავიდეთ სახლში...

ენაცვალოს მამიკო!

მომსწრებია სოფანია!

სოფანია კი არა – უკვე სოფიკო!

1 ნოემბერი, 2010.

„ოთარაანთ ქვრივი“

– გოგო, ისევ აქ ხარ?

– ხომ გითხარი, მეზარება-მეთქი...

– უკვე ვამთავრებ სადილს და მწვანილის გარეშე რა გამოვა?

– შენ თვითონ დაკრიფე...

– მაშინ მერი ძალოსთან მიდი და უთხარი, ერთი კონა მწვანილი დაგიკრიფოს!

* * *

– მერი ძალოო!

– შე ვირო-მამაძაღლო, თქვენი კერძითვინ თქვენ თითონ არა ჰკრეფამთ მწვანილს და ჩემ რძალთან რა პირით მოდიხარ? დედაშენ უთხარ, ლიზა ბაბოს ყველაფერი თავისი ყურით გაუგია და მერიმდე აღარ მიმიშვა-თქო!

* * *

ლიზა ბაბოს „ოთარაანთ ქვრივს“ ეძახდნენ სამართლიანობის გამო და ალბათ იმიტომაც, რომ ძალიან მშრომელი დედაკაცი ყოფილა. ჯერ კი უხაროდა თურმე, მაგრამ ფილმის ნახვის შემდეგ ყველა გაუფრთხილებია: „ოთარაანთ ქვრივი“ აღარ დამიძახოთ, უბედური დედა ყოფილაო!

თვითონ ორი ვაჟკაცი ჰყავდა დაკარგული დიდ სამამულო ომში – ვიქტორი და გიორგი. სიკვდილის ბოლომდე ტანსაცმელს უნახავდათ, რომ დამიბრუნდებიან უცებ ახლები საიდან მოვიტანოო... ყოველ ზაფხულს ამზეურებდა...

დედის თვალგატანებული

(ვრცელი პასუხი ქალბატონ თამარ ბუკიას)

თამარ ბუკია – შენ კიდე, რავა სულ წნორში დარბიხარ? ჩემნაიროოო!

გიორგი ალავერდაშვილი – ძვირფასო თამარ! გუშინ კი გიპასუხე მოკლედ, მაგრამ ახლა შევეცდები, ცოტა განვავრცო: შაბათს, დილით, „ურაკპარაკზე“ შატილიონის (ელდარ ჭიჭიაშვილი) ლექსი „ქება ახმეტას“ წავიკითხე. ასეთი კომენტარიც დავუტოვე: „საათნახევარში კახეთისკენ გავწევ. ამ ლექსმა გული გამითბო! ვიცი, ეს სითბო მალე თაკარა მზეში გადაიზრდება! ვიცი და ამიტომაც მიმიხარია! გაიხარე ელდარ“!

მართლაც, საათნახევარში უკვე სამარშრუტო ტაქსში ვიჯექი და წნორისკენ მივიჩქაროდი. გზაში კიდევ არაფერი, ფანჯრებიდან ცხელი ქარი მაინც უბერავდა... მაგრამ წნორში რომ შევედით, თითქოს გავარვარებულ ქვაბში მოვხვდი... ჩამწკრივებულ ტაქსებს გვერდი ავუარე და ფეხით დავადექი გზას. რადგან ბიძაჩემთანაც უნდა შემევლო, დიდხანს არ გავჩერებულვარ, ვიცოდი, რომ დედა ჭიშკართან ოჯდებოდა ჩემს მოლოდინში გზისკენ მომზირალი.

„ბოლო წყალს“ გამოვცდი, წინ „ყვავიაანთ წყალი“ მელოდება... ისეთი ხვატი დგას, რომ სახეზე ოფლი წურწურით ჩამომდის... წესიერად გზასაც კი ვეღარ ვხედავ... უცებ ერთ-ერთი ორღობიდან უცნაურად ჩაცმული ხალხის ნაკადი ამოიზლაზნა და მთავარ გზაზე ორივე მხარეს გაიშალა... უცნაურად ჩაცმული კი იმიტომ მომეჩვენა, რომ უმრავლესობა თეთრ ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილები: ქალბატონები – ხაზგასმულად გადაპრანჭულები, მამაკაცები – შავი შარვლებით, თეთრი პერანგებით და კისერში მაგრად გაჭერილი თეთრი ჰალსტუხებით. რატომღაც თენგიზ აბულაძის ფილმი „ვედრება“ გამახსენდა, მიცვალებულთა კადრშენელებული მსვლელობით... მზის დაკვრა ხომ არ მივიღე-მეთქი? – გავიფიქრე...

„ყვავიაანთ წყალზე“ ბირჟაზე მსხდომ ბიჭებს ვეკითხები – ვინ არიან, საიდან მოდიან ან საით მიდიან-მეთქი? – ვერა ხვდები? იეღოველები არიანო! – ვაი მაგათ პატრონს, ერთი სული მაქვს სახლამდე მივაღწიო, რომ ყველაფერი ვიშვლიპო და ეს კისერში გაჭერილი თეთრი გალსტუკები რაღაა-მეთქი? – რას ამბობ, კონგრესი ჰქონდათ და გალსტუკების გარეშე რაღა კონგრესი ექნებოდათო...

მართლაცდა, ვაი ჩვენ! ამათ გამო გასწირა თავი კახეთის წმინდა დედოფალმა?...

დედა მართლაც ჭიშკართან მელოდებოდა! ცოტა რომ მოვშინაურდი და სული მოვითქვი, ვისადილე და ეზოში გამოვედი. წინა ჩამოსვლაზე გათიბული ბალახი კარგად გამშრალიყო. ერთად მოვაგროვე და ცეცხლი მოვუკიდე. კახეთის თაკარა სიცხეს ესღა აკლდა და წავიდა შავი კვამლი ცაში...

საღამოს პირზე ჭიშკრის მეორე მხარეს წყაროზე გადავედი მოსასულიერებლად. ხელ-პირი კარგად დავიბანე, მერე წყალს შევეშვირე და სიამოვნებისაგან ვფრუტუნებდი... ღობის მეორე მხრიდან რაღაც ჩურჩული გავიგონე და გადავიხედე. 5-6 წლის ბავშვები ისხდნენ გაყურსულები...

– უუჰო, ერთხმად ამოიძახეს – მგელი გვეგონეო! შავი და ბანჯგვლიანი კი ვიყავი, მაგრამ შორტებიანი მგელი სად ენახათ ნეტავ? ხმამაღლა კი ვთქვი – მე კი დათვის ბელები მეგონეთ და მეც შემეშინდა-მეთქი... დათვის ბელებიო? ამაზე ხომ გადაბჟირდნენ სიცილით და საბოლოოდ მოილხინეს!

მეორე დღეს, გამომშვიდობებისას, დედამ თვალი შეავლო ჩემს ნახევრად ცარიელ ჩანთას (უნდა, რომ მთელი სახლი თავის ეზოიანად ჩამიდოს და გამომატანოს), თან მეუბნება, თბილისიდან სავსე ჩამოდიხარ, აქედან კი, აბა, რა მიგაქვსო? სამაგიეროდ დედის თვალს გაგატანო! – ეგ რაღას ნიშნავს-მეთქი? – ვკითხე.

– რას ნიშნავს და, ჭიშკართან რომ დავჯდები, სანამ თვალს არ მიეფარები, იქამდე გიყურებ, დედის თვალის გატანებაც ეგ არისო!

* * *

აი, ამის გამო დავრბივარ წნორში, ჩემო თამარ!

ეკა ოთარაშვილი

უძლურებაში დანახული სიდიადე

გარე სამყარო, მთელი თავისი კარგი თუ ცუდი თავისებურებებით, გარკვეული დროის შემდეგ, ადამიანს გენატრება. ზოგჯერ ერთნაირად გიყვარს თოვლიც, კოკისპირული წვიმაც, მზესთან ერთად ატეხილი ცელქი ქარიც და ქარაშოტიც. ეს გარემოებები სხვადასხვა შეგრძნებისაა და, შესაბამისად, შენც განსხვავებულს და სხვა ფერებით აღქმულ სამყაროს გიტოვებს.

დღეს მეც, გარემოსთან ურთიერთობის მონატრება მჭირდა. ჩემს ქალაქში, მოდუნიოში, ლამაზი და ახალგაზრდა წვიმა კოკისპირულად იღვრებოდა სახლებზე, აივნებზე, ქუჩებში და ბოლოს, დედამიწის წიაღს უერთდებოდა. მახარებდა სახლიდან გასვლა და გარკვეული დრო, ჩემი დიდი მეწამული ქოლგის ქვეშ თავის მყუდროდ, განმარტოვებით შეფარება. აქ მე პატარა, კოპწია სამყაროს ვქმნი, რომელიც ასე ძალიან მხიბლავს. ჩემი და წვიმის წვეთების ჩურჩულის ხმას დაყურადებულ, სიოს ჭორიკნულად შენელებაც კი, შთამბეჭდავია ხოლმე.

გარეთ გასვლისთანავე, საწვიმარმორგებული წვიმის სამყაროში შემალვას ვაპირებდი, როდესაც დავინახე, ჩვენს ვიწრო ქუჩაზე როგორ შემოუხვია ინვალიდის ეტლმა, ყველაზე დიდ წყალში შეტოპა და შეჩერდა. წვიმა კი, ეტლში მჯდომს გულმოდგინედ აწვიმდა. ფეხს ავუჩქარე, ვიცანი ეს ახალგაზრდა ბიჭი, მეზობელ ქუჩიდან ჩამოდიოდა ხოლმე, ჩვენი საცხოვრებელი სახლის წინ უნდა გაევლო, რომ ცენტრალურ ქუჩაზე მოხვედრილიყო. ერთხელ სახლში მიმავალს მკითხა, სიგარეტი ხომ არ გაქვსო. ამ ერთხელ ვინანე, რომ არ მქონდა. ინვალიდის ეტლში მჯდომ წვიმით გალუმპულ ბიჭს სირბილით ვუახლოვდებოდი, რომ შემომძახა, დამეხმარეთ, ქალბატონო, სველ ბორბლებზე სველი ხელები მისრიალებს, ვერ ვატრიალებ და იქნებ სახლამე მიმიყვანოთ, თან ისეთი მზერით შემომხედა, დავრწმუნდი, რომ თვალებს ხმა ჰქონდათ და მე ეს ხმა მესმოდა.

სხვა დროს რომ წვიმის დიდ გუბეებს ფეხს ვარიდებდი, ახლა აუცილებლობის განცდით შევერიე. მოვკიდე სახელურებს ხელი და... მაშინ გამახსენდა ჩემი დიდი, მეწამული ქოლგა, საკიდზე დამრჩენოდა.

მიმყავდა ბიჭი ეტლით და თავისი უმწეობის გამო, მეგონა, ხელში მეკავა ჯერ კიდევ თოთო და პატარა ბავშვი. ჩემთვის ირგვლივ სამყარო აღარ არსებობდა სიცარიელის გამო, რადგან მასში ყველაფერს საღირალი დაჰკარგვოდა, ინვალიდი ბიჭის არსებობით. ის კი, ინვალიდიდს ეტლშიც მჯდომიც კი, ყველაზე ძლიერი, ამტანი, გაცისკროვნებული სულით თავისებური სიდიადით იდგა ჩვენ შორის და გვიცქეროდა ადამიანებს. მის წინაშე, თითქოს ყველა ჩვენგანიდან, მე ერთ-ერთი დამნაშავე, მის წინ უკვე ვიდექი. ეს იყო მომენტი, როცა ერთიც ბევრის ტოლია და მომინდა, არა, დარწმუნებულიც ვიყავი, შთაგონებით მიწვდილი ჩემი ფრაზა: „არ შეწყვიტო რწმენა და ოცნებები აგიხდება“, აუცილებლად მის ქვეცნობიერში შეაღწევდა.

მივდოდით და შეპარვით დავყურებდი მოკლედ შეჭრილი თხელი შავი თმებიდან, გამხდარ, ბუსუსებიან კისერზე, როგორ მირბოდა წვიმის წვეთები და იქ შიგნით, თხელი პიჯაკის და სხეულის შეხების ადგილს ავსებდა. მხრები კი, გალეული და გამხდარი, ისე გამოიყურებოდა, თითქოს გაწვრილებულ, პარალიზებულ ფეხებს ებოდიშებოდა, ადრე შენ დაგყავდი, ახლა კი, შენს უძლურებას ვერაფერს ვშველიო.

გვაწვიმდა ორივეს და მიხაროდა, თითქოს ეს მაინც საერთო გვქონდა და მე მისი თანაბარი ვხდებოდი. მივაბოტებდი წვიმიან ცარიელ ქუჩაში და ვნატრობდი, ქუჩა არ დასრულებულიყო....

2022 წლის 8 მაისი, წმინდა ნიკოლოზის დღე.

პოეზია

მიხეილ ჯოჯიტაშვილი

მაპატიეთ

არ არსებობს ლექსი ცხოვრებაზე უმეტესი
და სიტყვა საქმეზე უდიდესი.
თუმც კი, ლექსიც ცხოვრებაა და სიტყვითაც
შეიძლება საქმის კეთება.
არ არსებობს გრძნობა სიყვარულზე უნაზესი,
არც მასზე უმკაცრესი.
გალურჯებული ტუჩებიდან,
აკანკალებული თითებიდან,
აბურძგლული კანიდან,
ამოხაპული ზღვებიდან
მოდიან ფიქრები და ჩვენს გულებში ივანებენ.
მოდი და წერას თავი მიანებე!
ასეთ დროს არ სვამ კითხვას,
რისთვის ღირს წერა?!
ამ დროს კალამს ეძებს სული გაშმაგებით,
ამ დროს სურვილები ტანით გასკდებიან.
მიწაზე ჯდები ჭიქა წყლით ხელში
და უმზერ ცეცხლის ჰაეროვან გიზგიზს.
გშანთავენ ფიქრები როგორც მუგუზლები.
შენ თვალწინ კვდებიან პეპლები,
იმსხვრევიან ოცნებები,
ჩუმად ქვითინებენ ადამიანები.
გინდა მიეშველო.
გინდა მიეშველო.
გინდა მიეშველო!
და ვერ ეხმარები...
ყელში გეჩხირება ერთად ყველა ლუკმა,
ახირებულად გიმზერენ ხელებიდან თითები,
თავს გრძნობ საშინლად,
რომ აღარ ხარ ცუდად.
მაპატიეთ!..

* * *

ქუჩიდან ხმაური მოდის,
ვიღაცა ვიღაცას უყეფს,
ვიცოდე, ნეტავი როდის,
მოგვხსნიან თავიდან ყულფებს.

მე თითქოს წარსულში დამრჩა
ტკივილი, დარდი და ცრემლი,
როდესაც საშველი არ ჩანს,
იმედის ნატეხი მშველის.

ვიღიმი, ვფიქრობ და ვნატრობ,
უკეთეს ხვალინდელს ველი,
მე შენი სიტყვებიც მახსოვს,
უხეში, ცივი და სველი.

როდესაც საშველი არ ჩანს,
სულ, რაღაც უხილავ ძაფით,
ირთვება რაც გულში დაგვრჩა,
სილაღით, მზითა და დაფნით.

შენ ისევ ფიქრი გაქვს ხვალის,
გულს გიღრღნის ფრთიანი ეჭვი,
გაღონებს გონება ქალის,
დულილი აზრების მაჭრის.

მწამს, ჩემო, წარსულში დარჩა,
ტკივილი, დარდი და ცრემლი,
როდესაც საშველი არ ჩანს,
მე შენი თვალები მშველის...

ღმერთო, მოჰხედე ივრის სანახებს

რა ხშირი იყო უწინ მეჯლისი,
სიტყვის რონინი — სულთა ირაო,
ჩამოსცვენიათ ფიქრებს ფოთლები,
სიღრმეს აწ მხოლოდ წამით ვქირაობთ.

კბილმოტეხილი ციხე ხერთვისის,
ფაფარაშლილი, მძლავრი მტევნებით,
ეშხი ჭაბუკურ გამოდევნების,
აზრი ბალღური რომ არ ევნები.

შუღლი შორეულ ბოროტ ენების
და დამდუღრული გული აშუღის,
დაობლებული აბჯარი თუღის,
სიმბოლო ქართლის ერთიანობის.

მოლაღური, ყრმა მზისა და მთვარისა,
მშობლის სხივში უწინდელად ილაღებს,
კვლავ იღვიძებს რწმენა მომავალისა,
ცეცხლის ალი მოსდებიათ ჩირაღდნებს.

ღმერთო, მოჰხედე ივრის სანახებს,
ჭირი გვარიდე, ლხინი გვანახე!

ჰაითაუერ

არ მიატოვო ლოცვა,თავს ცუდად იგრძნობ როცა.
ჰაითაუერ! – ჩვენ ყველანი მიწად ვიქცევით.
რამდენი რამე ნახეს თვალებმა:
სევდა, ტკივილი და სიხარული...
მთელი ცხოვრება ვეძებთ კარიბჭეს,
სიყვარულისას და სიკეთისას.
მაგრამ ვერ ვპოვებთ ადამიანში
ხშირად ვერაფერს, ნიღბების გარდა.
რას არ ვანიჭებთ ხოლმე საფასურს,
რა უმნიშვნელო საგნებზე ვდაობთ.
ჰაითაუერ! – ჩვენ ყველანი მიწად ვიქცევით!
გადავიღალეთ. შურით და ბოღმით,
სული დავქანცეთ და გამოვშიგნეთ.
როგორ მოვნახოთ, შიგნით და გარეთ,
გზა, მიტოვებულ სანთლის გარეშე.
რად მივატოვეთ ლოცვა, ძმაო, ჰაითაუერ?!
რად არ გვჯეროდა, ერთი ღეროდან
რომ აღმოცენდა სიცოცხლე ჩვენი...
რისი იმედით ვისუნთქოთ, აწი?!
ჰაერი, წყალი, ცეცხლი და მიწა,
თორმეტი, ერთი და ოცდაათი...

მოლოდინი

შენ დგახარ ისევ ჩუმი და მშვიდი,
სამყარო ცეცხლის ეხვევა ალში,
ოდით ებრძოდა კოლხა დიაოხს
და განსაცდელი მოვიდა შვიდი.

შრიალებს სველი პერანგი ქარში,
პატრონი სანამ შიშველი დადის,
არსიდან აღარ მოისმის ოხვრა
და ცვლიან სარკეს ნახიშტარ თვალში.

იქნებ და, ისევ მოვიდეს დარი,
ნატრობ და ფიქრობ, ფიქრობ და ელი,
რომ წაიშლება გამხდარი ხელით,
ზღვისა და მიწის ციური ზღვარი.

მანამდე, ბექზე ღამეა ხელი,
გულია ცივი, შუბლია სველი,
ღონემიხდილი, ვით უღელს ხარი,
რა საიდუმლოდ გიმზერს სანთელი...

● ● ●

მაბდა ჩანქსელიანი

* * *

ხიდის მოაჯირს დაყრდნობოდა ნოემბრის ღამე,
მდინარის პირას მიცურავდნენ თეთრი გედები,
სიგიჟის როლი თუ მოირგო იქუხებს ცამდე,
ღრუბელთ აკლდამას გადაივლის დროთა რელსები.

მტკვრის შეძახილებს ყურს უგდებდა ღამის
მნათობი,
გალაკტიონი ხიდზე მდგომი სტრიქონებს თხზავდა,
ჯერ კიდევ მაშინ, პოეზიის სხივით მოსილმა,
კარგად იცოდა,რომ ეს ღამე ჩვეულს არ ჰგავდა.

ქარი ფანტავდა ათრთოლებულ ფერად ზამბახებს,
მოვერცხლილ მდელოს მოელოდა სიტყვათა თქეში
და ახლა,როცა თეთრი მთვარე ანგრევს დარაბებს,
ნატრობს მთაწმინდა, რომ მიართვან ლექსები
პეშვით.

* * *

ჯერ ისევ მახსოვს არშემდგარი ჩვენი შეხვედრა,
და დღე, როდესაც უსიცოცხლოდ დავმარხე
ნატვრა,
მე მონატრების სუდარაში დარდებს ვეწვიე,
ეს განშორება სიგიჟეა, არ უნდა ახსნა.

ფიქრთა ტალღები ასკდებოდა ღამით საფეთქლებს,
სველი ქუჩები ხეტიალში მარტომ გავთელე,
რომ მთვარე ცის ქვეშ, განაბული ხარბად
სუფევდეს,
ეს სიმარტოვე გალაკტიკას შემოვათენე.

სილურჯე დაკრავს აზვირთებულ ფიქრთა
ლაჟვარდებს,
ახლა დეკემბრის სუსხი ატანს გადაღლილ
მკერდში,
მომენატრები, სხვა რა გითხრა სიჩუმის გარდა,
თოვლით ნაშენებ პირამიდებს სულიდან ვერ ვშლი.

* * *

რაღაც საამო მდუმარებით იწვის ღრუბლები,
ჩანაცრულ ზეცას შეეფაკლა მწუხრი იისფრად
და თავსაბურავს შემოიხვევს მთების კალთები,
თუკი წვიმები გადაიქცა გოროზ დინებად.

ღამის ნარჩენებს მიმოფანტავს დილა აისით,
ქედებს სიყვითლე ისევ ათოვს, მზე იწვერება,
ზღვისფერ ტალღებად გადაქცეულ ცის კაბადონზე
მარადიული ტრფობის კვირტი კვლავ გაღვივდება.

სოფია ჟუჩასბეღიანი

ისევ შენ

ყელს იღერებს სიყვარული
ჩვენი,
რიჟრაჟების აელვებას
ვშიშობ,
შენ – ფიქრების უტყვი
განაჩენი,
ლავიწებზე წვიმის წვეთებს
მიშრობ....

ახლა ხეებს ეპარებათ სუსხი,
მთვარეს სძინავს ღამის დაღლილ მხარზე,
ზამთრის ქარებს მოკრძალებით ვუცდი,
ვითვლი სულში გაჩაღებულ ხანძრებს.

სიზმარეთში ვიკრავ მორცხვად ღილებს,
ნანოემბრალ იასამანს ვგავარ,
შენ ოღონდაც ხშირად გამიღიმე
და მოედე მონატრებას წამლად...

* * *

ღამე განიცდის მაღლობიდან უცხო კათარზისს,
ყელს იღერებენ ღობის იქით
ბროწეულები,
პოეტი ახლა სასაფლაოს ვიწრო კართან ზის
და ესმის ზეცას გარიყული ხმა წვეულების.

მთვარე მნათობი ფოთლებს შუა თეთრი ჭაღივით,
ქოფაკის ყეფას ატუზული ელის მინდორში,
ვიდრე სამყაროს ფანჯრებიდან დამიძახებენ,
მე გაგრძნობინებ, გაგრძნობინებ,
როგორ მინდოდი....

ნოემბერი

მაწვალა ნოემბრის ამინდმა,
ქარები სიმშვიდეს კლავენ,
და განა მე ბევრი რა მინდა:
მითბობდე დაღალულ მკლავებს...

მომხვიე, ძვირფასო, ხელები
ბახუსი სიჩუმეს არღვევს,
თვალები ასე გახელებით
გამხდარა სხეულის სარკე.

ელვაა, სტრიქონებს მიფუჭებს,
გაცვეთილ დარაბებს ლეწავს,
განთიადს ვუბარებ: იყუჩე,
წუხელ სიყვარული მეცვა...

შოთა ვეხუა

სატირა(ლი)

ნეტარ ვიყავით მორწმუნენი, ვისაც გვიყვარდა,
ჩვენი ქვეყანა ვერ გავყიდეთ გროშად, ახლა კი
ნეტარ არიან, ვისაც ერგო წილად „გრინ კარტა“,
დაე, იშვილოს უცხო მიწამ ყველა გლახაკი.
ღმერთმა დალოცოს ვაშინგტონი, ოსლო, ვარშავა,
აქ არაფერი არ გამოდის ქნევით მარჯვენის,
ნეტავ ასეთი უსაშველო რა დავაშავეთ,
რომ ჩვენი სუფრა სავსე არის სხვისი ნარჩენით.
რომ საბატონოდ ჩვენს სახლებში სხვისი სირენა
ჩართულია და ტკბილი ძილით სძინავთ
მანქურთებს,
ორატორებმა, სისხლიანმა ფსევდო გმირებმა
თვალს და ხელს შუა უნამუსოდ როგორ
გაგვქურდეს.
რომ მომავალი გამქრალია თეთრი კვამლივით,
თავისუფლება რის ფასადღა უნდა გვეყიდა?!
ბოლო შანსიც და, ღმერთო ჩვენო, გვერდს ნუ
აგვივლი,
შენც ნუ დაგვტოვებ და ნუ წახვალ ოღონდ
ქვეყნიდან.

* * *

თავს ნუ დააღწევ საათის ლურსმნებს,
სათქმელი ყელში არ დაგიობდეს!
მე ჩემს სიზმრებში შენს სუნთქვას ვუსმენ,
შენს ხმებში გაშლილ ღმერთის იოგებს.
გადამივადეს შორი მიზნები,
მივდივარ, ვტოვებ ყველა ურა სტროფს,
შენ კი ნურასდროს გამეხიზნები,
ჩემი ლექსიდან წახვალ ნურასდროს.
ჩემი თვალებიც გეტყვიან სათქმელს,
სულში დამყნობილ ტკივილებს ვკარგავ,
არც ისე ცუდად არ არის საქმე,
რომ ყოფილიყო ოდესმე კარგად.
დავიმორჩილებ უცხო ქარიშხლებს,
გადავეჩვევი წერას ირიბად
და თუ გადაწყვეტ და თუ გამიშვებ,
ღმერთს მოვიპარავ შენი ძილიდან.
რომ ასე მარტო, ღმერთივით მარტო
შევუსისხლხორცდე ძმრიან ტკივილებს
და მერე ჩემმა სისუსტემ მმართოს,
ვიდრე სიკვდილი გადამივლიდეს...

ფიქრი - ქედიოქი

თამაი შაიშმელაშვილი



და წერს გული...

ფიქრები ნანა კვაშილავას პოეტურ კრებულზე – „სადაც გულს იპოვი“

„მე თითქმის არ მაქვს ბიოგრაფია,
გული სამყაროს უბეში მიცემს“...
ნანა კვაშილავა

ეს წიგნი გულია, პოეტის გული, როგორც მედიუმი, არეკლილი სულის უჩვეულო მოძრაობებით: სიყვარულ-მონატრებით, სიზმარ-ცხადებით, სიხარულ-კაეშნებით, ტკივილ-ცრემლებით, წვიმის ნოტებით, ფოთოლ-ქარებით, ტაძარ-ნისლეულით...

სულის გრადაციები ხან „გულიდან სიყვარულის აღლუმს“ იწყებენ, ხან გულივით სკდებიან კვირტები...

უჩვეულოა, როცა გული მზესავით ამოცურდება, მაშინაც, როცა გულის ტელეარხია ჩართული... ზოგჯერ გული ტოტივით ჩამოტყდება, ზოგჯერ კი გულის კარიც იხურება... ამ დროს სუნთქვა ძნელდება, „კაწრავს გულს ტკივილის წვეტი“, მაგრამ იცი, რომ „...არ ჩააქრობს ღმერთი მაინც ძლივს მბჟუტავ პატრუქს“.

„და ჟამი, როგორც ასანთის ღერი,
გაანათებს და მიბრუნებს იერს“...

ჟამთასვლასავით იფურცლება პოეტის სული – „ახლა გულია ჩემი კალამი“... და წერს გული – სამშობლოზე, უფალზე, სიკეთეზე, მეგობრებზე, ფიფქების თეთრ მონეტაზე, ფოთლის არჩევანზე, ჩავლილ მატარებელზე, ბოლო სადგურზე, სიყვარულის სევდაზე...

„ვერვინ გიპოვის, მკვდარიც ჩემი ხარ,
შენ ჩემი გული გერგო სამარედ“...

ეს ალბათ ყველაზე დიდი ტკივილია, გულში ჩაბრუნებული, რომელსაც გარედან ვერავინ ხედავს, პოეტის ცრემლი უხილავია ისევე, როგორც წვეთი გულიდან, საიდანაც „მოწვეთავს ყაყაჩო“... როგორც პოეტის სამაჯური, მარგალიტის თვლებით – რომლითაც ტკივილ-სიხარულს მარცვლავს, მაგრამ ლოცვას ლოცვაზე როცა დაითვლის, ეს სამაჯურ იქცევა სკვნილად...

ამ დროს ცა და მიწა ერთიანდება...

„ცა მიწა მგონია, მიწა – ცა,
არცერთი არაა ადვილი“...

არც ზე-სოფელი და არც ქვე-სოფელი!.. „დარდ-შემორტყმული დედამიწის“ უხილავი მგზავრის სტრიქონებს ემჩნევა კვალი, ცრემლივით... ამ დროს სურვილებად ინთება ცა და სამყარო, და მოდიან ლექსებად თაქმული სიმღერები:

„მინდა დავხუჭო თვალები ისე,
რომ სიზმრის იქით გადაგახედო“!...

სიზმრის იქით ვიღაცას დაუტოვებია „გული – ბარათი“, იქ სამოთხეა...

ეს სიტყვები ისე, საიდანღაც არ ვარდება, დიდი დუმილით და მარხვით მიიღწევა განცდა... „პარასკევსა მწუხრი მიიღოს საზრდელი პური და წყალიო“... – ამბობს მცირე სჯულის კანონი... პოეტისთვისაც

„სხვა შეიძინა დუმილმა ფასი,
დუმილი გახდა წყალი და პური“...

გულით სატარები ძვირფასი სახებაც ამ დუმილში გამოიზარდა, ლიანდაგებზე გაწოლილი დუმილიც ილევა და უკვე თვალები სხვა ელფერს ატარებს: „მე მინდა თვალებმა სულ სხვა ისტორია გიამბონ“...

მაგრამ ხანდახან, როცა მაინც განწირული ხარ „მწარე როლისთვის“,როგორც ორკესტრის მძლავრი გუგუნი, აწყდება ხმა კედლებს:

„წადი და კარი გაიჯახუნე,
სახლში სიჩუმე გასკდეს ნაღმივით“...

ვკითხულობ ამ წიგნს – „სადაც გულს იპოვი“ და ასე მგონია, ფოტოკადრებად ვფურცლავ ამ ფიქრებს, მეტაფორებით და ხატოვანი თქმებით ახუნძლულს...

აი, ისინიც: „სიტყვა – კეთილი სამარიტელი“, „სიზმრის თოკები“, „ხსოვნის სტიქარი“, „ფიქრის სკები“, „სიყვარულის აღლუმი“, „სევდის აკიდო“, „ლექსის ტოტები“, „ცის ტაბლო“, „ღრუბლის თითები“, „სხივთა მაყარი“, „ჟამის მეთივე“, „ზღვა მეზღაპრე“, „ლექსის საკაცე“, „წუთები – უფსკრულზე ხიდები“... „და სიმარტოვეს ექვითკირები“...

გული კი... უჩვეულო მეტაფორაა ნანა კვაშილავას წიგნში... ის 183 ლექსს ითვლის და კიდევ ერთ საფიქრალს ტოვებს – ყველას გვეუბნება, რომ თუ უგულოდ არ იცხოვრებ, სული არ ცხონდება... ასეთ დროს ზეცის კარი სამუდამოდ დახურული რჩება...

„თუკი გულს მიხურავ, ვინ გაგიღებს ზეცის კარებს“... აი, ამ გაღებული და მღელვარე გულით დგას „ცისფერ ალყაში მოქცეული“ პოეტი ჩვენ წინაშე – გულის რვეულით, სიკვდილის ვირუსის თანამდევ მარათონში... და, როგორც არასდროს – ნატვრა ანთია, „ნატვრა ანათებს ჭაღივით“...

ჩვენც მივიდეთ პოეტის გულთან ახლოს, როგორც თოვლით განათებულ სახლთან და მასთან ერთად გავიმეოროთ:

„დაღლილ სამყაროს მაინც შევნათეთ,
თვალებით, გულით, მადლიერებით,
რომ გვიან, მაგრამ შევხვდით
ერთმანეთს“...

წაკითხულია მწერალთა სახლში, 13.12.2021წ.

„შენ ისე ლოცავ ხარ"...

ლალი მიქაძე

ტაო-კლარჯეთის შთაბეჭდილებები

ამ დღეებში ტაო-კლარჯეთი მოვინახულე (მეორედ). პირველი მონახულება ექსკურსიაა, აი, როდესაც მეორედ და მესამედ მოინახულებ, მაშინ ხდება ამ ყველაფრის გათავისება. ყველაზე გულდასაწყვეტი ისაა, რომ სულ მალე ჩვენი ისტორიული სამშობლოს ნაწილი დაიტბორება და მასში კავკასიძეების მიუვალი ციხეც მოყვება. არც სხვა ძეგლებს დაადგებათ კარგი დღე ნესტისგან.

უკვე მნიშვნელოვნად შეცვლილია გარემო, ჰესების მშენებლობის გამო. მთებში გაყვანილია 52 გვირაბი და,როგორც კომუნისტები იტყოდნენ,მიდის აღმშენებლობა – მე თუ მკითხავთ,ნგრევა! ნგრევა წარსულისა და იმავდროულად ბუნებისა. ვიღაცამ ნიშნისმოგებით თქვა, რა ყოჩაღები არიან თურქებიო. ვერ ვიტყოდი, ყოჩაღები რომ ყოფილიყვნენ, ეკოლოგიას გაუფრთხილდებოდნენ. იმასაც ამბობენ, ჭოროხი, ჰესის ამუშვების შემდეგ, შლამს ვეღარ ჩაიტანს ზღვაში, ზღვას კი საკვები სჭირდება და ეს კარგს არაფერს უქადის აჭარის სანაპიროს – ზღვა წინ წამოიწევს. კი ამოულიათ ხმა ჩვენებს, მაგრამ ჩვენისთანა პატარა ერს ვინ უსმენს.

კარწახის საბაჟოზე ისე უდიერად იქცეოდნენ (გვექცეოდნენ) „ტრაილერის" მძღოლები და საბაჟოს მოხელეები, მივხვდით, რომ დემოკრატია მათთვის უცხო ხილია. ხოლო ჩვენ,გლობალისტურად ენაჩაგდებულები,ანაც ენაჩაუგდებლები,ვიდექით და მაგრამ რა...

ეს პაწია, უსუსური მდინარე (მდინარესაც რომ ვერ დაარქმევ) ჩვენი მბორგავი და მღვრიე მტკვარია და აქ, კოლა-არტაანის მთებში იღებს სათავეს.

ღმერთო... (რამდენ რამეს გევედრები, მხოლოდ შენ იცი, ღმერთო!).

ბანა

ისე მოხდა, რომ ტაო-კლარჯეთში მოგზაურობისას ბანა ახლოდან პირველად ამჯერზე ვნახე. მიუხედავად იმისა, რომ ნაშთია დარჩენილი ძველი დიდებულებისა, მაინც იგრძნობა მისი სიდიადე.

ბანას ისტორია კი ასეთია:„ქართლის ცხოვრების" მიხედვით ტაძარი მე-9,მე-10 სს. მიჯნაზე აუგიათ. მაგრამ ამ ადგილას ძველი ნაეკლესიარი უნდა ყოფილიყო. ადარნასე მეფემ იგი საფუძვლიანად გადააკეთა, აღადგინა და საეპისკოპოსოდ აქცია.

1843 წ. ტაძარი მოინახულა გერმანელმა ბოტანიკოსმა კარლ კოხმა:„კონსტანტინოპოლის სოფიის შემდეგ ბანა არქიტექტურის ყველაზე მშვენიერი ნიმუშია, რომელიც მე აღმოსავლეთში ვნახე".

ტაძარი ხელოვნურ ბორცვზეა აგებული, იგი მრგვალი ტაძრების ტიპს მიეკუთვნება.

აქ მოუწყვეს დიდი დახვედრა 1025 წ. სამშობლოში დაბრუნებულ, ბიზანტიაში მძევლად მყოფ უფლისწულ ბაგრატს. 1029-1030 წლებში ბანაში გადაიხადეს ბაგრატისა და ბიზანტიელი პრინცესას – ელენეს ქორწილი. ბანაშია დაკრძალული ალექსანდრე პირველი დიდის ვაჟი ვახტანგ მე-4 (1443-1447) და მისი მეუღლე სითიხათუნ ფანასკერტელი.

მე-19 ს. შუა ხანამდე ტაძარი თავდაპირველი სახით იყო შემონახული. რუსეთ-თურქეთის ომების დროს (ყირიმის ომის (1853-1856) და 1877-1878 წლების საბრძოლო მოქმედებისას), ბანა ოსმალებმა ციხესიმაგრედ აქციეს. კედლები გადააკეთეს,ამოაშენეს და სხვ. შეტაკებებმა კათედრალი დააზიანა. გუმბათის ჩამონგრევამ დააჩქარა კედლების რღვევა. ამას დაემატა ოქროსმაძიებელთა მიზანმიმართული მავნებლობა.

ალბათ იცით, რომ პატრიარქის კურთხევით, მსგავსი ტაძარი შენდება ხაშურის სიხლოვეს.

იშხანი

ტაო-კლარჯეთში იშხნის ტაძართან ორჯერ ვიყავი, მაგრამ ვერასდროს შევედი შიგნით. პირველად გახურებული აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობდა, ახლა კი, ვისაც „კლიტენი“ ებარა, კარგა ხანს ველოდეთ, მაგრამ... მაგრამ არაფერი წაგვიგია – ბარე 9-ჯერ შემოვუარე დიდსა და მცირე ტაძრებს. რისი გადაღებაც შეიძლებოდა, დეტალებში გადავიღე.

რაც შეეხება ტაძრის ისტორიას (აქვე ვიტყვი, მასალა მომზადდა ჯაბა სამუშიას „ტაო-კლარჯეთის“ მიხედვით):

სოფელი იშხანი მდინარე ოლთისწყლის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. ეს ტერიტორია ამიერტაოში მდებარეობდა, თუმცა იშხნის ეპარქია მოიცავდა ტაოს ორივე ნაწილს (იმიერ და ამიერ) – მდინარეების: თორთუმის, ჭოროხისა და პარხლის ხეობებს.

იშხნის ეპარქიის მღვდელმთავარს იშხნელი ეწოდებოდა. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით, პირველი ეპისკოპოსი იყო გრიგოლ ხანძთელის დედის დისწული საბა, რომელმაც მე-9 ს-ის 20-30-იან წლებში აღადგინა იშხნის ნაეკლესიარი და საეპისკოპოსო ცენტრად აქცია.

დღევანდელი იშხნის ეკლესია რამდენჯერმეა გადაკეთებულ-განახლებული. პირველად ამ ადგილას მე-7 ს-ის პირველ ნახევარში ტაძარი აუშენებია სომეხ ეპისკოპოს ნერსეს, რომელიც წარმოშობით იშხნიდან იყო. არაბთა შემოსევის შემდეგ, ტაძარი და სოფელი გავერანდა – „წელიწადთა მრავალთა დაქურივებული“ იყო. მე-9 ს-ის 20-30-იან წლებში ძველ ნატაძრალზე საბა იშხნელმა ახალი კათედრალი ააგო, რომელიც მე-10 ს-ის შუა ხანებში საფუძვლიანად გადააკეთეს, ხოლო 1032 წელს „განაახლა“ ანტონ იშხნელმა.

ნერსე კათალიკოსის დროინდელი ტაძრიდან მხოლოდ საკურთხევლის ნახევარწრიული თაღების მწკრივია შემონახული, რომელსაც გარშემოსავლელი გალერეა აკრავს. ტაძარი ჯვარგუმბათოვანია. სიგრძე დაახ. 37 მ. სიგანე – 22,5 მ. სიმაღლე გუმბათქვეშ – 29 მ.

ხანძთა

ხანძთაში პირველად ყოფნისას, ყველა მეკითხებოდა: გზის არ შეგეშინდაო?! მაშინაც მანქანით თითქმის წყარომდე ავედით. სიმართლე რომ გითხრათ, გზის სირთულე სულაც არ შემინიშნავს, ისე ვიყავი შეპყრობილი გრიგოლ ხანძთელისა და მის ძმათა სავანის ნახვის სურვილით. იმდენმა მკითხა, ახლა საგანგებოდ დავაკვირდი – რთულია, მაგრამ ისეთი არაფერი.

მაგრამ იქ მისულს ისეთი გნცდა გეუფლება... ეს გრიგოლ ხანძთელის ხანძთაა...

მონასტერი მდებარეობს კლარჯეთში, ართვინის რაიონში, სოფელ ფირნალთან, ხეობის სიღრმეში. გრიგოლისა და მისი ძმების მოსვლამდე ეს მიდამოები დაყუდებულ ბერთა სამყოფი ყოფილა. გრ. ხანძთელმა დაახ. 784 წ. აქ ხის ეკლესია ააგო, რომელიც მალე ქვის ტაძრით შეიცვალა. აიგო სატრაპეზო, ბერთა სენაკები. ის ტაძარი, რომელიც ფოტოებზეა, აიგო მამა გრიგოლის დროინდელი ეკლესიის ადგილზე მე-10 ს. პირველ ნახევარში.

საუკუნეების მანძილზე ხანძთაში აქტიური მწიგნობრულ-შემოქმედებითი საქმიანობა მიმდინარეობდა. ჩვენამდე მოღწეულია ხანძთაში მე-11, მე-12 სს. გადაწერილი ხელნაწერები. შემორჩენილია წმ. გიორგის სახელზე აგებული მთავარი ეკლესია, რომელიც, როგორც ხედავთ, სავალალო მდგომარეობაშია. წლების განმავლობაში მას საქონლის სადგომად იყენებდნენ. შედარებით უკეთაა დაცული სამრეკლო. ნანგრევებადაა ქცეული სატრაპეზო და სხვადასხვა სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები (ჯაბა სამუშიას „ტაო-კლარჯეთის“ მიხედვით).

ოთხთა ეკლესია

ახლა ოთხთა ეკლესიას გაგაცნობთ.

ისტორიულ ტაოში შემონახულია 2 სამნავიანი ბაზილიკა – ოთხთა ეკლესია და პარხალი, რომლებიც აღნაგობის სისრულითა თუ მასშტაბებით აღემატებიან ყველა ამ ტიპის ძეგლს არა მარტო ამ რეგიონში, საქართველოშიც. ორივე ტაძარი ძალიან ჰგავს ერთმანეთს და ხშირად მათ „ტყუპისცალებად“ მოიხსენიებენ. ეს საეკლესიო ცენტრები იყო მონასტრები, რომლებიც, იმავდროულად, მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო კერა იყო.

ოთხთა ეკლესიას ვრცელი სივრცე უნდა სჭეროდა. სავანეში რამდენიმე ნაგებობაა დღემდე შემონახული: ოთხთა ეკლესიის ბაზილიკა, სკრიპტორიუმი, სატრაპეზო, სამარხი – ეკვდერი. მონასტრის ირგვლივ უამრავი სიძველის ნაშთია, რომლებიც ბერების სამლოცველოები და კელიები იყო.

ოთხთა ეკლესია სამნავიანი ბაზილიკაა (გარე სიგრძე – 28, 46 მ. სიგანე – 18, 60 მ. სიმაღლე – 22 მ.) ფასადი ტუფის ქვითაა მოპირკეთებული. ოქროსმაძიებლებს გადათხრილი აქვთ საკურთხეველი და საძვალე. პატრონიკე დასავლეთ ნაწილში საკმაოდ მაღლაა. საკურთხეველი 0,7 მეტრზე მაღალია. მასში დღემდე შემორჩენილია ძველი მხატვრობის ნაშთი. ტაძარი დავით კურაპალატის დროს რომ არის აშენებული, ამას ადასტურებს აქ შემორჩენილი წარწერები.

აღმოსავლეთ ფასადზე, ფრონტონის კიდესთან, დაცულია ბოლოებგაშლილი ტოლმკლავა ჯვარი, რომლის ქვემოთ წარწერაა: „ქრისტე ადიდე დავით კურაპალატი“ (ჯაბა სამუშიას „ტაო-კლარჯეთის“ მიხედვით.).



ლალი მიქაძის ფოტოები

დოლისყანა

არ ვიცი, თქვენთვის ცნობილია თუ არა, რომ სწორედ ამ ტაძარში მოკლეს აშოტ კურაპალატი ტაო-კლარჯეთში.

დოლისყანის ეკლესია მდებარეობს სოფელ ჰამამლის სამხრეთ ნაწილში (ართვინის პროვინცია). იგი, დაახლოებით, 850-950 წლებს შორისაა აგებული. „ქართლის ცხოვრებაში“ დოლისყანა იხსენიება აშოტ პირველი კურაპალატის მკვლელობის ამბების აღწერისას. მეფის მომხრეთა ერთი ბანაკი დოლისყანაში იდგა, სადაც ის მოღალატურად მოკლეს. მისი მომხრეები დაედევნენ აშოტის მკვლელებს და ჭოროხის ნაპირებთან დაამარცხეს.

ტაძრის აგება დაკავშირებულია ადარნასე ქართველთა მეფის შვილების – ბაგრატისა და სუმბატის სახელებთან.

ტაძრის ყელის სამხრეთ-აღმოსავლეთ წახნაგში ჩადგმულია რელიეფური ფილა სუმბატ მეფის გამოსახულებით. ამავე ფილაზე ამოკვეთილია წარწერა: „ქრისტე ადიდენ მეფე ჩუენი სუმბატ“.

დოლისყანის ეკლესია ოსმალთა ბატონობის დროს ჯამედ იყო ქცეული. რუსეთის იმპერიის მიერ ამ მხარის შემოერთების შემდეგ აქ სამხედრო ნაწილი იდგა. მეომართა ნაკაწრი წარწერები შემონახულია ეკლესიის კედელზე. მოგვიანებით ეკლესია კვლავ მეჩეთად გადააკეთეს. 2004 წ. ახალი მეჩეთის აგების შემდეგ, ტაძარი გაიწმინდა, გამოჩნდა ძველი მხატვრობის საინტერესო ნიმუშები.

პოეზია

ზურაბ მამულაშვილი

ჟურნალ „ანეულის“ რედაქცია 80 წლის იუბილეს ულოცავს პოეტს, ჟურნალისტს, უხუცეს ამპუტანტ ფეხბურთელს, ზურაბ მამულაშვილს.

უსურვებს, კვლავაც აქტიურად და ხალისით ემოღვაწეოს შემოქმედებით გზაზე, ახალ-ახალი წარმატებებით!

ვნატრობ

ვნატრობ კიდევ
ერთ დავითს,
ველი კიდევ
ერთ თამარს,
რომ გაბრწყინდეს მზესავით
სვეტიცხოვლად,
გელათად.

ღმერთმა ცუდი ამბები
ქართველობას გვაშოროს,
როცა ერთად დავდგებით,
ეშველება სამშობლოს.

ვნატრობ კიდევ
ერთ დავითს,
დროშას ვნატრობ
თამარის,
რომ გაბრწყინდეს
მზესავით
ერი ჯვარცმით მავალი.

ნატვრა

ის ხომ, ის ხომ, ის ხომ იყო,
მეც ხომ, მეც ხომ, მეც ხომ ვარ,
ნეტავ, როგორც ის ცხოვრობდა,
მეც ისევე მეცხოვრა.

არ იტყოდა სიტყვას უხამსს,
დიდი მადლი ეცხო მას,
ჩემი წასვლის შემდეგ უფალს
ჩემი სულიც ეცხონა.

ლექსის ბრალია

რაც თავი მახსოვს
ქალაქში ვცხოვრობ,
ქალაქის მტვერით ვსუნთქავ და ვბრუნავ,
ქალაქის ქუჩებს ლექსებით ვუმღერ
და ამ სიმღერით ტკივილებს ვკურნავ.

განათებულა თბილისის ზეცა,
ვარსკვლავებით და მთვარის ნათელით,
ღმერთო, ცოტა ხანს მაცალე მეცა,
რომ ბოლომდე ვთქვა ჩემი სათქმელი.

მე ვარ პოეტი, სულის მოძღვარი,
სიკეთის თესვა მეც მავალია,
დღევანდელ დღემდე რომ ვარ ცოცხალი,
ღვთით ბოძებული ლექსის ბრალია.

უფალმა მომცა

უფალმა მომცა, რაც მომცა,
სიცოცხლე კრძალვით გადმომცა,
ჩემი ხანგრძლივი ცხოვრება
აპრილმა გულით დალოცა.

მე, საწყალმა და მედროვემ
ვერ ჩავაბარე გამოცდა,
ამ ხნის კაცი ვარ და დღემდე
მადლობაც კი არ წამომცდა.

რა საჭიროა

ჩემი სიცოცხლე უფალს მივანდე,
ცაში დავფრინავ, როგორც ჩიორა,
მთავარი არის, რომ დავიბადეთ,
როდის მოვკვდებით, რა საჭიროა.

ჯერ არავისგან არა მსმენია,
რომ დაედგინოთ სიცოცხლის ზღვარი,
მიტომაც დღემდე შემოგვრჩენია
მკვდრეთით აღმდგარი მაცხოვრის ჯვარი.

როცა სიკეთის მარცვალს მიაგნებ,
გამარჯვებებიც მოვა იოლად,
მთავარი არის, რომ დავიბადეთ,
როდის მოვკვდებით, რა საჭიროა.

გმადლობ, უფალო, შენივე მოდგმის,
კაცს ის მიმეცი, რაც არა ჰქონდა,
რწმენა სიცოცხლის, ხალისი ყოფის,
დიდი მიწა და პატარა ოდა.

ჩვენი ცხოვრება მზით მოქსოვილი,
დაუწერელი მხატვრის ტილოა,
რადგანაც უფლის ნებით მოვედით,
სიკვდილი, აბა, რა საჭიროა....

დათო ეჩნესი

მე შენ და ღმერთი

მაჯაზე დამადე ხელი
და დაივიწყე სულ ყველა ფერი
ზეცაზე დასმულ წერტილს
ვხედავთ მე, შენ და ღმერთი
დარაბებს აღებს ქარი
ახლა სიგიჟეც ჩქარობს
მე და შენ ვცოდავთ მზერით,
ხალხიც ეჩვევა ჭაობს,
მაჯაზე დამადე ხელი,
ფეთქავს თვითმკვლელი ლექსიც
სისხლივით ცურავს ტანში
ტალღა მხეცური ვნების,
არ დამიჯერებ, მაგრამ,
მე მაინც ჩემს აზრს გეტყვი,
ზეცაზე დასმულ წერტილს
არ წავშლით
მე, შენ და ღმერთი...

ვერ შემიყვარებ

ვერ შემიყვარებ,
ვჩურჩულებ ეჭვით და
ღია ფანჯრებს ვაყოლებ მზერას,
ამდენ პოეტში,
ამდენ ლექსებში,
ასე მგონია, ჩემი არ გჯერა,
ჩემო ძვირფასო, მე და შენ თითქოს,
მე და შენ თითქოს,
ახლოს ვართ ღმერთთან,
და მოკრძალებით გთხოვ,
მოუსმინო,
ზეციურ გულის
მიწიერ ფეთქვას...

წუხელ სიზმარში

წუხელ სიზმარში ღრუბლებმა მაკოცეს,
გეძინა ჩემს მკლავზე და სახლში მომყავდი,
ნისლში დამალულ ფოთლების აკორდებს,
მდუმარედ უსმენდა ბებერი ყორანი.
და მინდა, რომ ცხადში სულ ასე მახსოვდე,
ბავშვების დახატულ ლამაზ ცას მოჰგავდი,
წუხელ სიზმარში ღრუბლებმა მაკოცეს,
გეძინა ჩემს მკლავზე და სახლში მომყავდი...

ძველი თბილისი

ახლა ფიქრებად ვწერე ზღაპარი,
რას ხატავს მთვარე, ნეტავ, ვინ იცის,
ოქტომბრის ქარით ჰყვება ჭადარი,
როგორ ძგერს გული ძველი თბილისის.
სადღაც ანათებს ბედის ვარსკვლავი,
დამათენდება ბებერ ლოთებთან,
ასე უყვარდათ ჰო, ეს ქალაქი,
და ეს არასდროს აღარ მოკვდება.
მივდივარ მთვრალი, სულით მაღალი,
მაცილებს მტკვარი და ცა თბილისის,
ახლა ფიქრებად ვწერე ზღაპარი,
რას ხატავს მთვარე, ნეტავ, ვინ იცის...

ლექსების მიღმა

ველარ შევძელი,
იქნებ არც ვცადე,
ჩემი ფიქრების სივრცე უარვყო
მოვალ შენამდე,
სუნთქვას შეგახებ,
და მდუმარებას ვაქცევ უდაბნოდ,
მე ხომ მთვარესაც მინდა ვუამბო,
რომ პოეზია ჩემთვის
შენა ხარ,
ველარ შევძელი,
იქნებ არც ვცადე,
ლექსების მიღმა,
ისე უბრალოდ,
ისე უბრალოდ
ერთხელ მენახე...

* * *

ვერ ვაპატიე ჩემს თავს დუმილი,
იქნებ მიმიხვდი, რისი თქმაც მსურდა,
და როგორც ბავშვის ურჩი სურვილი,
მე შენი სუნთქვა ვიგრძენი გულთან...

ფშაური სატრფიალო ლირიკა

თამილა გოგოლაური

დამლია შენმა სურვილმა...

„სულთა პეპელა შემომხვდა,
წითლით ჭრელნი ჰქონ მხარნია...“

ხალხურ პოეზიაში გამორჩეული ადგილი ეთმობა სატრფიალო ლირიკას. ძნელად შეხვდებით ფოლკლორულ კრებულს, რომელიც ამ ჟანრის მაღალმხატვრული ნიმუშებით არ იყოს დამშვენებული, თუმცა მკითხველთა ფართო მასებისათვის ხშირ შემთხვევაში უცნობია, რომ ამ ლექსების უდიდესი ნაწილის „სააკვნე ადგილი“ ფშავია.

სატრფიალო თემაზე საქართველოს არცერთ კუთხეში იმდენი ხალხური ლექსი არ შექმნილა, რამდენიც ფშავში და ამას აქვს თავისი მიზეზები...

„ქალი ფშავლისათვის ხატივით სალოცავი იყო და როგორც მშვენიერების ხორცშესხმა, ანგელოზადაც კი ესახებოდა, ამიტომ მთელი არსებით ეთაყვანებოდა მას, პატივს სცემდა და უყვარდა ღვთიური სიყვარულით... თამამად შეიძლება ითქვას, რომ ფშავში ღვთაებათა კულტის შემდეგ ქალის კულტი იყო დამკვიდრებული“... (ირ. გოგოლაური).

ფშაველი შესტრფის ქალის ერთგულებას, ზნეობას, გარეგნულ სიმშვენიერეს და მის შესამკობად ლექსებში სიტყვამზიანობს:

„...დამწყაზრულ თვალით და წარბით
ლამაზო საყურებელო,
უძვირფასესო ოქროო,
შორს სადმე საგულებელო,
ყვავილთ კონაო, ლამაზო
დილის ცვრით სასხურებელო...
პირს ხან მზედ აქცევ და ხან კი
დარდით თუ გაამთვარებო,
იას და ვარდსა, ლამაზო,
ტუჩებზე დაიჯარებო“...

არანაკლებ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა ქალიც ვაჟის მიმართ. იგი ეტრფოდა: „პირზე ოფლგადამდინარ“, სვილისფერ, მგლისმუხლა, ნამუსიან, დინჯ, სიტყვაძვირ, „მტრის ჯავრის ამომყრელ“ და „ბასრის ხმლის ამომღებელ“ ყმას:

„ვაჟაო, დედისერთაო,
მინდორთ გაზდილო, ველთაო!
მთვარეო, ხუთმეტისაო,
მანათობელო ბნელთაო,
შარავანდელო მასკვლაო,
ქისტეთს ნამყოფო ტყვედაო!
ოქროს შიბაის ნაგლეჯო,
წამოსარტყმელო წელთაო;
ამის მეტს ქებას ვერ ვიტყვი
არამც არ იქნა ჩემდაო“!

ვაჟა-ფშაველას მითითებით, ფშაველი ქალი: „... ძალიან ცდილობს, დროშა სიყვარულისა მაღლა ეჭიროს, სიყვარული იდეალური იყოს (წმინდა, უბიწო, შეუბღალავი, შეუგინებელი...), ასეთ სიყვარულს იგი „ლამაზს“ ეძახის. სიყვარული მხოლოდ მაშინ არის „ლამაზი“, თუ ის იდეალურია; ჰკარგავს იდეალურობას, – ჰკარგავს სილამაზეს და იღუპება კიდეც“... ვაჟასავე აზრით, მხოლოდ ხორციელ წადილზე დაფუძნებული სურვილი სიყვარულის მტრად ხდება, „ჰკლავს ამ ღვთიურ გრძნობას, სცარცვის, სტაცებს, ათლის ყველაფერს, რაც კი რამ სიყვარულს კარგი და ზეაღმტაცი ახლავს“..., ასეთი დამდაბლებური სიყვარული ვეღარ წარმოშობს ისეთ შედეგს, როგორიცაა „შენ, ჩემო დიდო იმედო“... (ვაჟა-ფშაველა, „ფშავლები“, 1914).

ფშაური სატრფიალო ლირიკა ამოუწურავი და მრავალფეროვანია. ამჯერად თქვენი ყურადღება მინდა შევაჩეროთ მხოლოდ იმ ლექსებზე, რომელთა საფუძველიც „ნადობ-ნაძმობობის“ ტრადიცია იყო.

აღმ. საქართველოს მთაში (ფშავში, თუშეთსა და მთიულეთში) შორეული წარსულიდან არსებობდა დანარჩენი საქართველოსათვის სრულიად უჩვეულო „ნადობ-ნაძმობობის“ ინსტიტუტი, განპირობებული უაღრესად სპეტაკი, კეთილშობილური, რაინდული სულისკვეთებით, გაჟღენთილი იდეალური, მართლაც, პლატონური სიყვარულით. ამ ინსტიტუტმა წმინდა, შეურყვნელი სახით იარსება მე–19 საუკუნის თითქმის ბოლომდე.

„ნადობ-ნაძმობობა“ ფშავში უბრალოდ არ მოხდებოდა. იგი ძირითადად ერთი თემ-საგვარეულოს ფარგლებში იყო მოქცეული, ურთიერთობა მყარდებოდა ერთი თემის, ერთი ხატის მლოცველ ახალგაზრდა ქალ-ვაჟებს შორის. ისინი ოფიციალურად, გაცხადებულად იფიცებოდნენ და-ძმად, ოჯახების თანხმობითა და მთაში არსებული გაფიცვის წესით. ამიერიდან ქალი „ნადობად“ იწოდებოდა, ვაჟი კი „ნაძმობად“, ქალ-ვაჟის მშობლები – „ნადედობად“ და „ნამამობად“. „ნადობი“ და „ნაძმობი“ ნამდვილი და–ძმისგან მხოლოდ იმით განსხვავდებოდნენ, რომ ერთი დედ–მამის შვილები არ იყვნენ.

„ნადობ–ნაძმობობა“, როგორც თვით ტერმინიც მიუთითებს, წმინდა და ფაქიზი შინაარსის შემცველია და ქალ–ვაჟის უანგარო, დაძმურ სიყვარულს, ურთიერთთანხმობასა და პატივისცემას გულისხ-

მობდა. იგი ეფუძნებოდა ურთერთთავდადების რწმენას „ნადობ-ნაძმობის“ ურთიერთობაში გამორიცხული იყო ყოველგვარი ქვენა გრძნობა. ქალი და ვაჟი, ითვლებოდნენ რა ერთმანეთის სულიერ და–ძმად, თამამად დადიოდნენ ერთურთის ოჯახებში სტუმრად, ერთად საუბრობდნენ, ერთმანეთს ესარჩლებოდნენ და საკუთარ ჭირ-ვარამს უზიარებდნენ, რაც მთავარია, საკუთარზე მეტად ერთმანეთის სახელს უფრთხილდებოდნენ. ერთ ხალხურ ლექსშია:

„განა ლაღი ვარ, რომა ვმღერ,
გულისა დარდსა ვიქარვი,
ვინაც ჩემს იტყვის: „ლაღია“,
ჩემსავით ლაღიმც ის არი!
ძმასამც მაუკვლენ ლეკები,
მამას – ნასროლი ისარი,
ანამც მაუკვლენ ნაძმობსა,
არც ძმაზედ ნაკლებ ის არი!“

„ნადობი“ „ნაძმობის“ (ან პირიქით) ცუდად ხსენებას არავის აპატიებდა ისევე, როგორც საკუთარი ძმისას. ვაჟიც ნადობს ყველგან იცავდა, ძმობას უწევდა, პირველ მაყრად მიჰყვებოდა ქორწილში და გათხოვების შემდეგაც პატრონობდა, როგორც საკუთარი ძმა...

არაერთ ფშაურ ლექსშია მითითებული ეს ტრადიცია, ასე მაგალითად:

„...სად მიხვალ, შავო ყორანო,
გადმოგაყოლენ თვალნია,
გადადი ფშავის ხევშია,
გადაიტანენ ხმანია...
კი დაიქცაა ჩარგალი,
გადმოვარდენ-ა ზღვანია?
ნადობ კი გამითხოვდა-ა,
კი დამეცნენ-ა ცანია?
მეწადა მაგის მაყრობა,
მაგრამ შორნი მქონ გზანია...
გაჰყევით, ჩემებ სწორებო,
თუ გწამთ ლაშარის ჯვარია“!...

ნადობი თავისუფლად აგრძელებდა ნაძმობთან ურთიერთობას გათხოვების შემდეგაც. ურთიერთპატივისცემა ხშირად საჩუქრების მირთმევაშიც ვლინდებოდა: ქალი შეუკერავდა და მოუქარგავდა „ნაძმობს“ პერანგს, სათუთუნეს, საფულე ქისას, მოუქსოვდა ჭრელ, „შიბაიან“ წინდებს, „საფუხრებს“ (ხელთათმანებს), ცხენის უნაგირზე გადასაფენს – „ყაჯარს“, ხურჯინს და ა.შ.; მას არც ვაჟი რჩებოდა ვალში: გაუკეთებდა ყანის სამკალ სათითეებს, მოუჩუქურთმებდა ფანდურს, საგრეხელს, უყიდდა ვერცხლის შიბს და საჩუქრად მიართმევდა:

„ვაჭრელებ საგრეხელასა,
პატარას, თვალიანასა,
გავაკეთებ და ვაჩუქებ,
ჩემ ნადობ მარიამასა“...

ან:

„სათამბაქოე დავკარგე,
ნადობის გაკეთებული,
ახალი იყო ისივა,
არ იყო დაძველებული“...

მსგავსი ინსტიტუტის არსებობა აღმ. საქა-ოს მთის კუთხეებიდან, ფშავის გარდა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, დადასტურებულია თუშეთსა და მთიულეთშიც (ს. მაკალათია – „თუშეთი“, 1933; „მთიულეთი, 1930). ამ ინსტიტუტმა შექმნა იდეალური სიყვარულით გამთბარი საერთო გარემო და მისი ამსახველი ლექსები, რაც მეტ-ნაკლები სიძლიერით (კუთხეთა მიხედვით) ხალხურ პოეზიაშიც აისახა.

ქალ–ვაჟთა ასეთი ახლო მეგობრული ურთიერთობა ძალზე იშვიათად შეიძლება ინტიმურ სიყვარულშიც გადაზრდილიყო, თუმცა ტრადიცია მკაცრად ზღუდავდა ქალ-ვაჟს. არამც და არამც არ შეიძლებოდა მათი დაქორწინება, უფრო მეტიც, თუ ქალ-ვაჟისაგან ეს წმინდა ტრადიცია შეილახებოდა, თემი მსგავს შემთხვევაში მათ სასტიკად დასჯიდა, საქვეყნოდ ჩაქოლავდა. ამის შესახებ მოგვითხრობს ჩვენამდე მოღწეული არაერთი თქმულება.

გადმოცემის მიხედვით, ფშავში ერთ-ერთი ასეთი უკანასკნელი ჩაქოლვა მომხდარა მე-19 საუკუნის მიწურულს სოფ. მათურაში:

„ამგვარ დამნაშავეთ ჩაჰქოლავდნენ ხიდის ყურზე, ან „გზის შესაყარში“, გზაჯვარედინში, რომ ყველა გამვლელ-გამომვლელს ენახა დამნაშავენი“... (ვაჟა-ფშაველა), თუმცა ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ნადობ–ნაძმობის დაძმური სიყვარულის ტრფობაში გადაზრდა მეტად იშვიათი მოვლენა იყო ფშავში. ნადობ–ნაძმობთა ურთიერთობა სიკვდილამდე წმინდად ინახებოდა.

ფშაურ წიაღში არსებული „ნადობ-ნაძმობობის“ ტრადიცია ანარეკლს პოულობს „ვეფხისტყაოსანში“. ქალ-ვაჟის ამგვარი სპეტაკი ურთიერთობა თავისუფლად ედარება შოთას გმირების – ტარიელისა და ასმათის – დაძმურ, თავდადებულ და უანგარო სიყვარულს, რომელსაც ბადალი არ მოეძებნება არა მხოლოდ ქართულ, მსოფლიო ლიტერატურაშიც.

ტარიელისა და ასმათის ეს უანგარო ურთიერთდამოკიდებულება მხოლოდ შოთას პოეტური ფანტაზიის ნაყოფი არ უნდა იყოს, როგორც არაერთგზის დაწერილა. სავსებით შესაძლებელია, იგი განპირობებული ყოფილიყო ნადობ-ნაძმობობის ტრადიციით, იმ ცოცხალი სინამდვილით, რომელიც რუსთველის დროის საქართველოში ფხოვის წიაღში არსებობდა.

საოცრად ამაღლებულია ნადობ–ნაძმობობასთან დაკავშირებული ფშაური ლექსები. ქალ-ვაჟის ამგვარი მეგობრობა და სიყვარული რომ ჭეშმარიტად უანგარო იყო, ნათელს ხდის დ. ხაზანაშვილის მიერ ფშავში ჩაწერილი, ნადობის მიერ ნაძმობის მისამართით ნათქვამი ლექსი: „რა ბევრი მიტირებია“ („ივერია“, 1887, №74).

ქალის ნაძმობმა დანიშნულის გამტაცებელი მოკლა და თავი ტყეს შეაფარა. ნადობი სულით

ხორცამდე შეძრა ამ ამბავმა:

რა ბევრი მიტირებია,
რა ბევრი ცრემლი მდენია,
არც გული გამამიცვლია,
არც ამიღია ხელია,
როდესაც მამაგონდები,
მედება ცეცხლის გენია!
სახსოვრად დამრჩა თვალ-წარბი,
ოქროს ულვაში შენია“...

ნადობი გრძნობს მოახლოებულ საშიშროებას: მოკლულის ახლობლები მისი ნაძმობის სიცოცხლეს საფრთხეს შეუქმნიან, შურისძიებას მოინდომებენ... ქალი ამართლებს ნაძმობის საქციელს: „მოგიკლავ ცოლის წამყვანი, შენ სხვა რა წაგიხდენია“! – და იმედი აქვს თემის „მართალი სამართლისა“... წინააღმდეგ შემთხვევაში მზად არის თემის განჩინების წინააღმდეგაც კი წავიდეს:

„...თუ სამართალი ვერ გიყონ,
ამასწყდეს ფშავის ხევია,
ძირითამც ამავარდება,
მგონია, თორმეტ თემია,
მოგიკლავ ცოლის წამყვანი,
შენ სხვა რა წაგიხდენია“...

ნადობი მზად არის ნაძმობის ბედი გაიზიაროს, ნაძმობის სანუგეშებლად მასთან ერთად გაიჭრას ტყეში და მისთვის თავი გაწიროს: „შენთანამც მამცა სიცოცხლე, შენთანამც მამჭრა ყელია“..., და წ ა რ მ ო უ დ გ ე ნ ე ლ ი ა, უფრო მეტიც, დ ა ნ ა შ ა უ ლ ი ც კია ქალის ამგვარ სპეტაკ გრძნობებში ეჭვის შეტანა. განა ასე არ მოიქცეოდა და ძმისთვის?!

„ნადობ-ნაძმობთა“ ურთიერთობაზე შექმნილი ლექსები ბევრი არ არის და ამასაც თავისი ახსნა აქვს, მაგრამ რაც არის, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ბევრი მათგანი ქართული ხალხური პოეზიის შედევრია, ხალხური საგანძურის ბრწყინვალე ნიმუშია.

მაგალითისათვის მოვიყვანთ ერთი ფშაველი მეცხვარის ნათქვამ და ჩვენამდე მრავალ ვარიანტად მოღწეულ ლექსს: „შირაქის გზაზე მოვდივარ“...

„წამუედ შირაქშიითა,
უკუღმ მაბრუნებს ქარიო,
სულთა პეპელა შამამხვდა,
წითლით ჭრელნი ჰქონ მხარნიო,
ნადობის კაბას ვაფერე,
ღმერთო, დამწერე ჯვარიო...
საფშაოდ გამაემართა,
გამუაყოლენ თვალნიო,
დიდხან ყურება მეწადა,
არ მაყენებდა ქარიო...
ავდეგ და მენაც წამუედ,
ლურჯაი მყვანდა ჩქარიო,
ნადობის სახლთან ჩამოვხე,
კართაკე დამრჩა თვალნიო,
ნადედობ გამამეგება,
ნამტირალევი არიო,
დაჯდა და კითხვა დამიწყო: –
„როგორ გავიდა ცხვარიო“? –
„ცხვარი კი კარგად გავიდა,
ჩემ ნადობ როგორ არიო?“–
„შენ ნადობ როგორ იქნება,
სამის კვირაის მკვდარიო“...
ჩამამეხოცნეს ხელ-მუხლნი,
შუბლზე დამასხა ნამიო,
„ეგემც არ გეთქვა, დედაო,
თავს დამქცევიყვნენ ცანიო,
ისივ ის გეთქვა: გათხოვდა,
წავიდა, სხვაკან არიო,
ერთხელ ხო მაინც ნახავდა
დაწუხებული თვალიო“...
წამუედ გამეხებული
ცრემლით დავრეცხენ გზანიო,
გულზედამც დამცა ხანჯარი,
ტყვიას დაეფქვა ძვალიო,
ანამც დამლევდა არაგვი
ადევებული წყალიო,
ან ზოვიმც ჩამამიტანდა,
როცა ჩამოვლენ მთანიო,
ან კლდეზემც გადამაგდებდა
ლურჯაის ფეხის ქარიო,
ფეხქვეშამც ჩამეშლებოდენ
საფშავლონ, ვიწრონ გზანიო“!..

(„სულთა პეპელა“ – ფშავლების აზრით, გარდაცვლილი ადამიანის სული საიქიოდან პეპლის სახით მოდის, ამიტომ ეძახიან მას „სულთა პეპელას“...)

ქალბატონების შემოქმედება

მანანა ხოჩავა

ზღაპრების ციკლიდან: „ოდესღაც იყო ქვეყანა“...

მაკა მზეთაშვილი

...ოდესღაც იყო ქვეყანა...
ქვეყანა უყვარდა მზეს...
ზღაპრის ზღაპრები

ერთ პატარა სოფელში პატარა სახლში ცხოვრობდნენ ვაგუ და მატა. უშვილოდ გალიეს წლები. უყვარდათ ერმანეთი. არსებობდნენ ერთმანეთით, ერთმანეთისთვის.

ვაგო მებუხრე იყო. სოფელში ყველას სახლში გიზგიზებდა ვაგოს ამოყვანილი ბუხარი. დალოცვილი მარჯვენა აქვს, მისი ბუხარი არასოდეს აგატირებსო, ამბობდნენ სოფელში. საკვამურის რომ ამოაშენებდა, ჩუმად, თავისთვის იტყოდა ვაგუ, ესეც შენი გზა, კვამლიო, აქედან ახვალ ცაშიო...

არავინ იცის, ვინ შეარქვა ვაგოს ბუხარა. აიტაცეს ეს სახელი და მას შემდეგ ყველა ბუხარას ეძახდა, ნამდვილი სახელი მიივიწყეს.

ბუხარას წესად ჰქონდა, ყოველ ახალ მოსახლეს თავად სტუმრობდა და ბუხარს უკეთებდა. გასამრჯელოს არასოდეს იღებდა.

ერთხელ სოფელში უცხოები მოვიდნენ, დასახლდნენ. ერთმა ბუხარას ბუხრის გაკეთება სთხოვა. ბუხარაც შეჰპირდა, გაღმა სოფელში საქმეს მოვრჩები ერთ კვირაში და მერე თქვენთან დავიწყებო. ახლადდასახლებულმა, ბუხარას რომ ვერ იცნობდა, ჰკითხა, რამდენი უნდა გადაგიხადოთო.

— თქვენ გგონიათ, ყველაფერი იყიდება ან ყველაფრის ყიდვა შეიძლება?! მე თქვენს ოჯახში სითბო შემომაქვს და თქვენ მევაჭრებით?! — წყრომა არ დამალა ბუხარამ.

შერცხვა მეზობელს, მოუბოდიშა.

.....

სოფელი იზრდებოდა. ემატებოდა პატარა სახლებს პატარა სახლები, ბუხრებს — ბუხრები...

და კიდევ...

ახალი პატარა სახლები ახალი პატარა ხალიჩებით მშვენდებოდა.

.....

ზამთრის გრძელ ღამეებში ქმრის გამართულ აგიზგიზებულ ბუხართან მოიკალათებდა მატა, მოიმარჯვებდა საქსოვს და ქსოვდა პატარა ხალიჩებს. ძაფები, საღებავები — ყველაფერი ბუნებრივი ჰქონდა. თავად ართავდა მატყლს, მთიდან ჩამოტანილ მცენარეებს წვენს ადენდა, აზავებდა, საუცხოო ფერებს იღებდა.

წკაპუნობდნენ ჩხირები და იქსოვებოდა ერთი დიდი ამბავი სიყვარულისა. ერთ ხალიჩაში დაწყებული ამბავი მეორეში გრძელდებოდა, მერე — მესამეში... ამბის დასაწყისის მიგნება იყო რთული, ამბის გამგრძელებელი ხალიჩის ამოცნობაც არ იყო იოლი, ცალცალკე ყოველი ხალიჩა ამბავი იყო, თუმცა დაუსრულებელი.

ბუხარას ბუხარივით ყველა სახლს ნატას ხალიჩაც ამშვენებდა. ზოგს კედელზე გაეკრა, ზოგს ტახტზე ეფინა, ზოგს — სკივრზე... ახალშობილებს კი აკვნის ქვეშ უგებდნენ.

.....

ბუხარას ყანაში რამდენიმე ძირი მზესუმზირა თავისით ამოვიდა, ქარმა ჩამოთესა ალბათ. ლურჯფოთლა სიმინდებში მზესუმზირის ყვითელი ყვავილები თვალხარბი სანახავი იყო.

ერთ დილით ყანაში მიმავალმა შორიდან შენიშნა ბუხარამ, მზესუმზირებს თავი დაეხარათ, ეუცხოვა კაცს, მზეს როგორ არიდებდნენ თვალს მზის შვილები..

— მატა, მატა, მოდი, მზესუმზირებს გახედე!

— უი, რა მოსვლიათ, გახმნენ?!

მზესუმზირებთან მოსულნი შეცბნენ, მზესუმზირებში ჩვრებში გამოკრულ ჩვილს ეძინა. მზესუმზირები, ადამიანით გაკვირვებულნი, ადამიანს დაჰყურებდნენ მზედავიწყებულნი.

მატამ აიყვანა ჩვილი, გულზე მიიკრა და აჩქარებით სახლისკენ წავიდა, ბუხარაც აედევნა.

...ზესუმზირებმა მზეს ახედეს, თავი და თვალი გააყოლეს მანათობელს...

.....

მთელი სოფელი ზრდიდა მავას, ასე შეარქვეს ბაბო მატამ და პაპა ვაგუმ შვილობილს. მეზობლის ქალი დადა დღეში ერთხელ აწოვებდა ძუძუს. ხან თავად მიდიოდა გოგონასთან, ხან მასთან მიჰყავდათ ბავშვი. სხვა მეზობლები კი რძეს, კარაქს, მაწონს

არ აკლებდნენ პატარას.

იზრდებოდა მავა პაპისა და ბაბოს სიყვარულით, მთელი სოფლის მზრუნველობით.

მავა მზეთაშვილის დღიურიდან

– დედა, მე როგორ გავჩნდი?

– კომბოსტოს ფოთლებში გიპოვეთ... წეროებმა მოგიყვანეს... ანგელოზებმა გვაჩუქეს შენი თავი...

ასეთ ლეგენდებს თხზავენ მშობლები.

ჩემი ზღაპარ–ლეგენდა კი ასე დაიწყო:

მეც ისე მოვევლინე ამქვეყნას, როგორც ყველა ადამიანი, ტკივილით გამაჩინა ქალმა, რომელიც არასოდეს მინახავს.

სიმინდის ყანაში, მზესუმზირების ძირში მოიპოვეს მებუხრე ვაგუმ და მქსოველმა მატამ. თურმე მზესუმზირები დამყურებდნენ ფართოდ გახელილი თვალებით. ბაბო მატამ გულში რომ ჩამიკრა, არ დამიჯერებთ, ვიგრძენი ის სითბო. არც იმას დამიჯერებთ, რომ მესმოდა ვაგუ პაპას აჩქარებული სუნთქვა. ბაბო მატას სითბომ შეშინებული გული გამითბო, ვაგუ პაპას აჩქარებულმა სუნთქვამ კი – ფილტვები.დღემდე იმ სითბოთი, იმ სუნთქვით მოვდივარ.

ჩვენს ოჯახში მზესუმზირის კულტია.

პაპა ყოველ წელს იმ ადგილას, სადაც მე მოიპოვეს, თესავს მზესუმზირას. თითქოს ასე უხდის მათ მადლობას.

ჩემს მაგიდასთან კედელზე ბაბოს ნაქსოვი ხალიჩა მაქვს გაკრული. შეფერდებულზე მზესუმზირების ყანაში ქერათმიანი გოგონა დგას ზურგით. დიდი წითელ–ყვითელ მზე დაჰყურებს ყანასაც და გოგონასაც. მზესუმზირები მზეს შეჰყურებენ, გოგონაც, თავის მიმართულებით აშკარაა, მზეს უყურებს.

მატა ბაბომ ჩემთვის მოქსოვა მზესუმზირების ყანა...მზის საბრძანებელი.

.....

სახელი – მავა

გვარი – მზეთაშვილი

დაბადების ადგილი – ?????

პოვნის ადგილი – სიმინდის ყანა, მზესუმზირების ძირში.

ეს ჩემი დაბადების მოწმობაა, ჩემივე დაწერილი. კედელზე, ხალიჩის გვერდით ესეც ჰკიდია.

გვარიც თავად გამოვიგონე, მზესუმზირების სიყვარულით.

P. S. როგორც შეგპირდი, ბებო შემოგევლოს, მე დავიწყებ ზღაპრის თხრობას და შევწყვეტ...

მავას ცხოვრების გაგრძელება შენ გელოდება.

ძვირფასო მკითხველებო, თქვენ ვერ შემოგბედავთ, მე ისედაც დიდად დავალებული ვარ თქვენი ყურადღებით, ერთგული მკითხველობით.

თეთრი პეპლების მისია

ერთხელ ლურჯი პეპლების სამეფოში პატარა თეთრი პეპელა მოფრინდა. იუცხოვეს ლურჯებმა, მაგრამ საქმეს ეშურებოდნენ, მისთვის არ ეცალათ და არაფერი უკითხავთ. გაიშალნენ მინდორში, თეთრი პეპელაც მათ მიჰყვა. სტუმარი პეპელა რომელ ყვავილსაც შეეხებოდა, ყვავილს ფერი და სურნელი ემატებოდა. სხვა პეპლებიც მას ეტანებოდნენ. დაფარფატებდა ყვავილიდან ყვავილზე თეთრი პეპელა, ლურჯებიც მიჰყვებოდნენ მას. შებინდებამდე იფრინეს, მერე კი ერთ ხეზე შეიკრიბნენ. უცხო პეპელაც მათ მიჰყვა. ახლა კი მოიცალეს მისთვის, ეჭვით შეხედეს, არ მოიკარეს. ხის ტოტზე ჩამოჯდა თეთრი პეპელა განცალკევებით. უხუცესმა ლურჯმა ფრთა ასწია და თეთრი პეპელა მიიხმო. მიფარფატდა შეშინებული სტუმარი.

– შენ ჩვენი ფერისა არ ხარ, საიდან მოხვედი?

– მე თეთრი პეპელა ვარ, მაღლა, ღრუბლებს ზემოთ თეთრი პეპლების სამეფოა, იქიდან მოვფრინდი.

– ასე შორიდან რისთვის მოხვედი?

– არ ვიცი, ღრუბლებს ზემოდან გამოვაფარფატე ღრუბლებში, დავეშვი და აქ აღმოვჩნდი.

– თუ ჩვენთან დარჩენა გინდა, ჩვენნაირი უნდა გახდე, ორ დღეს გაძლევთ დროს... სხვაგვარად ვერ მიგიღებთ.

თეთრ პეპელას ფრთები დაუმძიმდა, ფეხები მოეკეცა.

.....

დილაადრიან აიშალნენ ლურჯები, თეთრიც მათ მიჰყვა. მთელი ღამის უძილო უჭირდა ფრენა, მაგრამ არ იმჩნევდა. ისევ გადადიოდა ყვავილიდან ყვავილზე. ყვავილებს ფერი და სურნელი ემატებოდათ. ლურჯებიც გუნდად დაჰყვებოდნენ თეთრს. შებინდებამდე იფარფატეს. შებინდებისას ისევ ხეზე შეიკრიბნენ. თეთრი ისევ განმარტოვდა. უხუცესმა ლურჯმა ისევ ასწია ფრთა და მიიხმო, შეახსენა, კიდევ ერთი დღე და... აღარ დაამთავრა სათქმელი. თეთრი წაფარფატდა, ისევ განმარტოებით ჩამოჯდა.

....

დილით მინდვრისკენ გაფრინდნენ ლურჯები, თეთრი მათ აღარ გაჰყოლია, სხვა მხარეს გაფრინდა. იფრინა, იფრინა და ერთ ნახევრად გამხმარი ბუჩქის ფოთოლზე ჩამოჯდა. ფოთოლი ბუსუსებიანი იყო, ბუსუსებით მიიკრა ფოთოლმა პეპელა, მერე წვერი მოკეცა და გადააფარა სტუმარს. ნიავმა ფოთოლი შეარხია და პეპელას მიეძინა. ბუჩქმა ნიავს გასძახა:

– მომისმინე, მეგობარო, შენს ძმას, ქარს უთხარი, ჩემთან მოვიდეს, მიხვდება, რისთვისაც ვიბარებ.

– გადავცემ, – ჩაიშრიალა ნიავმა.

ქარი მალე მოქარდა.

– აბა, რას მეტყვი?

– აქ სტუმარი მყავს, შენ იცი, სადაც უნდა წაიყვანო, ფრთხილად ატარე, არაფერი ავნო. ძალიან გულნატკენია.

– არ იდარდო, ხომ არასოდეს გამიწბილებიხარ.

ბუჩქმა ბებრულად გაულიმა. ფოთოლი გაშალა და ქარმა აიყვანა მძინარე პეპელა. მერე ქარი დამრგვალდა, ბურთივით შეიკრა, პეპელა კი შიგნით მოიქცია და გაქარდა.

ქარი კია გიჟი, გადარეული, მაგრამ გული კეთილი აქვს...

იქროლა, იქროლა ბურთ-ქარმა და ერთ მინდორში გაჩერდა, გაიშალა. პეპელასაც გაეღვიძა, აიქნია ფრთები და გაფრინდა. ქარმა თვალი გააყოლა. პეპელა აღარ იყო თეთრი, ნაბუსუსრები ლურჯ წერტილებად ეტყობოდა. ის ახლა იყო პეპელა ლუ... ლუ მალე გაერია სხვებში. ყველა პეპელა მასავით დაწინწკლული იყო, მხოლოდ ზოგს თეთრზე წითელი წერტილები ჰქონდა, ზოგს – ყვითელი, ზოგს – შავი...

დაწინწკლულებმა თავისიანად მიიღეს ახალმოფარფატებული.

დილიდან შებინდებამდე დაფარფატებდნენ დაწინწკლული პეპლები.

....

დარდობდა ლუ, სიზმრად ლურჯებთან დაფრინავდა.

ერთხელ, როდესაც ქარმა ყავისფერწინწკლება მოიყვანა, ლუ მიფარფატდა და სთხოვა, ლურჯებთან დამაბრუნეო. ქარს გაუკვირდა, თვალებდაქაჩულმა და წარბებაქაჩულმა უთხრა, ვერ წაგიყვან, მერე აქეთ ვეღარ დაგაბრუნებო. პეპელამ ისე სთხოვა, ისე ემუდარა, ქარმა მკლავები მოხვია, ბურთად შეიკრა და როგორც მიიყვანა, ისე დააბრუნა ლურჯებში.

ლურჯებმა ვერ იცნეს, თუმცა ასეთი ფარფატი, ფრთების ასე ქნევა, ფეხების ასე მოკეცვა თითქოს ენახათ, მაგრამ როდის ან სად, ვერ გაიხსენეს. ზოგს მოსწონდა უცხო პეპლის მოხატულობა არ და ცეკვაც. ზოგი კი ეჭვით უყურებდა.

დაფრინავდა ლუ, აცოცხლებდა და ასურნელებდა ყვავილებს. ლურჯების ამალა დაჰყვებოდა თან.

ლურჯებმა ვერც კი შენიშნეს, ფრთებზე როგორ გაუჩნდათ სითეთრე. ზოგს არშიად შემოევლო თეთრი ხაზი, ზოგი დაიწინწკლა, ზოგს თეთრი ფხაჭები დაეტყო, ზოგი თეთრად დაიზოლა...

დაფარფატებდა ლუ და დაჰყვებოდა თეთრშეპარული ლურჯების ამალა.

...

ერთხელ გაბედა ლიმ და ქარს წინწკლებიანი მეგობრების ამბავი ჰკითხა. ქარმა არაფერი უპასუხა.

....

ფრენით დაღლილი პეპლები ერთმანეთს მიკრული იძინებდნენ. ლუს კი წინწკლებიან მეგობრებზე ფიქრი არ აძინებდა. ფიქრებში ხედავდა, წითელწინწკლებიანი წითელ პეპლებთან დაფრინავდა...

ყვითელწინწკლებიანი ყვითელ პეპლებში დაფრინავდა...

ძილისკენ წასული კი ყველას თეთრშეპარულ პეპლებად ხედავდა.

ერთი ლექსი

ედუარდ უბულავა

ალაზნის ველი

ამომიჯდება გული ბავშვივით,
ახლა სიცოცხლე მიყვარს ძალიან,
რადგან იქ ვდგავარ, ხელებგაშლილი,
სადაც მზეა და ალაზანია.
მიდის და მიაქვს დრონი, რა დრონი,
მწიფე ველებში მბზინავ დინებას.
ჰაი, დედასა... ამის პატრონი,
უცხო ნატვრებს რომ ეკვლევინება.
მზემ გადაუხსნა მყინვარს საკინძე,
ნისლის გედები ფრენენ გუნდებად.
უცქირე, თუკი გული გაგიძლებს,
თუ მუხლში ძალა შენარჩუნდება.
სულში წარსული ჩამდის ცრემლებად
და მკერდს მაწვება ლომის ტორებით –
ეს მშობლიური საკვირველება,
თხემით ტერფამდე გასაჟრჟოლები.
მზერას არწივულს რას არ შეახებ:
აგერ – ბაღები, აგერ – ტყე-ველი.
აქ სხვა ძალა აქვს გაშლილ ვენახებს,
გულიდან დარდის ამომრთმეველი.
შეხედე ამ ვაზს, ძლიერფესვებას,
მადლი ჩამოსდის მტევნებს დახეთქილს,
ამ ღვინის წვეთიც არ შეესმება,
ვისაც მოკეთედ არ თვლის კახეთი.

თვალსაზრისი

მაჩიავ ჩხეიძე



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტი

შიდაპიროვნული კონფლიქტი პერსონაჟში – უილიამ შექსპირის „ჰამლეტის“ მიხედვით

სამყარო, როგორც ანტინომიის ბუნებრივი გამოვლინება, საკუთარ თავში აერთიანებს ორ მოწინააღმდეგე პოლუსს. ხოლო ადამიანი, როგორც ამ სამყაროს მკვიდრი და, შესაბამისად, მისი ანალოგიც, დაპირისპირებულ მხარეთა ერთიანობაა. ამ თემაზე ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან მსჯელობენ, ადამიანის ბუნების შესწავლას ფსიქოანალიზმაც დიდი დრო დაუთმო. ბუნებისა და საკუთარი თავის შეცნობასთან ერთად ადამიანს უამრავი კითხვა უჩნდება და, ბუნებრივია, რომ როდესაც ამ კითხვებზე პასუხს ვერ იღებს, ბრაზდება, ხშირად უსამართლობასაც კი განიცდის, რასაც კონფლიქტამდე მივყავართ. კონფლიქტი, როგორც ცნება, მრავალგვარია, მას ყველა დარგი სხვადასხვაგვარად უყურებს, იქნება ეს ფილოსოფია, ფსიქოლოგია თუ ლიტერატურათმცოდნეობა.

კონფლიქტი (ლათ. Conflictus –შეტაკება, შეჯახება) ორი განსხვავებული შინაარსის მქონე ცნების დაპირისპირებაა, რომლებიც ერთმანეთს სხვადასხვა ფორმით უპირისპირდებიან. ლიტერატურათმცოდნეობაში ყველაზე ხშირი ტიპოლოგიაა კონფლიქტთა ორ ძირითად მხარედ დაყოფა, შინაგან და გარეგან კონფლიქტებად. შინაგანი, იგივე შიდაპიროვნული კონფლიქტი ერთ პიროვნებაში, მის სულიერ სამყაროში მიმდინარეობს და ბევრად უფრო რთული ხასიათისაა, ვიდრე გარეგანი კონფლიქტი, რომელიც შესაძლოა, პერსონაჟსა და პერსონაჟს შორის, პერსონაჟსა და გარე სამყაროს შორის, ან თუნდაც ორ განსხვავებულ ჯგუფს შორის მიმდინარეობდეს. კონფლიქტი ლიტერატურაში სიუჟეტის შენებაში დიდ როლს ასრულებს, ესაა მოვლენების მთელი სერია, ჯაჭვური რეაქცია, რომელიც საბოლოოდ ამბავს ქმნის.

უილიამ შექსპირის ტრაგედიაში „ჰამლეტი“ ონფლიქტის რამდენიმე სახე გვხვდება – შიდაპიროვნული, პიროვნებათშორისი და პიროვნება სამყაროს წინააღმდეგ. ამ კონფლიქტთა ერთიანობა ქმნის მთლიან ტრაგედიას. მეფე კლაუდიუსი ამბობს: „ჩვენ ვიქორწინეთ მწუხარების სიხარულითა“ – ოქსიმორონი, რომელიც მთელს პიესას გასდევს ლაიტმოტივად, გვიჩვენებს, რომ პიესა დაპირისპირებულ მოვლენათა პლანზე განვითარდება. მწუხარე – სიხარული, რომელიც მეფის დაკარგვითა და ქორწილითაა გამოწვეული, თითოეულ პერსონაჟში გარდატეხის საწყისია.

მამის სიკვდილით გამოწვეულ მწუხრს ჰამლეტის გული ჩაუკეტავს, მას არ სურს ვინმეს თავისი გრძნობები გაუზიაროს. მისთვის მეორეხარისხოვანია ძაძები, სამგლოვიარო ლიტურგიები და ყველა ის აქტი, რომელიც შესაძლოა, ხელოვნური, ყალბი გრძნობების მატარებელი იყოს. მის გულში არსებული ნაღველი არ საჭიროებს „მწუხარების მოკაზმულობას“. მეფისა და დედოფლის პირველ დიალოგში ჰამლეტიცაა ჩართული. მისი შიდაპიროვნული კონფლიქტის პირველი გამოვლინება სწორედ ამ დიალოგში უნდა ვეძებოთ. დარდი, რომელიც გულში აქვს, მწუხარება, რომელსაც მისი გული დაუტყვევებია, პერსონაჟს შინაგანად ჭამს, ღრღნის და ანადგურებს.

მკითხველი ყველაზე მძაფრად პერსონაჟის შიდაპიროვნულ კონფლიქტს მის მონოლოგებში აღიქვამს, ასეა ჰამლეტის შემთხვევაშიც. ბიძისა და დედის დიალოგის შემდეგ, ინდეფერენტული დამოკიდებულებით გაღიზიანებული პერსონაჟი სრულიად ეთიშება გარემოს და საკუთარ გონებაში ეფლობა. სწორედ ამ დროს მას თავში უამრავი აზრი მოსდის; ეზიზღება დედა, სძულს სამყარო, სადაც შვილებს მამები უკვდებათ და დედებს ბიძები ირთავენ ცოლად. შიდაპიროვნული კონფლიქტი ორაზროვან როლს ასრულებს ადამიანის ცხოვრებაში: მან შეიძლება დააჩქაროს პიროვნების განვითარება ან პირიქით — ისეთი ნევროზული რეაქციების განვითარების შედეგად, როგორებიცაა შიში და შფოთვა, მთლიანად ჩამოშალოს იგი. ჰამლეტის შემთხვევაში, კონფლიქტის საწყისი ეტაპი დესტრუქციულია, სასოწარკვეთილი პერსონაჟი სუიციდზეც კი ფიქრობს. ჰამლეტის პიროვნებაში დედის მოძულე და დედაზე შეყვარებული ორი პერსონა იწყებს ბრძოლას. შვილს, რომლისთვისაც დედა ყველაზე ნეტარი ქმნილება უნდა იყოს, იგი უჭკუო პირუტყვზე უფრო შეუბრალებლად ეჩვენება. მისთვის ყოველი დეტალი გამაღიზიანე-

ბელია და ჯერ კიდევ ხედავს დედის ფეხსაცმელზე მამის საფლავის მიწას.

ფსიქოანალიზის ფუძემდებელი ზიგმუნდ ფროიდი შიდაპიროვნულ კონფლიქტს გაიაზრებს, როგორც ბრძოლას შეუთავსებელ ძალებსა და სტრუქტურებს, ეგოსა და სუპერ-ეგოს შორის. ჰამლეტის ეგო ჯერ კიდევ მოუმწიფებელი, ინფანტილურია,

რომელსაც დედის დათმობა არ შეუძლია. მისი სუპერ-ეგო კი ბევრად უფრო შორსმჭვრეტელი და რაციონალურია. ფროიდი „სიზმრების ინტერპრეტაციაში" წერს: „ჰამლეტი მზადაა, ყველაფერი გააკეთოს, მაგრამ არასდროს იქნება მზად იძიოს შური იმ კაცზე, რომელმაც მამამისს სიცოცხლე მოუსპო და დედის გვერდით დაიკავა ადგილი – კაცზე, რომელიც ბავშვობაში ჩახშობილი მისი სურვილების ხორცშესხმაა. ზიზღს, რომელიც მას შურისძიებისაკენ უნდა უბიძგებდეს, შესაბამისად, ანაცვლებს თვითკრიტიკა, სინდისის ქენჯნა, რომელიც თვალწინ უშლის იმ სურათს, სადაც იგი იმ მკვლელზე უღირსია, ვის დასჯასაც ასე გამალებით მოითხოვს", (Freud 1900: 86). ფროიდს თუ დავუჯერებთ, ჰამლეტი ოიდიპოსის კომპლექსით იტანჯება. ბავშვობაში ჩახშობილი ლტოლვა ხელახლა იჩენს თავს, თუმცა ახლა კონკურენტი არა საკუთარი მამა, არამედ ვიღაც სხვაა. ფროიდის იდეა კონცენტრირებს ბავშვობაში განცდილი მოვლენების ირგვლივ. კარენ ჰორნის აზრით კი, კონფლიქტი, ესაა ბრძოლა ურთიერთსაწინააღმდეგო, „ნევროზულ მოთხოვნილებებს" შორის. ჰორნის მიაჩნდა, რომ ოიდიპოსის კომპლექსის სათავე არა შვილსა და მშობელს შორის გაჩენილი სექსუალურ-აგრესიული კონფლიქტია, არამედ ის შიში და შფოთვაა, რომელიც მშობლისა და შვილის ურთიერთობის დარღვევისას ჩნდება. ცალსახაა, რომ ჰამლეტისა და გერტრუდას ურთიერთობა ჩამოშლის ზღვარზეა. ქორწილის შემდეგ ჰამლეტი სრულიად გაუუცხოვდა დედას, სიმართლის გაგების შემდეგ კი საბოლოოდ დასცილდა მას. ეგოიზმით, შურისძიების წყურვილით, უსამართლობის შეგრძნებით სავსე ჰამლეტს არ შეუძლია თავი მოიტყუოს, მას თითქოს ორმაგი თამაში უწევს – იყოს შეშლილი და ამავე დროს დასახოს სწორი გეგმა. თუმცა ეს თამაში სულაც არაა. ჰამლეტის ეს ქმედება მისი შიდაპიროვნული კონფლიქტის გამოხატულებაა, ზუსტად ასეა გაორებული თავადაც.

ამერიკელი ფსიქოლოგი, ჰუმანისტური ფსიქოლოგიის თვალსაჩინო წარმომადგენელი, აბრაამ მასლოუ ინტრაპერსონალური კონფლიქტის კონცეფციას იერარქიულად აყალიბებს. 1) ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები; 2) უსაფრთხოების საჭიროება; 3) სიყვარულის მოთხოვნილება; 4) პატივისცემის მოთხოვნილება; 5) თვითრეალიზაციის საჭიროება (Maslow: 1972). ჰამლეტის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებაა, იძიოს შური, თითქოს ეს სისხლში აქვს გამჯდარი. მეფე ჰამლეტმა მეფე ფორტინბრასი მოკლა, ახლა მისი შვილი ემზადება შურისძიებისათვის, ჰამლეტი კი სწორედ ამ დროს იგებს, რომ თავადაც შური აქვს საძიებელი. ჰამლეტს სჭირდება უსაფრთხოება, სწორედ ამიტომ, მას უწევს, გიჟის როლი ითამაშოს, რათა ბევრად უფრო მშვიდად აწონ-დაწონოს სიტუაცია და ისე მიიღოს გადაწყვეტილებები. თითქოს შეშლილის ტყავში ბევრად უფრო დაცულად გრძნობს თავს, რადგან მის ქმედებებზე პასუხს არავინ სთხოვს, სწორედ ამიტომ შეუძლია, ზოგჯერ ღიად და დაუფარავად იმოქმედოს. სიყვარულის მოთხოვნილება ჰამლეტში გაორებულია. ერთია სიყვარული, რომელსაც ის გერდტრუდასგან ითხოვს, დედისგან, რომელსაც ბავშვური ეგოიზმით შეპყრობილი ელოდება, როდის გამოიჩენს ადრინდელ ყურადღებას შვილის მიმართ. ხოლო მეორე მხარეს დგას ოფელიას სიყვარული ან ლტოლვა, ან თუნდაც, უბრალოდ დედისა და ვნებების ადრესატის ადგილის შემავსებელი გრძნობა, რომელიც შორსაა სიყვარულისგან. ჰამლეტისა და ოფელიას საუბარში წარმოდგენილი სექსუალური (და არა მხოლოდ სექსუალური) დისტანცია ამის მაგალითია. მას შეუძლია გალანძღოს ოფელია, არ დაიშუროს უშვერი სიტყვები, თუმცა ამგვარადვე გერტრუდას ვერასდროს მოექცევა.

ჰამლეტისა და მეფის აჩრდილის შეხვედრა ერთგვარი გარდამავალი რგოლია გაორებულ ჰამლეტსა და შურისგებით აღსავსე ჰამლეტს შორის. თუ აქამდე პერსონაჟი მხოლოდ ინფანტილურ გრძნობებზე დაყრდნობით განიცდიდა შიდა პროტესტს, აჩრდილთან შეხვედრა მას საბოლოოდ ათავისუფლებს ამისგან. მამის აჩრდილის გამოცხადება ლოგოსის ხილვას ჰგავს. ეს ერთგვარი ილუმინაციაა, ჭეშმარიტებასთან, სიმართლესთან ზიარება, რომელიც უმეცრებაში მყოფ პერსონაჟს, გრძნობებს აყოლილ ჰამლეტს სიმართლის გზას უჩვენებს და ბევრად უფრო რაციონალულად ფიქრის საშუალებას სთავაზობს. მეფის აჩრდილი შესაძლოა, ჰამლეტის სუპერ-ეგოსთან გავაიგივოთ. ის ჰამლეტის ის ნაწილია, რომელიც მის სურვილებსა და მოთხოვნილებებს არეგულირებს. აჩრდილი მოუწოდებს ჰამლეტს, არ მისცეს კლაუდიუსს დანიის სამეფო ტახტის წაბილწვის უფლება, თუმცა ამასთანავე სთხოვს, არაფრის დიდებით არ გაუჯავრდეს დედას და ცეზას მიანდოს მისი განაჩენი.

ფროიდის თეორიას თუ გავითვალისწინებთ, ადამიანში შიდაპიროვნული კონფლიქტი ყველაზე მეტად მაშინ მწვავდება, როდესაც მისი იდი, ეგო და სუპერ-ეგო – სამივე გამოდის ასპარეზზე და მათი მისწრაფებები ერთმანეთის კონტრადიქტორული ხდება. როდესაც ჰამლეტი მამის მკვლელის ვინაობას იგებს, მის არაცნობიერში იდი გამოდის ასპარეზზე, ის ცხოველური საწყისი, რომლის ირაციონალურ ყივილზეც ნიცშემ „ტრაგედიის დაბადებაში" ბევრი ისაუბრა. იდი ინსტიქტურად მოქმედებს, მისი თითოეული აქტი პირველყოფილურ ემოციებზე დაყრდნობით მიმდინარეობს. სწორედ იდსა და

სუპერ-ეგოს შორის მიმდინარეობს ბრძოლა მაშინაც, როდესაც ჰამლეტს ვერ გადაუწყვეტია,მოკლას თუ არა კლაუდიუსი. მას ესმის კლაუდიუსის აღსარება და ეს უფრო ართულებს გადაწყვეტილების მიღებას. რითი იქნება ის მკვლელზე უკეთესი? ზეცა ხომ ყველას მოსთხოვს პასუხს თავის ქმედებებზე. თუმცა არ შეუძლია, უარი თქვას შურისძიებაზე. ჰამლეტის აზრით,კლაუდიუსმა მას მამასთან ერთად დედაც წაართვა. იმას, რომ აჩრდილი ჰამლეტის სუპერ-ეგოა,ადასტურებს ის ფაქტიც, რომ როდესაც ჰამლეტი,პოლონიუსის მოკვლით გაშმაგებული, გერტრუდას სექსუალურ ცხოვრებას განიხილავს და ზრახავს მას წმინდა სარეცელის შეურაცხყოფისათვის,აჩრდილი სწორედ მაშინ ჩნდება და ახსენებს, რომ არ დაავიწყდეს, რაც უთხრა.

ჰამლეტისა და აჩრდილის შეხვედრა ის ანაგნორისია,რომელზედაც არისტოტელე ტრაგედიაზე მსჯელობისას საუბრობდა. არცოდნის ფაზიდან ცოდნის ფაზაში გადასვლა. სიმართლის გაგება და ამით მთლიანი ტრაგედიის სიუჟეტის შემოტრიალება.

შიდაპიროვნული კონფლიქტის პიკს პერსონაჟი მაშინ განიცდის, როდესაც სიკვდილის პირისპირ აღმოჩნდება. სასაფლაოს სცენა და ჰამლეტის მიერ თავის ქალის აღმოჩენა პიესის ერთგვარი კლიმაქსია. თუ აქამდე სიუჟეტი აღმასვლისკენ ვითარდებოდა, ახლა უკვე კვანძის გახსნისა და დაღმასვლის დროა. ამას კი კლიმაქსი სჭირდება.

ჰამლეტის პიროვნებაში გარდამტეხ როლს თამაშობს სასაფლაოს სცენა და მესაფლავეებთან დიალოგი. მიუხედავად იმისა, რომ აქამდე მის გაორებულ გონებას ბევრჯერ უფიქრია სიკვდილზე და ბევრჯერაც უნახავს, ახლა უკვე თავად ხვდება სიკვდილს. მესაფლავეები პერსონაჟს ახსენებენ, რომ ყველანი მიწის შვილები ვართ და ადრე თუ გვიან მიწად ვიქცევით.

ჰამლეტი საბოლოოდ იგებს სიკვდილისა და სიცოცხლის არსს. თუ ადამიანი ცხოვრებაშივეარ გაიხრწნა, მისი სხეულის გახრწნას უფრო დიდი ხანი დასჭირდება მიწაში. ამ დიალოგს საბოლოოდ პერსონაჟი მიყავს იორიკის თავისქალამდე. ერთი შეხედვით უბრალო მასხარის თავის ქალა ჰამლეტის თანატოსი ხდება. თითქოს პერსონაჟი საკუთარი სიკვდილის ანგელოზს ხვდება, მისი აზრაელი ამ ქალაში ჩაბუდებულა და ახსენებს, რომ მისი ბოლოც ეს არის. სწორედ ამ ფიქრებს პერსონაჟი მიჰყავს საბოლოო და ყველა რთულ მონოლოგამდე, სადაც ჰამლეტი ყოფნა-არ ყოფნის საკითხს სვამს. ეს მონოლოგი ჰამლეტის თავდაპირველი მონოლოგის გამოძახილია, ჯერ კიდევ დასაწყისში იგი აპროტესტებს, რომ არ შეუძლია, მოიკლას თავი, რომ ეს უპატიებელი ცოდვაა, თუმცა არც ამგვარ სამყაროში ცხოვრება არ შეუძლია. ფსიქოანალიზში სუიციდი ადამიანში თანატოსის გააქტიურებაა,რომლის ერთადერთი ამოცანაა,ამქვეყნიური სიძნელეები სიკვდილით დაძლიოს. არეულ და გაურკვევლობაში მყოფ ჰამლეტს, რომელმაც ჯერ ვერც შური იძია და ვერც დედა დაიბრუნა, არაფერი დარჩენია, გარდა სიკვდილზე ფიქრისა. იორიკისაა ეს თავის ქალა თუ ვინმე სხვა პერსონაჟის, ის ჰამლეტის პიროვნების კრიზისს გამოხატავს. მან დაკარგა საკუთარი თავი, ვერ გაურკვევია, ვინაა და რას ემსახურება. ვერც ის გაურკვევია, ღირს თუ არა შური იძიოს, თუ ყველას ბოლო მაინც ცივ მიწაში საუკუნოდ ცხოვრებაა, მაშინ რა აზრი აქვს კიდევ ერთხელ გაისვაროს სისხლში ხელები.

თუმცა პერსონაჟის ბოლო მაინც ერთია. მან უნდა მოკლას კლაუდიუსი. თუმცა ამას ვერ აკეთებს, თითქოს რაღაც უშლის ხელს. პიესის ბოლოს ვხედავთ, რომ ეს რაღაც/ვიღაც თავად გერტრუდაა. ჰამლეტი მანამდე ვერ ახერხებს კლაუდიუსის მოკვლას, სანამ გერტრუდა არ მოკვდება. თუ ოიდიპოსის კომპლექსით გამოწვეულ შიდაპიროვნულ კონფლიქტს ისე განვიხილავთ, როგორც მშობელსა და შვილს შორის ურთიერთობის ჩამოშლას, გამოდის, რომ ჰამლეტის ერთადერთი სურვილი შურისძიება და დედის დაბრუნება იყო. სანამ გერტრუდა ცოცხალი იყო, ჰამლეტი თრგუნავდა თავის სურვილებს,ათრთოლებული დედის დანახვა და აჩრდილის სიტყვების გახსენება შურისძიების წყურვილს უნელებდა. თუმცა გერტრუდა მოკვდა და ახლა მას აღარაფერი უშლის ხელს შურისგებაში. ყველა ის დათრგუნული გრძნობა, ყოველი შეგრძნება, რომელსაც ჰამლეტის არაცნობიერი განიცდიდა, წინა პლანზე წამოვიდა და გაბედა და მოკლა კლაუდიუსი. კლაუდიუსის მკვლელობა მრავალჯერადი აქტია, ერთ შემთხვევაში ის იძიებს შურს, როგორც შვილი, რომელსაც მშობლები წაართვეს, მეორე შემთხვევაში ის იბრუნებს მის კუთვნილ ტახტს, ხოლო მესამე შემთხვევაში, ჰამლეტში განსახიერებული მეფე კლავს საკუთარ მკვლელს და ამით იმარჯვებს სიკვდილზე. მხოლოდ კლაუდიუსის სიკვდილის შემდეგ შეუძლია მას სიმშვიდის მოპოვება,რაც მეტაფორულად ჰამლეტის სიკვდილში აისახება.

ის შიდაპიროვნული კონფლიქტი, რომელსაც ჰამლეტი მთელი პიესის მანძილზე განიცდის, საბოლოოდ მისივე სიკვდილით სრულდება. თუმცა ეს არაა სუიციდი, ეს მისი ქმედებების გამოძახილია, ერთგვარი საზღაური იმ სიმშვიდისა, რომლის მოპოვებაც მის არაცნობიერს მთელი ტრაგედიის მანძილზე სურდა.

პოეზია

თინათინ ჟვანია

გალას გზებზე...

იყო ნიავი თბილი
და ქარის ურცხვი გამოქროლება...
გადმოვიარე ხიდი,
იქვე, სკვერი და ტუია,
მებაღე გულდაგულ
კორტნის გაზონებს,
სიმწვანე დალუქულია
და ვგრძნობ ტკივილებს
ახლადამოწვერილ წიწვის,
მეხვევა სურნელი კვარის,
ძირს ყრია ზურმუხტი მიწის.
მერე თოლია, ნეფრიტისფერი მტკვარი
და ისევ... ის ურცხვი ქარი.
გამოვიხედე ფიქრების კვამლიდან...
ო, რაღაც უცხო ფრინველი
ჩემ წინ უხმოდ აფრინდა
და სილურჯეში ჩაეხუტა
მთაწმინდას.

იქიდან მოვედი

მსხლის ყვავილებით
სავსე იყო ეზო-ყურძენი,
ბებომ სათუთად გამიყვანა
ხელისკიდებით...
ორი წლის ვიყავ
და უცაბედად,
ჭრელი პეპელა მომაფრინდა
შუბლზე პირველი,
შემომეფეთა ეს მოგონება
და ვერ ვივიწყებ
ვერასდიდებით...

ზღაპარი დამთავრდა

ჰე, საყვარელო, რა დრო იყო,
როგორი თოვლი,
რომ ვერ ბედავდი
ჩემთვის გუნდის სროლას და სიცილს...
მე გაშინებდი თოვლის დედოფლით,
შენც ხომ, ვითომ შინდებოდი
პატარა ბიჭი...
გადაიხარა დედამიწა, თოვლი ვერ აგნებს
და აღარ თვლემენ ბუხრის კუთხეში
გამოსახმობად გამზადებული
კონკია და მისი აშარი დები,
თოვლის გარეშე რა აზრი აქვს
მათ გამოხმობას?
ჰო, მის გარეშე ხმაც შეგვეცვალა,
გახდა უხეში...
სად? სად გადიან მხიარულ ტრენინგს
თეთრი ფიფქები და ახალი წელი?
ნეტა რა სულმა უნდა სძლიოს
თოვლის დედოფალს?
აქ ხომ მას უკვე არავინ ელის?
ყველა ზღაპარი უცებ დამთავრდა,
დრო დადგა ბნელი, არაფრისმთქმელი,
გიხსენებ, ვწუხვარ მე
პირველყოვლის,
ჰე, სიყვარულო, რა დრო იყო,
როგორი თოვლი...

საზაფხულო ეტიუდი

ჩემს ოთახში, ზედ ფანჯარასთან,
თურმე გვრიტი ბუდეს იკეთებდა,
რა ვიცოდი, საყვარელი
თუ მე მიბედებდა...
ღამით შუქჩამქრალზე ვნახე,
თეთრად ანათებდნენ გვრიტის კვერცხები,
მეორე დილით კი შევამჩნიე,
ფანჯარას, ოდნავ ფრთაშეყოვნებით
ჩაუფრენდნენ მერცხლები,
დავდიოდი ნელა, თვალებით ვეფერებოდი
ამ პრეისტორიულ საოცრებას,
გვრიტის ბუდე, ზედ კარნიზზე, მაოცებდა...
რამდენიმე დღე ოთახი მარტო იყო...
მოვედი და ბარტყებს უკვე
ფრენას ასწავლიდა დედა.
ის დღეები ჩემთვის
ერთი ფართოფორმატიანი ფილმი იყო,
ბუდე კი ისევ ფარდას ამშვენებდა,
რა ცოტა ყოფნის ადამიანს! ჰა დედა!

* * *

ჩამოვიდა აგერ მზე და...
ჩამომიდგა ზედ ჭიშკართან,
მზეო, ბევრს არაფერს არ გთხოვ,
არ წახვიდე სხვაგან არსად
მე, მიყვარხარ!

ჯუბა ღებელს

ღებავს ღებელი ლექსის ღიობებს,
ღებში ღელეებს გააქვთ ღიღინი,
ო, თუ ღმერთი გწამს, ღებელო კაცო,
ასე ლამაზად ვისთვის იღიმი?..
გადილივლივებს ლურჯად ღიღილო,
ღამე ღიაა ღამურებისთვის
და თუ ღირსია ვინმე დაღლილი,
ხელში აიყვანს მძინარ ამურებს...
ღმერთი ღრუბლებზე ფეხმორთხმით ჯდება,
ღაღანებს ყანა გადაღეღილი,
ღუიან მწიფე ლექსის ნაღმები
და ფეთქდებიან აღერღილები...
საღამო იხდენს ლექსის საღამურს
და ჟღურტულებენ რითმის ჩიტები,
მე დავიღალე ყოფის ღალებით,
ლექსის კითხვით კი, არ დავიღლები!..

2021 წლის შემოდგომის ლექსი

მეპარება შემოდგომა,
შადრევანი წკრიალებს,
ბროლსათუთი ჩქერალები
ხმაურობს და ბრჭყვიალებს,
სად ვიქნები იმ წლის ამ დღეს,
ვინ მეტყვის ან ვინ იცის,
გამინათებს სკვერის ბუჩქებს
სევდიანი თბილისი...
პუშკინის სკვერს ისევ ისე,
ოქროს აყრის ჭადარი,
სად წავიდა, შარშან აქ რომ
სეირნობდა ის ქალი?!
ფეხზე ჟოლოსფერ „ბალეტკებს“
მზერა ჰკიდეს კაცებმა,
სად გააქრო ავტობუსმა
ქალი მწვანეთვალება...

მინიმები

გამიქვავდა ბალიში,
ღამით თოვლზე მაბოდებს
და სიზმრებმა საბნიდან
გულზე გადამაბოტეს...

* * *

გაზაფხულის საღამოა, ვტკბები,
ზუზუნებენ თაფლით სავსე სკები,
დედა ფუტკარს ახვევია სპაი,
როგორ მინდა, ვიყო მათი დაი...

* * *

სიზმრები მემალებიან,
ბალიშს ვბერტყავ და ვშლი,
ღვთის გულისათვის, ღამეო,
ნერვებზე რატომ მშლი?!

გამოგონილი თავშესაქცევი

გულის სადარდებელი,
დარდის არ გამხელები,
მაგრამ თუკი გამოჩნდი,
გამამხელენ ხელები...
თვალი გამინათდება,
გულს შელეწავს ტალღები,
ასფალტზე კლასს დახაზულს
ასკინკილით ჩავყვები.
ყველას გადავიბირებ,
ისე ავფერადდები,
ჰელიუმის თეთრ ბუშტებს
ალბათ ცაში ავყვები,
ეს მაშინ, თუ გამოჩნდი,
ეს მაშინ, თუ ცხადი ხარ,
მაგრამ, აბა, როგორღა?
თუ არასდროს ყოფილხარ?

სოფელი მთაში

ზამთრის ღამე უსაშველოდ გრძელი იყო –
კატა, თოვლიან სახურავზე
ბუხრის საკვამურთან წვებოდა...
თოვლი, მშრალი და ფშხვნადი იყო...
მიწა, თოვლს ღამით კვლავ ელოდა.
მწითური კატა ხვადი იყო,
თვალები მწარე კვამლით ეწვოდა
და მაინც მისთვის მადლი იყო,
რომ არ ეძინებოდა იზოლდას.
იზოლდა ერთადერთი ქალი იყო,
ცეცხლი მხოლოდ მის სახლში არ ქრებოდა,
ზამთარი მთაში მკვდარი იყო...
კატა სოფელს სახურავიდან ზვერავდა,
სოფლის თავს შუქი ერთ ბოძზე ენთებოდა,
ხან ენთებოდა, ხან ქრებოდა...
კატა ამ ნათებას შესცქეროდა,
სახურავიდან ბოძამდე საშინლად ბნელოდა...
რაც გინდათ, დაარქვით ამ სურათს,
ამბავი ასე იყო და...
სოფელს ბეჯითად განაგებდნენ
მწითური კაცი და იზოლდა....

აქსიომა

ერთადერთი თავშესაფარი
როცა ყავის ჭიქაა,
ვინ დაჯდება შენ წინ?
ვინ აიტკიებს აუტკივარ თავს
და ვინ გეტყვის:
გეყოფა, მთელი ცხოვრება
წინ უკვე აღარაა,
ხოლო, რაც უნდა გულდაგულ დამალო,
მხოლოდ ჭაღარაა...

პოეტის პორტრეტი

ივანე ჯაფარიძე



„შენ, საქართველოს ჭირისუფალო, ბედნიერი ხარ, წვა შეგიძლია“...

ნათქვამია, ადამიანი თავად არის საკუთარი ბედის მჭედელიო. ამ გამონათქვამში შეიძლება იყოს სიმართლის მარცვალი, მაგრამ თუ მამაზეციერმა საკუთარი კალთა არ დაგაბერტყა, შენი ბედი თუ ბედისწერა თავად არ განსაზღვრა, ვფიქრობ, რაც არ უნდა კარგი მჭედელი იყო, შენი ფოლადი ვერ იქნება სრულად ნაწრთობი.

ჩემი არცთუ ხანმოკლე ცხოვრების გზაზე მრავალ ღირსეულ ადამიანს შევხვედრივარ, ისეთ პიროვნებებთანაც მქონია სიახლოვე თუ მეგობრული ურთიერთობა, ვისაც საქართველოს ისტორიის დიდი წიგნი თავისი ნაღვაწით გაუმდიდრებია და საკუთარი კვალიც სამუდამოდ დაუტოვებია.

ამ თვალსაზრისით, მადლობელი ვარ ბედის, რომ ნიჭიერებით გამორჩეული სხვადასხვა სპეციალობის მქონე ხალხთან ერთად, ჭეშმარიტი პოეტების უფროსი თაობის რამდენიმე წარმომადგენელთანაც მქონდა ახლო ურთიერთობა და დღესაც ვმეგობრობ მუზების საუფლოს წარმომადგენელ რაინდ ვაჟკაცებთან თუ მშვენიერებით შემკულ დიდებულ ქალბატონებთან.

სამწუხაროა, რომ დროთა ვითარებაში, ეს ღირსეული ადამიანები თანდათანობით ტოვებენ ამ წუთისოფელს და უკვდავების შარავანდედით გაბრწყინებულნი, ზეციური საქართველოს ბინადარნი ხდებიან. იმ საუფლოში მათ ჩვენი გულის ნაწილიც მიაქვთ, აქ დარჩენილებს კი, მათი ანდერძით შთაგონებულებს, ურთიერთსიყვარული გვიძლიერდება და ვცდილობთ, მეგობრებს უფრო მყარად დავუდგეთ გვერდით.

დღეს, ამ აჭრილ, ამღვრეულ წუთისოფელში, ჩვენ გვერდით არსებობენ ლექსის დიდი ოსტატები, რომლებიც ჩვეულებრივად მიმოდიან სამშობლოს სოფელ-ქალაქებში, მაგრამ მათ სიდიდეს და სიდიადეს მხოლოდ მაშინ შეიგრძნობ, თუ სასაუბროდ ჩამოუჯდები და ყოველგვარი პათეტიკის გარეშე, უბრალოდ, შინაურულად განსჯი შენი ერისა და ქვეყნის წარსულს, აწმყოსა თუ მომავალს. სწორედ ასეთ საუბრებში იკვეთება ჭეშმარიტი პოეტის სრულყოფილი პორტრეტი, მისი შემოქმედებითი წვის სიმხურვალე.

გრძნობის ამფორიაქებელი, მცირეთა შორის მყოფი ეს პოეტები, ჩვენი სულის ნაწილები და გულის გამხარებლები ბრძანდებიან. ამიტომაცაა, სადაც არ უნდა ნახო, ბედნიერად გრძნობ თავს და თუ თიხის ჯამიც ხელში გიჭირავს, ცაში ასაფრენადაც გამზადებული ხარ. ასეთია ჭეშმარიტი პოეტების ძალმოსილება, ამიტომაც არიან ისინი უკვდავნი.

გიორგობისთვეში, პოეზიის დიდი საუფლოს ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს, თანაც მეგობარს, იუბილე აქვს და მსურს მანამ შევეხმიანო, ვიდრე ახალგაზრდულად შემართული, სიჭარმაგეში შეაბიჯებს.

ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც დილიდან გვიან ღამემდე, თბილისის ქუჩებში ფიროსმანივით დაიარება სიმპათიური პოეტი კაცი და ყველა შემხვედრს სიყვარულით ესალმება, ეცნობა, ესაუბრება, ლექსადაც ეტყვის რამდენიმე სიტყვას და ისე დაემშვიდობება, შემხვედრს, განშორების შემდეგ მოსვენება ეკარგება, გრძნობს, მის სულში რაღაც ისეთი ჩასახლდა, ხელახლა რომ ანდომებს იმ ლექსის მთქმელი კაცის ხილვას... ვინ იცის, მასთან შეხვედრით გახარებული რამდენი ასეთი პიროვნება დაიარება ჩვენი სამშობლოს მთასა თუ ბარში...

ყველას გამხარებელი ეს კაცი კი იუბილარი პოეტი თემურ ჩალაბაშვილი გახლავთ. ვინც მას იცნობს და იცის მისი ცხოვრების წესი, უთუოდ გაახსენდება ლადო ასათიანი და გაიფიქრებს, თითქოს მასზეაო დაწერილი 26 წლის დიდებული პოეტის ეს სტრიქონები:

„მე იგი მიყვარს, ვისაც უყვარდა
თავისი ქვეყნის ხალხი და მიწა,
ვისაც სახელი შორს გაუვარდა,
ვინც კაცი იყო და ლექსად იქცა“...

რა დრო გასულა?! ამაზე არც დავფიქრებულვარ – თითქოს პირველად დავინახე, როგორ გათეთრებულა ეს შავგვრემანი, პოეზიის ზღვაში ჩაძირული კაცი. ამასაც შეიძლება მოეძებნოს ახსნა, რადგან ხანგრძლივი ურთიერთობიდან გამომდინარე ამ სითეთრეს, სხვისას კი არა, საკუთარსაც ველარ ამჩნევს ადამიანი.

თემურ ჩალაბაშვილის ცხოვრების გზა საქართველოს ძირძველი კუთხიდან – ქიზიყიდან იწყება. იგი სიღნაღის რაიონის სოფელ ძველანაგაში დაიბადა 1951 წლის 12 ნოემბერს. ამასთან დაკავშირებით იგი ხშირად ხუმრობს ხოლმე: „დაბადებით გენიოსები იბადებიან, ჩემნაირი ხალხი და ჩემი მსგავსი პოეტები კი ჩნდებიანო“. ჰოდა, ჩვენც მისი გაჩენის დღის აღსანიშნავად ვემზადებით,

რომლისგანაც 70 წელიწადი გვაშორებს...

თემურს შესანიშნავი მშობლები ჰყავდა, მშრომელები, კეთილშობილებით გამორჩეულები, უშურველები, მუდამ სტუმრიანები, რომლებიც ხარობდნენ შვილის პოეზიის აღიარებით და მისადმი ქართველი ხალხის სიყვარულით. შვილიც არ დარჩენილა ვალში. სიყვარული და პატივისცემა მან მშობლების მიმართ სიცოცხლეშიც გამოხატა და გარდაცვალების შემდეგაც მიუძღვნა სულის მოსახსენიებელი შესანიშნავი სტრიქონები. მოწიწება, პატივისცემა და სიყვარული მამის მიმართ, იმაზე ნათლად როგორ უნდა გამოხატო, როცა ბავშვობაში შორიდან დანახული კავკასიონი მამის ბეჭების დარად მიიჩნიო:

„მაშინ ოცნებაც იყო იოლი,
თავაწყვეტილი ბავშვის ეჭვებით,
როცა მიყვარდა კავკასიონი –
გადაზომილი მამის ბეჭებით“....

რაც შეეხება დედის ხატებას, მან უკვე აღიარებულმა და ყველასათვის საყვარელმა პოეტმა, ასე მიმართა „პოეტის დედას“:

„...რად გამიმეტე ასე, დედილო,
მოგეცა ჩემთვის ნიჭი მეგუთნის.
იცი თუ არა, დედავ, დედილო,
რომ თავი ჩემი მე არ მეკუთვნის.
რომ ლექსს დავყავარ უმისამართოდ,
ავკვრივარ ქალაქს მზერადაღლილი,
რომ ეს ცხოვრება მე ვერ გამართობს
და მომკლავს სადღაც ქუჩის ძაღლივით.
რად გამიმეტე ასე, დედილო,
ვით განიზრახე ჩემი ღალატი,
სირცხვილით ვის გსურს გააგებინო,
რომ შვილს ჩამაცვი მგოსნის ხალათი“.

უკვე ლექსებთან დაძმობილებულმა თემურ ჩალაბაშვილმა, სკოლის დამთავრების შემდეგ, ბუნებრივია, დედა უნივერსიტეტს მიაშურა სწავლის გასაგრძელებლად და ეზოში შესულს, ისეთი განცდა დაეუფლა, თითქოს, უნივერსიტეტის დამაარსებლები საპატიო ყარაულში მდგომნი შეეგებნენ და გზა დაულოცეს ახალბედას მომავალი წარმატებების იმედით.

თემურ ჩალაბაშვილისთვის ივანე ჯავახიშვილის დაარსებული უნივერსიტეტი მშობლიური სახლი გახდა, რადგან აქ მიეცა მის პოეზიას ფრთების მძლავრად გაშლის საშუალება. უნივერსიტეტის ლიტერატურული გაერთიანება იყო ახალგაზრდა პოეტთა დაფრთიანების კერა, რომელთა მუზის ნაჟური, ლეგენდარული რექტორის – ნიკო კეცხოველის მიერ დაარსებულ ალმანახ „პირველ სხივში“ იყრიდა თავს.

მშობლიური სასწავლებელი, ყველა უნივერსიტეტელისათვის, მუდმივი ფიქრის, განცდისა და ზრუნვის საგანი იყო დასაბამიდან. ყველამ კარგად იცოდა მისი დაარსებით გამოწვეული ქართველი ხალხის უსაზღვრო ბედნიერებისა და 20-30-იან წლებში მის თავზე დატრიალებული ავბედითი ისტორიის შესახებ. ისიც იცოდნენ, როგორ გააძევეს უნივერსიტეტიდან მისი დამაარსებელი ივანე ჯავახიშვილი. დაახლოებით ასეთივე ფაქტის მოწმენი გახდნენ ჩვენი თანამედროვენი 21-ე საუკუნის დასაწყისში, როცა ნეობოლშევიკებმა ღვაწლმოსილი პროფესორები უნივერსიტეტშივე დააპატიმრეს, ქალი თუ კაცი ერთად დაამწყვდიეს და კარი ჩაუკეტეს. შემდეგ კი, ვინც ამ დამამცირებელ, დამთრგუნველ ქმედებას ცოცხალი გადაურჩა, სათითაოდ გარეკეს უნივერსიტეტიდან და ნაადრევად მოუსწრაფეს სიცოცხლე.

განა შეიძლებოდა ამ გაუგონარ მოვლენას სული არ აეფორიაქებინა, გული არ მოეკლა ქართველი პოეტისათვის, და 2006 წელს ეს ლექსი უძღვნა მშობლიურ უნივერსიტეტს:

„როგორ გაწამებენ ნეტარს,
როგორ გიშანთავენ ძუძუს,
რითი განუგეშებ, ნეტავ,
ამდენ ტკივილისგან უძლურს.
ვაი, შე საბრალო დედავ,
რარიგ შეგპარვია მწუხრი,
ასეთ გატანჯულს რომ გხედავ,
შენებრ მიკანკალებს მუხლი“...

ასეთივე განცდა არ ტოვებს პოეტს, როცა სამშობლოს მტრები დედა ეკლესიას და მის საჭეთმპყრობელს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს უტევენ. როგორ შეიძლებოდა ამ დროს პოეტი გვერდით გამდგარიყო და ასეთ სამარცხვინო ფაქტს მყისიერად არ გამოხმაურებოდა:

„არ ვუჯერი ყურს და თვალებს,
ო, სიკვდილი მერჩია,

განა მხოლოდ უნეტარესს –
საქართველოს ერჩიან.
ვინ ორგულმა გაგვიმეტა,
რისი ჰქონდა ცილობა,
როგორ გვესირცხვილებოდეს
ჩვენი ერის შვილობა...
...დაგვიფარე, წმინდა ჯვარო,
ნინოს თმებით შეკრულო.
მებრალები, საქართველოვ,
ოდიდგანვე ბედკრულო"...

თემურ ჩალაბაშვილი რომ ბედნიერ ვარსკვლავზე გაჩნდა (როგორც თავად ამბობს), ეს იქიდანაც ჩანს, რომ იგი ყმაწვილკაცობიდანვე დაიახლოვეს ისეთმა გამორჩეულმა მამულიშვილებმა, როგორებიც იყვნენ და არიან: თენგიზ არჩვაძე, ჰამლეტ გონაშვილი, მიხ-ეილ ქვლივიძე, ნაზი კილასონია, კიტა ბუაჩიძე, ვაჟა აზარაშვილი, რამინ მიქაბერიძე, თემურ წიკლაური, გოდერძი ჩოხელი, სხვანი და სხვანი. ბედის ამ საჩუქარსაც არ დაუტოვებია თემური გულგრილი და თითქმის ყველა მათგანს, გულში ჩამწვდომი სტრიქონები მიუძღვნა. რად ღირს თუნდაც ჰამლეტ გონაშვილისადმი მიძღვნილი ეს სასწაული:

„შენ წამოიწყე „დაიგვიანეს"
და შუბლზე გაჩნდნენ ოშკის ბზარები,
იქნებ, ე, მაგ ყელს ერთად ხატავდნენ
ბექა და ბეშქენ ოპიზარები!
კრთოდნენ შენი ხმის მინანქარები,
როგორც ჩანჩქერი კლდიდან ვარდნილი
და არწივული შენი თვალებით
მეხატებოდა წინ ავთანდილი...
...მღეროდი რაღაც სულ სხვა თილისმით,
თითქოს სიმღერით ტაძარს ხატავდი,
თავზე გეხურა ზეცა თბილისის,
რომლის მიწაზეც ამოთავთავდი!
დაიგვიანეს, მაგრამ სალამურს
ყური მოჰკრეს და აღარ დარდობენ
და ის პატარა მწყემსი ბიჭები
კახეთის მთებში დანავარდობენ.
შენ წამოიწყე „დაიგვიანეს"
და შუბლზე გაჩნდნენ ოშკის ბზარები,
იქნებ, ე, მაგ ყელს ერთად ხატავდნენ
ბექა და ბეშქენ ოპიზარები".

განა შეიძლება არ აღგაფრთოვანოს, გულწრფელი აღტაცება არ გამოთქვა, ან სხვაგვარად დახატო დიდი ქართველი, ყველასათვის საყვარელი მსახიობი თენგიზ არჩვაძე, როგორც ეს შეძლო თემურ ჩალაბაშვილმა. ავტორი ზუსტად გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას იმ პიროვნების მიმართ, ვინც ღირსებით გამორჩეული და მამულისათვის დამაშვრალი ერისკაცია:

„საქართველოში წმინდანივით იცხოვრე რადგან,
და თავზე უფლის ნაბოძები გვირგვინი გადგას,
გვირგვინი ეკლის, ესოდენ სიმაღლის მჩენი,
გვირგვინი ბედის – დამღუპველი და გადამრჩენი.
სულს მსახურებდი, გადარდებდა არც არა
ხორცის,
შემორჩი ქალაქს ამაყი და ბავშვივით მორცხვი.
არ დაგკლებია არცა სუსხი მავანთა ჭორის,
მაგრამ იყავი უჩვეულო რჩეულთა შორის
...პირველობისთვის არ გიცდია ღალატი კაცთა,
უპირველესად ადიდებდი გულსა და განცდას.
ხან მკლავი მოგჭრეს, ზარადნიაც იყავი, ურჩი,
და ამიტომაც მოშურნეებს ვერ გადაურჩი.
ხან ჯამი გედგა ღვინით სავსე თუ უფლის
სისხლით,
ლოცავდი მამულს დღე ცისმარე შენ
მისხალ-მისხლით.
იყავ მეუფეც, სამშობლოის გტანჯავდა ბედი,
არ გაგიღუნავს არცა მკლავი და არცა ქედი.
საქართველოში წმინდანივით იცხოვრე რადგან,
უზენაესის ნაბოძები გვირგვინი გადგას".

ყველაზე მეტად, რაც პირველივე სტრიქონიდან გხიბლავს თემურ ჩალაბაშვილის შემოქმედებაში, ესაა მისი მრავალმხრივი ნიჭიერება, გრძნობათა სიწმინდე და გულწრფელობა. ძალზე ძნელია, პოეზიის ქვეყანაში პოეტსა და პოეზიაზე რაიმე ახალი თქვა, მაგრამ თამამად ვიტყვი, რომ ლექსის მწერალ კაცს საკუთარი სახე და ხელწერა როცა გააჩნია, მისი ლექსებიდან რამდენიმე სტროფი გულში მოგხვდება და სამუდამოდ შენში დაივანებს, იგი დიდი პოეტია. თემურ ჩალაბაშვილის ლექსებიდან კი მრავალი სტროფი და პოეტური ფრაზაა გულში მოსახვედრი, დასამახსოვრებელი, საყურადღებო და დაუვიწყარი.

საიუბილეო დღეებში, არ შეიძლება არ ითქვას თემურ ჩალაბაშვილის პიროვნული თვისებებისა და სამშობლოსადმი მისი დამოკიდებულების შესახებ. იგი ერთგულია თავისი თანაქალაქელებისა და ზოგადად, საკუთარი ქვეყნის მიმართ, რომელმაც იტვირთა და თავგანწირვით ეზიდება პოეზიის მძიმე ჯვარს მაღალი მწვერვალებისაკენ, საიდანაც მშვენივრად მოჩანს მის მიერ პატიოსნად განვლილი ცხოვრების დიდი გზა და ის ადამიანები, რომლებიც პირუთვნელად აფასებენ დიდებული პოეტის ნიჭიერებას.

სამშობლოსადმი სიყვარულის გამოხატვის უნიკალურ ნიმუშს წარმოადგენს თემურ ჩალაბაშვილის სიმღერადქცეული უნიკალური ლექსი „ჩემო საქართველოვ, მართლმადიდებელო!", რომელსაც ბრწყინვალედ ასრულებდა თემურ წიკლაური, ზურაბ მჟავიას მუსიკალური თანხლებით. სრულიად საქართველოს კათოლიკოს- პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა, ამ სიმღერას, მართლმადიდებლობის ჰიმნი უწოდა.

„მუდამ სიყვარულის
განმადიდებელო,
ჩემო საქართველოვ,
მართლმადიდებელო,
ოშკო და ხახულო,
ცრემლით ნაფერებო,
ძუძუს მოწყვეტილო,
ძმებო, ქართველებო,
ზეცად აზიდულო
ჯვარო და სამებავ,
გვეყო ჩვენთა შვილთა
უღმერთო წამება...
მუდამ სათნოების განმადიდებელო,

აღსდექ, საქართველოვ
მართლმადიდებელო!
ო, წმინდა გიორგის
ხატებავ ნათელო,
სანთლად დანთებულო
მომავლის ქართველო!
...ესე, სიყვარულის
განმადიდებელო –
ჩემო საქართველოვ,
მართლმადიდებელო!..“

რაც შეეხება თემურ ჩალაბაშვილის ლექსს „სანთელი“, რომელიც მან ნიკო ფიროსმანს მიუძღვნა, შესანიშნავი საგალობელი დაწერა კომპოზიტორმა ალექსანდრე ბასილაიამ, თემურ წიკლაურისა და კვინტეტისათვის, რომლის შესრულებასაც საქართველოს პატრიარქმა მისცა კურთხევა.

სამშობლოს, მამულის მიმართ დამოკიდებულება ორიგინალურად გამოხატა პოეტმა პატარა ლექსში „ძველი მოტივიდან“:

„რაც კი ლექსად მიწერია,
ყველა ჩემი ნარითმია,
მახრჩობს სულის მისტერია,
მტანჯავს გულის არითმია...
შენ ერთადერთს – მამულს ნუ მთხოვ,
დანარჩენი – დამითმია!..“

არ შეიძლება განსაკუთრებულად არ აღინიშნოს თემურ ჩალაბაშვილის მარადიული განცდისა და ტკივილების შესახებ, რასაც იგი უდროოდ წასული დიდი მამულიშვილების მიმართ იჩენს. პოეტისადმი ერთგულების, სიყვარულისა და თავგანწირვის ლეგენდად დარჩა საქართველოში სიმონ და მარიკა ჩიქოვანების ცხოვრება. საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ სიმონ ჩიქოვანმა ნაადრევად დაკარგა თვალის ჩინი და წლების განმავლობაში მეუღლე – მარიკა ჩიქოვანი ყოველნაირად ხელს უწყობდა შესანიშნავ პოეტს, რათა მას ლექსის წერის ხალისი არ დაკარგვოდა და შემოქმედებითი მუხტი არ განელებოდა. იგი იწერდა სიმონის ზეპირად ნათქვამ ლექსებს, ბეჭდავდა, ამუშავებდა და ამზადებდა გამოსაცემად. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, მარიკა ჩიქოვანმა ანდერძი დატოვა და ითხოვა, რომ იგი დაეწვათ და ფერფლი მთაწმინდის პანთეონში სიმონის საფლავზე მიმოებნიათ. ამ ერთგულების გამოძახილი იყო თემურ ჩალაბაშვილის მიძღვნა – „მარიკაჩიქოვანს“:

„ის დადიოდა სხვაგვარ ოცნებით
და სხვა ფიქრებით იყო მოცული.
თუ შენიშნავდნენ სადმე მგოსნები,
იტყოდნენ: – მოდის პოეტის ცოლი.
მან არ იცოდა ღალატი ფიქრთან
და შეძლო მზერა ჩამქრალ თვალებით,
მისთვის სხვა იყო ზეცა და მიწა,
ჰქონდა წუხილიც შეუდარები.
...და ერთხელ, როცა რაღაც ტიალად
დაადგა თავზე სულეთის ქორი,
ის მოკვდა, როგორც ქალი კი არა,
ის მოკვდა, როგორც პოეტის ცოლი“...

ასევე არ ასვენებდა პოეტს რეპრესირებული ქართველი მწერლების ბედი, რომლებიც 30-იანი წლების განუკითხაობის მსხვერპლნი გახდნენ და დღემდე უცნობია მათი საფლავები. აღსანიშნავია და ქართველმა ხალხმა უნდა იცოდეს, რომ უღვთოდ მოკლული კლასიკოსი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი თემურ ჩალაბაშვილის მონოლოგის ეს სტრიქონები შემოგეგებებათ ვერის დაღმართზე (ამჟამად მიხეილ ჯავახიშვილის ქუჩა) არსებულ მიხეილ ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმში შესულებს:

„მკვდარმა როგორღა მოვიკლა თავი,
მსხვერპლი ასეთი როგორ გავიღო.
ვერ მიპოვია ჩემი საფლავი,
რომ ჩემივ ხელით დავათარიღო“...

მირზა გელოვანისადმი მიძღვნილ ლექსში „მირზა“, ვფიქრობ, თემურ ჩალაბაშვილს პოეზიისა და ლექსის მიმართ საკუთარი სულისკვეთება და დამოკიდებულებაც აქვს გამჟღავნებული:

„თვით ლექსმა მისცა სიცოცხლე პოეტს,
მისი წართმევის ვისა აქვს ნება,
როცა შვიდფერი საუფლოს სტოვებს,
პოეტიც მაშინ ულექსოდ კვდება“.

ბევრი შეიძლება ვისაუბროთ თემურ ჩალაბაშვილის შემოქმედებაზე, მის პოეტურ თუ ცხოვრებისეულ შეხედულებებზე, მაგრამ დღეს უნდა ვთქვათ იმის შესახებ, რომ მკითხველს, უპირველეს ყოვლისა, ხიბლავს პოეტის უშუალობა, ბუნებრიობა, თავმდაბლობა, მეგობრობის ნიჭი, მოყვასისადმი სიკეთის ქმნა. „იგი არ ცდილობს თავი წარმოგვიდგინოს მსოფლიო ოკეანეში გოლიათებზე მონადირე ზეკაცად. იგი ქართული პოეზიის ანკარა მდინარეში მუხლებამდე ჩამდგარა და ანკესის ყოველ მოქნევაზე ბროლივით სუფთა მორევიდან, ფერად-ფერადი ვარსკვლავებით დაწინწკლული „კალმახები“ ამოჰყავს“.

ქართველმა მკითხველმა იცის ამ „კალმახების“ გემო და ამიტომაც ვერ თმობს მშვენიერ საკვებს – ჩალაბაშვილის ლექსებს, რომელიც გულსა და სულს უთბობს, გრძნობას უამებს, გონების ხვეულებს კი იმ ცეცხლით უნათებს, რომელიც არასდროს ქრება...

ღმერთმა წყალობა არ მოუშალოს დიდებულ პოეტს – თემურ ჩალაბაშვილს, ყველასთვის საყვარელ „ჩალაბას“, მის შესანიშნავ მეუღლეს – პოეტისგან ნაწრთობსა და ფოლადივით მტკიცეს, შვილებს და რაც მთავარია, პატარა შვილიშვილებს, რომელთა შემართება და დავაჟკაცება აძლიერებს საამაყო პაპას. ვისურვებდით, მუზა მუდამ მასთან ყოფილიყოს, ჩვენ კი არ მოგვშლოდეს მისი სიკეთითა და მეგობრობით მონიჭებული სიამოვნება.

სახელოვან იუბილეს გილოცავ, ძვირფასო მეგობარო! გამიხარდა, რომ საუკუნეს გადაცილებულმა შენმა საფიცარმა უნივერსიტეტმა გულში ჩაგიკრა, საკუთარი შვილივით მოგეფერა და ოქროს მედლით დაგაჯილდოვა მისთვის პატარა – 70 წლის ბიჭი! გაგიმარჯოს და გფარავდეს უფალი!

ძვირფასი ნაკალმარი...

ბიოჰბი ღალიაშვილი

თამაზ ნატროშვილს მარტო აწმყოსთვის არ უღვაწია

იშვიათი პატივი მქონდა, პირადად მცნობოდა ბატონი თამაზ ნატროშვილი (1937-2022), თანამედროვეობის გამოჩენილი ისტორიკოსი, მეცნიერი და მწერალი. ახალა, როცა უმისოდ აღვნიშნავთ მის 85-ე წლისთავს, ჩემთვის დიდ წუხილთან ერთად ერთგვარად შვებისმომგვრელია, რომ რასაც ახლა დავწერ, მას სიცოცხლეშივე ვუთხარი და ეს სიტყვები უკან მიდევნებული ლამპარივით არ იქნება. წიგნიერმა საქართველომ იცის თამაზ ნატროშვილის ჭეშმარიტი ფასი!

იგი მართლაც უნიკალური მოვლენა იყო, უკიდეგანო ერუდიციით, გემოვნებით და პასუხისმგებლობის გამძაფრებული გრძნობით. რაც კი მისი ხელიდან გამოსულა, პროზა იქნება, ისტორიოგრაფიული კვლევა, ესეისტიკა თუ თარგმანი, უკლებლივ ყველაფერი არის მომავლისთვის გათვლილი და ნაფიქრი – 20, 30, 50 წლის შემდეგ რომ გაეცნობა მკითხველი,მასთან იყოს პირნათელი.

პირველად „საბჭოური რენესანსის“ ზეობის ხანაში მისი წიგნის „მაშრიყით მაღრიბამდე“ გამოცემით (1974 წელს) გავვოცდი! ახლა კიდევ უფრო მიკვირს, როგორ დაუშვეს მსგავსი ხასიათის წიგნის დაბეჭდვა?! თვით სათაური ხომ მინიშნებაა წარსულის ძლიერ საქართველოზე, რომლის დავიწყებასაც ასეთი რუდუნებით ლამობდა კრემლის პოლიტიკა?

ეს წიგნი, ევროპულ და სპარსულ წყაროებზე დაყრდნობით, ქართული ისტორიოგრაფიის მანამდე უცნობ მასალებს ამზეურებს და მხატვრულ-ისტორიული ჟანრის საუკეთესო ნიმუშია, ქართული ხასიათის, ღირსების, სამშობლოსთვის თავდადების ნათელი მაგალითებით. ასეთი ანტისაბჭოთა წიგნი იმხანად არ მახსენდება. აკაკი ბაქრაძის „სვანისა“ და „ფიქრი და განსჯის” (1972 წელი),ასევე გურამ ასათიანის „სათაველებთან“ (1982 წელი) ერთად დარჩება ქართულ ხასიათსა და სულიერებაში ჩაღრმვების იშვიათ გამონკლისად. მკითხველი ხარბად ეტანებოდა აღნიშნულ წიგნებს, როგორც სულის პურს და თან უკვირდა, კომუნისტურ ცენზურას როგორ დაუსხლტა ხელიდან?!

თამაზ ნატროშვილმა პირველი მოთხრობა „ხვალ დღე იქნება ხეობაში“ 19 წლის ასაკში გამოაქვეყნა, რასაც 1963 წელს მოჰყვა მისი მოთხრობების პირველი კრებული „გამოღვიძება“, 1966 წელს კი – მორიგი პროზაული წიგნი „სიმაღლე“.

მკითხველის დიდი მოწონება დაიმსახურა თამაზ ნატროშვილის მომდევნო წლებში გამოქვეყნებულმა მხატვრულ-ისტორიული ჟანრის სხვა წიგნებმაც: „წელი ერთი და ათასი“, „დაღათუ იყოს სიკვდილი“ (1994), „მოყვასი შორეული რომიდან – პიეტრო დელა ვალე“ (1995).

თამაზ ნატოშვილის პუბლიკაციები საქართველოს ისტორიის საკვანძო საკითხებზე მუდამ განსაკუთრებულ რეზონანსს იწვევდა და მუდამ განსჯის საგნად იქცეოდა ხოლმე საზოგადოებაში. „ლიტერატურული საქართველოს“ ყველა ნომერი, სადაც კი ამ ავტორის ნაზრევი ჩნდებოდა, მკითხველისთვის დასამახსოვრებელ მოვლენას წარმოადგენდა.

თამაზ ნატროშვილის გემოვნება და აზრის სინატიფე იწრთობოდა საუკეთესო მწერლებისა და მოაზროვნეების გარემოცვაში. გამოჩენილი მწერლის,კრიტიკოსისა და ლეგენდარული რედაქტორის გიორგი ნატროშვილის ოჯახში აღზრდილს ჰქონდა პრივილეგია და მან ეს უპირატესობა ლიტერატურის, მეცნიერების სასარგებლოდ გამოიყენა. მისი მთავარი ღირსება ის იყო, რომ მარტო აწმყოსთვის არ უმუშავია, მას მუდამ მომავალი ჰქონდა მხედველობაში. სურდა, პირნათლად დარჩენილიყო მერმისის თვალში და ეს ასეც ახდება. ასი წლის შემდეგაც მღელვარებას გამოიწვევს თამაზ ნატროშვილის ნაკალმარ-ნააზრევი. თუკი პერიოდულ პრესაში უხვად გაბნეული მისი პუბლიკაციები ერთად შეიკონება და რამდენიმე ტომად გამოიცემა, ეს მართლაც ღირსი პატივგება იქნება მათი ავტორის,რომელიც ასე სათუთად ელოლიავებოდა საქართველოს წარსულს და მისთვის უკეთეს დროებას ელოდა...

ბატონი თამაზი წლეულს იანვრის მიწურულს გარდაიცვალა. მას შემდეგ ბევრი რამ მოხდა საქართველოშიც და მსოფლიოშიც. მან მხოლოდ გაიგო, რომ ვენეციის წლევანდელ ბიენალეზე საქართველოს წარმოადგენდა მისი შვილი მარიამ ნატროშვილი, სამწუხაროდ, რეალურ გახსნას და მოწონების გამოხმაურებას, რაც მარიამის პროექტს მოჰყვა, ბატონი თამაზი ვეღარ მოესწრო. ნატროშვილების ნიჭი მუდამ ქართულ საქმეს ემსახურებოდა და ასეა ახლაც.

და დღეს, 85 წლის თამაზ ნატროშვილი მაინც უბედნიერესი კაცია, რადგან საკუთარ დღეობას შვილი ასეთი საჩუქრით ულოცავს...

ლეილა ჟიტოშვილი – სახლთხუსიშვილისა

„დარჩება მხოლოდ მოგონება გარდასულისა“...

გული სალუქვაძის გახსენება

მისი გარდაცვალებიდან წელს, აგვისტოს ცხრაში ერთი წელი შესრულდება; მოხდა ისე, რომ ყოველდღიურობამ არა მარტო დრო წამართვა, რაღაც სხვა საფიქრალებშიც გადამისროლა, თუმცა ამ ამბის გამო გინების კუთხე-კუნჭულებში რაღაცნაირ დანაკლისს ვგრძნობდი...

ამ დღეებში მის მიერ შედგენილ და 2011 წელს გამოცემულ კრებულს „სტუდიელები“ გადავეყარე, რომელიც მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის 70-ე წლისთავს ეძღვნება... გამიხარდა, რადგან ლიტერატურული სტუდიის შემოქმედ მოსწავლეთა (58 ავტორის) ნაწერებია გამოქვეყნებული... და კიდევ იმიტომაც, რომ მას ქალბატონ გულის წარწერა ამშვენებს: „ჩვენს საყვარელ ქალბატონს, ლეილას, მისი მშობლიური სტუდიისგან სიყვარულით“...

მასში კოლეგების მოსწავლეებთან ერთად, ცხადია, ადგილი გული მასწავლებლის ნამოწაფრების ლექსებსაც უკავია; აი, ისინიც, საინტერესო ხედვის, ფანტაზიისა და აზროვნების სტილით შექმნილი ნაწერების ავტორები: მარიამ ბექაური, ნატალი ანთიძე, მარიამ მუზაშვილი, ლექსო დორეული, ნინო ჩხიკვაძე, თამარ კაპანაძე, თინათინ რეხვიაშვილი, ოთარ კახიძე, ნატალი ჯამბაზიშვილი, მერი მელიქიშვილი, ნიკა მელქაძე, ნინო მაჭარაშვილი, თეონა ბაღაშვილი, ანა კორძაია, ნუცა შველიძე, დათო ველიაშვილი, შალომე ნაჭყებია, ლიზი კომახიძე, მარიამ მაღლაკელიძე და სხვები.

პედაგოგობის გარდა, სხვადასხვა დროს გახლდათ სასახლის საგამომცემლო სექტორის გამგე, მეთოდისტი, სასახლის მეთოდური ლიტერატურის გამომცემლობის უფროსი რედაქტორი, ლიტერატურული სტუდიის პედაგოგ-ორგანიზატორი, რამდენიმე პოეტური კრებულის ავტორი, მწერალთა კავშირის წევრი, დიპლომებითა და სიგელებით დაჯილდოებული...

იყო საქართველოზე უზომოდ შეყვარებული... მოუღლელი დედა და ბებია, მზრუნველი მეუღლე; მშვენიერ შვილიშვილ ლიზის და მის თანატოლებს მიუძღვნა ლექსების კრებული „ლიზის საქართველო“, რომელიც 2008 წელს გამოვიდა... გახლდათ უცნაურობებით სავსე, რაც შემოქმედ ადამიანთა დიდ უმრავლესობას ახასიათებს. ლამაზი, ღრმა პოეტური სტრიქონების ავტორი; ურთიერთობებში მკაცრიც და დამთმობიც, გვერდში მდგომი – უღალატო კოლეგა, საქმის პროფესიონალი...

2002 წელს გამოცემული ლექსების კრებულის „ჩემი ოცნების ნავსაყუდელის“ წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „მე ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემი ლექსის თუნდაც ერთი სტრიქონი სათუთად შეარხევს სულის მდუმარე სიმებს და შვებას მოგგვრის შენ, ჩემო მკითხველო“.

მიხარია, რომ ქალბატონ გული სალუქვაძის ორი კრებული, მისი ავტოგრაფით, ჩემი წიგნების თაროებს შემორჩა, როგორც დაუვიწყარი მოგონება...

* * *

ხან, როცა გულღრძო და უდიერი
მძლევს და ფიქრებში ღამე გატყდება,
ჩემი ოცნების ნავსაყუდელი
ბათუმი ისე მომენატრება...
ზღვა ბავშვურ პეშვით ასგზის არწყული
და გოჯით ასგზის ნაზომი მიწა,
ბათუმი – ზღვათა მეფის ასული,
თმებში რომ ლამაზ ყვავილებს იწნავს...
...მომენატრება და მერე როგორ,
სული სურვილთა სიამეს ვერ ძლევს...
ის ფეხშიშველა პატარა გოგო,
ზღვასთან რომ ნანატრ ნატვრისთვალს ეძებს...
ნატიფ ნატერფალს ტოვებს სილაში
და გაოცებულ თვალებით მიცქერს...
ვგრძნობ ზღვის ბაგეთა მოტკბო სიმლაშეს
და უსასრულოდ გადაშლილ სივრცეს...

მამას

წელს გაზაფხული ტანძლიერი მოვიდა, მამა,
შენ დარგულ ვაზის რტოებს ცრემლები ნამავს,
შენს კარ-მიდამოს ლურჯი თვალი მოაპყრო ცამაც,
ეს გაზაფხული წელს უშენოდ მოვიდა, მამა!
ეზოში ხეხილს ბაგაბუგით ასკდება კვირტი,
არ დარღვეულა შინაგანი, სისხლსავსე რიტმი...
ნუშსა და ატამს ვარდისფერი ღიმილი შვენით,
ეზობაღჩასაც დაფენია სხივთა დალალი...
ეს ყველაფერი თბილია და ისე ალალი,
როგორც უებრო ღიმილი შენი, მამა!

* * *

ვარ მოწყენილი და სევდიანი,
როგორც სამრეკლო
მაღალ კლდეზე,
უფსკრულის პირად
და გულისცემა – გაბმული ზარი
ცის თავანს ერთვის...
ვაითუ ძალა მართლა არ მეყოს...
ვაითუ მართლა არაფრად ვღირვარ...
ვაითუ მართლა გამიწყრა ღმერთი...

ბათუმო ჩემო

კარგა ხანია მე შენთან არ ვარ,
მაგრამ გულს შერჩა გრძნობა ზოდებით.
ბათუმო ჩემო, ისევ გიყვარვარ?
ისევ მომელი და მელოდები?
მომელის შენი ალალი გული,
მზერა ნათელი და პირუთვნელი,
ქუჩებში უხვად დაგუბებული
თბილი ღიმილი და ზღვის სურნელი.
მე მირჩევნია ყველაფერს თითქმის
შენი სითბო და ფინჯანი ყავა,
კაცმა რომ მკითხოს, არ ვიცი რითი,
მაგრამ რაღაცით საოცრად გგავარ.
შემინდე, თუკი უბირად გჩემოდ,
გულს უშენობაც თუ დაებედა...
ჩემი სახატე მანდაა, ჩემო...
...და ჩემი სულის ადგილის დედა...

* * *

ვერა, მონობას ვერ შეგპირდები,
უღელს ვერ იტევს ამაყი სული,
ვერც ავტირდები,
ჭმუნვით და ურვით,
ვერც მტვრად გექმნები
წინაშე ფერხთა,
მე მხოლოდ სურვილს,
ლამაზ სურვილს,
იებივით მოვიტან შენთან,
მე ავმაღლდები შენთან და შენით,
შენ აივსები ძალით და რწმენით,
მაგრამ...
მონობას?
ვერ შეგპირდები...

* * *

ხან, როცა სევდა იალქანს აშლის,
დრო მიდის ნელა, ზლაზნით, ტაატით...
...მოსვლას არავინ არ აგვიანებს...
...ზღვის კენჭივით გდია საათი...
და ფიქრობ მაშინ:
– სად ეჩქარებათ ადამიანებს...

მშობლიური გაზაფხული

ზეზეურად წამომდგარან
მთები ფეხზე,
მანდილები ჩაუგდიათ
ხევ-ხევ ტყემლებს,
მაგრამ ქარი ჯადოქარი
მაინც ხელობს,
მუჭა-მუჭა ფანტავს გზებზე
გაზაფხულის თეთრ ფანტელებს:
– ამდენი კაი ყმა,
ამდენი კაი ყმა საქართველოს!
ცის სარკმელთან მზე მოსულა
ღმერთკაცივით,
ლურჯი ზეცა თნევისაგან
თვალებს ხუჭავს.
ოქრო-მძივით მოსირმულა მთა და მდელო,
მზე იცინის,
მზე სხივს აფრქვევს მუჭა-მუჭა:
– ამდენი სიცოცხლე,
ამდენი სიცოცხლე საქართველოს!

* * *

მე ახლა აფრამოძარცული
მოვდივარ შენთან,
როგორც ნიავი ქარიშხლის შემდეგ
ნავსაყუდელში...
რომ შენს უბეში წამით მაინც მოვხუჭო თვალი,
შემხედო ხარბად,
დამინახო უბრალოდ ქალი...
ქარიშხალივით თუ დამაგე ფეხქვეშ ხუნდები...
მე გავბრუნდები...
და მაშინ ალბათ...
უეჭველად დავიღუპები!

APPASSIONATO

გაწვიმდა...
ხმელი ფოთლები წაიღო ღვარმა...
ვიღაცა მთვრალმა
სოველ ასანთს ჩამოჰკრა მრუდედ...
შეუკურთხა და გადაისროლა...
გაწვიმდა...
ხმელი ფოთლები წაიღო ღვარმა...
აშარმა ქარმა
ჩამოიქროლა
და ოქროსფერი ფითლების ფარჩა მიმოაბნია...
ასფალტზე გდია
აუნთებელი ასანთის ღერი,
როგორც სევდა და სასოწარკვეთა...
ღია სარკმელთან ვიღაც მღერის:
„დამიბრუნდი“...
გაწვიმდა...
ხმელი ფოთლები წაიღო ღვარმა...
ვიღაცა მთვრალმა
სოველ ასანთს ჩამოჰკრა მრუდედ...

ნოველები

სისი ბუხიელი

განწყობილება

მე იმ პურის ერთი ნამცეცი ვარ, შენი ხორცი რომ ჰქვია და იმ ღვინის ერთი წვეთი, შენი სისხლი რომ ჰქვია, უფალო!..

მომეცი ძალა და გამაძლიერე, რწმენა გამიმტკიცე და ამარიდე ყველა ბოროტება, დამიცავი უკეთური სიტყვისგან და შურით ავსილი თვალისგან!..

გარშემო, ხავსმოდებული ხსოვნის ტევრში იმდუღრება წუთისოფელი:

– არ დაივიწყოთო იესო!...

– ტაძრებში საკმევლის ციმციმა ნისლი სულის კორდებს მოსდებია ვედრებად:

– მიუტევეთო ერთმანეთს!..

ადამიანურ სევდაში ყვავილობს გულჩათხრობილი იმედი:

– აფხაზეთი და სამაჩაბლო მხოლოდ ჭრილობად არ დაგვიტოვო, დაგვიბრუნეო, ღმერთო!..

სიცრუე და სიძულვილი კორტნის დაუნდობლად ადამიანებს:

– რა გემართებათ, ერთად შევავედროთ მამული იესოს!..

– ცაო, მაღალო და უფლის საცხოვრისო!...

– გადმოგვაყარე ლოცვის მანანები ცოდვიან მიწაზე მოღოღიალეთ!..

– როგორც გალობისას ტაძრის სარკმელში ჩამომჯდარ მტრედებს – ისე დაგვიგურგურე, ჩაგვიხუტე, შვება მოგვეცი!..

– ჩემს სვეტიცხოველს ჩახუტებული გევედრები: – ნუღარ დაიმდუღრებიან ხატები მირონმდინარი ცრემლებით!..

– ლოცვის ძალა შეგვაშველე და არ გაგვიწყალო მირონის მადლი, ძალა მოგვეცი ჩვენი წილი ჯვარის ზიდვისა!..

– მე შენ მიყვარხარ, მწამხარ, გეთაყვანები და მეიმედები, ყველგან გხედავ და ვგრძნობ შენს უთბილეს მზერას, მზრუნველ ხელებს, გულისცემასაც ხშირად ვუსმენ და ბედნიერებისგან გაგიჟებულს კივილი მინდა:

– ისევ ჩვენთან ხარ, შენით ვსუნთქავთ, მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა!..

– გემუდარები, ნუ მიმიტოვებ ჩემს სამშობლოს, ხელი ჩაგვჭიდე და ყველანი მხოლოდ შენ გამოგყვებით!..

– ჭეშმარიტების და შენი სიყვარულით მოკირწყლულ გზაზე...

– ოღონდაც არ მიგვატოვო, ჩვენთან იყავი!..

– გმადლობ, უფალო, ყოველი წამისთვის, წუთისთვის, საათისთვის, დღისთვის – რომელიც მაჩუქე, გმადლობ სიცოცხლისთვის, უფალო!..

2016 წელი. 19 მაისი.

ჭეშმარიტება

ისევ ღამდება და სიშავეში შეყუჟული მთელი ქალაქი ცახცახით ელის, როდის წაილეკება მისი საკუთარი, კიდევ ერთი ღამე თავაწყვეტილი ორგიებით...

ღამდება და ისევ ჟინიანად იწყებენ როკვას ღვინონასვამი ქალწულების მკვირცხლი ფეხები.

ფეხები, რომლებსაც არასდროს ღალატობთ, ალღო-წყვდიადის ლაბირინთებში იპოვონ გზა...

გზა, რომელზეც ყალბი ღიმილით დადიან და დაოკებული მოლოდინით უცდიან ჭუჭყიანი და დუჟმორეული, ავხორცი ფათურის დამპალი საფასურის ჩაჩხრიალებას საფულეში...

საფულეში, სადაც იაფფასიანი კოსმეტიკის ნარჩენებთან ერთად, ნიკოტინის საშინელი სიმყრალე ბუდობს...

ღამდება.

ისევ და ისევ მოჩვენებითი დაბნეულობითა და გუგების გაოცებული იდუმალებით იძირებიან სხეულები საკუთარი ვნების მორევში...

...და ყველაფერი ისევ უფორმო ბაკქანალიად გადაიქცევა, მოზეიმე ბახუსის ელამი მზერა კი სინანულით ათვალიერებს დასრესილ ზეწრებს ჩაბარებულ, ოდესღაც უმანკო ანგელოზებს...

და მერე ისევ მამლის ყივილით ხვდებიან ცისკარს კოშმარებთან ღამენათევნი, და მათ ყელზე სინანულის კრიალოსანს კიდევ ერთი გულჩაწყვეტილი ტკივილი ემატება, რომელსაც ისინი სააღმსარებლოსთან მიჰყავს და შველას ითხოვენ უფსკრულებისთვის განწირულნი...

შველას ითხოვენ და სძაგთ საკუთარი, მშიერი კუჭების უმწეობა, რომელიც მათ ჭუჭყიანი ლაბირინთებისკენ დაუნდობლად მიაქანებთ...

შველას ითხოვენ და ჯერ კიდევ მუდარასავით, იმედით ინახავენ გულში ნატვრას...

ნატვრას – საკუთარი, სუფთა და ლამაზი, ბედნიერების თეთრზეწარგადაკრული ღამეებისა...

მარო ბებო

ასე იყო ყოველთვის, როცა სოფელში მივდიოდი, ერთი სული მქონდა, გზა მალე გალეულიყო და ჩაგხუტებოდი... შენ სახლში რა გაგაჩერებდა, სულ ვენახში იყავი, ვაზს შვილივით ეფერებოდი, ეგურ-გურებოდი, ადამიანურ სიხარულსა და დარდზე უყვებოდი!..

ერთხელაც ასე ვენახში დაგადექი თავზე. ჩუმად მოგეპარე. ვაზის მწკრივში იდექი, შავი თავსაფარი თვალებამდე ჩამოგეწია, ხვატს რომ დამალვოდი. ალმური ასდიოდა გვალვისგან დაშლილ ბელტებად პირდაღებულ მიწას...

რაღაცას ზუზუნებდი...

გავიტრუნე და გაფაციცებულმა სიყვარულით მოგიგდე ყური.

— დედა, მოგიკვდეს ჩემო ნანი-ნანატრო, ჩემო ცქრიალა და ლამაზო შვილო, აფსუსი არ არის, შენ შავი მიწა გჭამდეს და მე ძალით მივათ-რევდე ამ გამწარებულ წუთისოფელსაააა?.. ვაიმე, ჩემო ელიკო! დედა განაცვალოს, აღარა ვარ შენი ობლების საცოდაობით, რას მერჩოდი, შვილო, ჩემო გამწარებულო გოგო, ვის უტოვებდი შვილებს, შენ მოგიკვდეს დედაშენი, შვილოოოო!..

ბოღმისგან ყურთასმენადახშობილს აღარ მეს-მოდა ბებიაჩემისა და მტკიოდა ჩემი ობლობით გატანილი ბავშვობა, დედაჩემის მონატრების სიმ-წარე კი სიკვდილს მანატრებდა...

...მერე დიდხანს ვეღარ გავჩერდი და გულაჩუყე-ბული შევვარდი მწკრივში... ფეხი მიბრუნდებოდა ბელტებზე, ფეხსაცმელში მიწა მეყრებოდა, მე კი მაინც გავრბოდი.... არასდროს დამავიწყდება, როგორ მოიხედა ბებიაჩემმა, ხელი მოიჩრდილა თვალებზე, ფაციფუცით აიკეცა თავშლის ყურები და ხელები შვილიშვილის გულში ჩასახუტებლად გაშალა:

— ეჰაააა!! ჩამომიხვედი, ჩემო ობოლოოო?.. მო-მიხვედი, ბებოს ქალოოო?..

მკოცნა და ვკოცნე, მიხუტა და ვეხუტე,მერე გავედით და დავსხედით დიდი ლეღვების ჩრდილ-ებქვეშ.... იქ გრილი ლიტრა, კიტრი-პამიდორი, ლავაში და ყველი გააჩინა ბებომ, ნამგზავრი ხარ და უნდა დაგაპუროო!..

მერე იმნაირი ღიმილით — მარტო მან რომ იცოდა — ვინ იცის, უკვე მერამდენედ მომიყვა ჩემი თოთოობის ამბავი, როგორ წამოვუყვანივარ, როგორ გაუბამს ჰამაკი ლეღვებს შუა, ჩაუწვენი-ვარ და თვითონ კი ვენახში შესულა სამუშაოდ... მერე როგორ დამსევიან ლეღვებიდან გადმოსული ჭიანჭველები და შეწუხებულს ღნავილი ამიტეხია... დაფეთებული ბებიაჩემი არ დაბნეულა და... არც ვაციე, არც ვაცხელე და იქვე, შაბიამნის გასახს-ნელ წყლიან აუზში ჩაგაყუდე ეს გადაბჟირებული ბავშვიო....

...გაიხსენა და გულიანად მაცინა. მეც მონა-ტრებული ვეხუტებოდი, იმ დამჭკნარ-დაღარულ ხელებს ვუკოცნიდი, მთელ ქვეყანაზე უგემრიელესი ერბო-კვერცხის შეწვა რომ შეეძლოთ...

— დიდი ხანია გადაბარგდი იქეთურობაში, ბებო, მხოლოდ შენი სახელობის შენსავით პატარა და კოხტა საფლავის ბორცვი დამიტოვე, რომელსაც დღემდე ვუნთებ სანთლებს, დავტირი, ცრემლებს ვატან შენამდე ჩამოსაღწევად, ტკივილიან და უს-აშველო სატკივარს და გულს შიშით ვეფერები:

— ქვეშ რომ დამიტანოს და გამსრისოს დარდმა, ვიღას დავუტოვო შვილები, ვინ მოეფერება მათ და ვინ მინუგეშებს, სიზმრად მაინც მოდი და მას-წავლე, შენსავით როგორ გავუძლო ამ გაძაღლებულ ცხოვრებას, ჩემო ტკბილო და საყვარელო, სულგა-ნათლებულო, ბებო მარიამო!

ნახატიდან წამოსული ემოცია

— მე ახლა ცეცხლისფერი სინათლით სავსე ვარ და ხავერდის ცრემლების ცისფერი ტკივილი მილოკავს ლოყის სიმრგვალეს...

— უკაცურობით ქანცგაწყვეტილ და გულბოღმ-იან დედამიწაზე, ერთი პატარა და, ვინ იცის — იქნებ დედამიწასავით გაცვეთილი ნავი, იმედის უნაპირო, ფითქინა ნისლში გახვეულ ტბაში მიმაც-ურებს, სადაც ჩემთან ერთად, ციდან მოწყვეტილი ჩამავალი მზეების, მეწამულისფერ ნოსტალგიებად აწყვია სისხლისწვეთისფერი ბროწეულები...

— თითო ბროწეული — თითო მოგონებად!..

აწყვია და ეს მოგონებები უნაზესი თანდათანო-ბით შემოდიან ჩემი სხეულის ფარატინა გარინდე-ბაში.... შემოდიან და ლალისფერი სინათლით მივსებენ გაოცებული ტკივილებით ჩაკოშტებულ სულის ძარღვებს...

— ჰო, ძველი და ბებერი ნავისთვის ბედნიერების სიმსუბუქესავითაააა უკვე ცეცხლისფერი სითბოთი სავსე ჩემი სულის ფარატინობა, როგორც იმედის და სიცოცხლის მარადიულობის მტკიცებულება, და, რა თქმა უნდა, ამ უნაპირო, იმედის ტბაში მო-ცურავეს, საოცრად მამშვიდებს ფითქინა ნისლების, სიყვარულის ღვთიურობის ციურ დასთა გალობის ექოდ შემოსული ბროწეულების — მეწამულისფერი მზეების სუნთქვა...

„ერეკლეს ეპოსი“ თელავში

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა სამეცნიერო ფორუმი „ქართული ენის ამაგდართა საფიხვნო“ – შეხვედრა მეცნიერთან.

საფიხვნოს სტუმრობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფილოლოგიისა და მედიატექნოლოგიების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თემურ ჯაგოდნიშვილი.

შეხვედრის მონაწილეებს მესალმნენ: თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ირმა შიოშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი დავით გურგენიძე; ასევე – თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში ნუნუ გელდიაშვილი.

შეხვედრაზე წარადგინეს თემურ ჯაგოდნიშვილის საავტორო წიგნი – „ერეკლეს ეპოსი“, რომლის შესახებაც საინტერესო მოხსენებებით გამოვიდნენ მასპინძელი და ტექნიკური უნივერსიტეტების პროფესორები: ნინო გიორგაძე, თენგიზ სიმაშვილი, ნანა რჩეულიშვილი, ეკატერინე შაკიაშვილი, ივანე ჯაგოდნიშვილი, ლია მეტრეველი, ივანე ოსაძე, თამარ შაიშმელაშვილი...

თემურ ჯაგოდნიშვილი:

„ძალიან დიდი ხნის ფიქრის შედეგია წიგნი, რომელსაც ასე დავარქვი – „ერეკლეს ეპოსი“... ერეკლეს ეპოსს კარგი წამკითხველი სჭირდებოდა იმ გაგებით, რომ უნდა სიყვარულითა და პატივისცემით გაეხედა ეპოსის გმირისაკენ და არა ისე, როგორც ზოგიერთი გაკადნიერებული უდიერად მოიხსენიებს ერეკლე მეორეს და, საერთოდ – სახალხო გმირებს, ჩვენს სალოცავ ადამიანებს, იმ ღირებულებებს, რასაც ემყარება ჩვენი მყოფობა, ჩვენი ქვეყნის არსებობა...

ხალხმა გამოიტანა პირუთვნელი მსჯავრი. ჩვენ შეიძლება შორიდან ცოტა სხვაგვარად აღვიქვათ გეორგიევსკის ტრაქტატი, ერეკლეს თანამედროვენი უფრო მწვავედ განიცდიდნენ და, ამის მიუხედავად, ერეკლე მეორე დარჩა ჩვენს ერეკლედ, პატარა კახად, რკინის კარად“!..

ნინო ვახანია

„ეჭვის პერანგი“ – ელგუჯა თავბერიძის წიგნის განხილვა უნივერსიტეტში

რეზო ჭეიშვილიდან მე-19 საუკუნისკენ და იქიდან დღევანდელობისკენ – ასეთია ვექტორი ელგუჯა თავბერიძის ინსპირაციისა რომან „ეჭვის პერანგის“ შესაქმნელად. დოკუმენტური რომანი დღეს, 28 ივნისს, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების მორიგ თავყრილობაზე განვიხილეთ თსუ მარო მაყაშვილის სახელობის დარბაზში.

როგორც გავიგეთ, მწერალს ჯერ რეზო ჭეიშვილის „კუდიან ვარსკვლავზე“ განუზრახავს დაწერა. უფიქრია, რომ მოუხდებოდა, თუ ფონად მე-20 საუკუნეში კუდიანებზე სხვათა მიერ შექმნილ თხზულებებს მიმოიხილავდა, მერე ცოტა უფრო შორს, მე-19-ში გადაუნაცვლებია და არც ამ ეპოქის კუდიანების შემოყვანა აწყენსო, გადაუწყვეტია. და ორი საუკუნის წინანდელმა ამბებმა ისე გაიტაცა, რომ დაწერა პოსტმოდერნისტული რომანი „ეჭვის პერანგი“, მეცხრამეტე საუკუნის ქართული ფსევდოგალაქტიკური ქრონიკა მეორედ მოსვლასა, კუდიან ვარსკვლავსა და კუდიანებზე. რეზო ჭეიშვილი და მე-20 საუკუნის ქრონიკა კი ამ თემით შთაგონებულ მომდევნო წიგნში (ან წიგნებში) გადაინაცვლებს.

მე-19 საუკუნის დიდ ქართველ ევროპელს ნიკო ნიკოლაძეს დიდად აწუხებდა თურმე ქართველთა გულუბრყვილობა, კუდიანების, მათი ძალისა და გავლენის რწმენა. ბევრს წერდა ხალხის გაუნათლებლობით დაღდასმულ შემთხვევებზე. ეშინოდა, რომ ასეთი „ჩამორჩენილები“ ევროპაში ვერ შევიდოდით. დღესაც ბევრი არაფერი შეცვლილაო, – თავისი წილი შეშფოთება გამოხატა ბატონმა ელგუჯამაც. მაგრამ შეხვედრის წამყვანი და წიგნის ბოლოსიტყვაობის ავტორი, როსტომ ჩხეიძე ელგუჯა თავბერიძესაც შეეკამათა და ნიკო ნიკოლაძესაც: კუდიანებთან ერთად შევალთ ევროპაში, ჩვენი ნაწილი

არიან ისინიც და მათი ბრმადმორწმუნენიც და აბა, უიმათოდ როგორ იქნებაო.

ელგუჯა თავბერიძემ კი ზეპირი მოთხრობა გვიამბო იმის შესახებ, თუ როგორ მოინახულა სოფელი მუხურა (იმერეთში), როგორ ეძება „დევის ტბა“, რომელშიც, მე-19 საუკუნის პუბლიცისტის ცნობით, სცდიდნენ და სჯიდნენ კუდიანებს; როგორ ესაუბრა სოფლის მკვიდრთ, რომელთაც უკვე დავიწყებული ჰქონდათ ტბის ძველი და პოეტური სახელწოდება და მხოლოდ „ღრმა ტბა“ აჩვენეს მწერალს; როგორ მოძებნა ქუთაისში მუხურელი სტუდენტები, რომელთაც აგრეთვე არაფერი გაეგონათ „დევის ტბის“ შესახებ, ის კი იცოდნენ, რომ სოფლის მიდამოებში სამი ტბაა და როგორ დაასკვნა მკვლევარმა „ღრმა ტბისა“ და „დევის ტბის“ იგივეობა. სანანურად ესღა ჰქონდა ბატონ ელგუჯას, რომ ნიკო ნიკოლაძის ამ წერილს მაშინღა მიაქცია ყურადღება, როცა წიგნი უკვე დაბეჭდილი იყო. თუმცა როგორც დედა არ წყვეტს შვილზე ზრუნვას, ვთქვათ, სრულწლოვანების შემდეგ, ასევე ავტორიც ვერ ელევა საკუთარ თხზულებას და დაბეჭდვის მერეც შეიძლება შეავსოს და ზოგჯერ — საგრძნობლადაც.

ეს ამბები შეხვედრის ბოლოს იყო. მანამდე კი: ორი შესანიშნავი მოხსენება მოვისმინეთ — თამარელა წოწორიასი და გია არგანაშვილისა. განაწილებული ჰქონდათ წიგნის თავები და, ალბათ, ამიტომაც ერთმანეთისა არაფერი გაუმეორებიათ. თანაც, წიგნი იძლევა მრავალმხრივი ინტერპრეტაციის საშუალებას და, ბუნებრივია, პროფესიონალმა ლიტერატორებმა სხვადასხვა ჭრილში, სხვადასხვა ასპექტით განიხილეს რომანი. თავიანთი საგულისხმო თვალთახედვა გაგვაცნეს ნანა კუციამ და ნინო ქუთათელაძემ.

ქუთაისიდან საგანგებოდ ჩამოვიდა დელეგაცია: გიზო თავაძე, ლუკა დვალიშვილი, გია ხოფერია, ციცინო მუმლაძე, ლარისა აბჟანდაძე, გიორგი ცერცვაძე, თემურ ნიკოლაძე. ფაქტობრივად, ყველას სახელით ისაუბრა გია ხოფერიამ.

ემზარ კვიტაიშვილის, ნიკა სანებლიძის, ლალი მიქაძის სიტყვები — ყველა განსხვავებულად მომხიბლავი და საყურადღებო გახლდათ.

დღევანდელი გამოსვლები სრულად გამოქვეყნდება პრესაში. თითოეული წერილი იმსახურებს იმას, რომ რაც შეიძლება მეტი ადამიანი გაეცნოს.

აქ კი, თუნდ მიკერძოებად ჩამომართვათ, ნანა კუციას სიტყვის ფინალურ ფრაგმენტს დავიმოწმებ, რომელიც კარგად გამოხატავს წიგნისაც და დღევანდელი თავყრილობის სულისკვეთებასაც: კვიმატი ვარსკვლავი გადაიქროლებს, ასომთავრული კი ჰგიებს უკუნისამდეო, — გვაიმედებს, გვანუგეშებს, გვამხნევებს ელგუჯა თავბერიძის ჭკვიანი წიგნი „ეჭვისპერანგშემოსილთ“, „ჯაჭვისპერანგგანძარცულთ“, დაბზარულ საქართველოში.”

ავხაზეთი - ჩვენი ცკივილი

ვაჟა ლანელია

საათი

იმ ზაფხულს გაგრაში ვისვენებდი. მწვანეში ჩაფლულ სანატორიუმ „სკალადან“ ხელისგულივით მოჩანდა ლურჯად მოლივლივე ზღვა. ქალაქში ტევა არ იყო. აგვისტოს ხვატსა და ღმერთის საუფლოს ანდამატივით მიეზიდა დამსვენებლები.

ნასაუზმევს ქვის ვიწრო კიბით თავდაღმართზე დავეშვი და მალევე პლაჟზე ამოვყავი თავი.

— დაიგვიანეთ! — გაბადრულნი დამხვდნენ თბილისელი სტუდენტი გოგონები, რომლებსაც ზაფხულის სესიების შემდეგ ზღვაზე დასვენება გადაეწყვიტათ...

ძალიან ცხელოდა. წყლიდან ამოსულმა ქოლგას შევაფარე თავი. ჩემი ნაცნობებიც ჩრდილში ისხდნენ და ბანქოთი ერთობოდნენ. იქვე ახლოს ქვიშაზე წამოწოლილ ბიჭებს შევავლე თვალი — მალულად გოგონებისკენ აპარებდნენ მზერას.

— მეტი აღარ მინდა თამაში, სულ ვაგებ, — ღიმილი შემოგვაფრქვია ნათიამ.

— მაშინ, გავცუროთ. — შესთავაზა ნინიმ და ისიც წამოდგა.

ორივენი ტალღებს შეერივნენ.

ის იყო, შეზლონგზე წამოვწექი და თვალების მილულვას ვაპირებდი, ხალხი რომ შეჩოჩქოლდა.

— უშველეთ, ქალი იხრჩობა! — შეჰკივლა ვიღაცამ.

მაშინვე წამოვხტი. ბიჭებიც წამოფრინდნენ. ჰორიზონტს გახედეს და წყალში გადაეშვნენ. რამდენიმე წუთში ნაპირზე ნათია გამოიყვანეს. ნინი შიშისგან ცახცახებდა. ხალხი მათ შემოეხვია.

— ჰაერი მომეცით, თავზე ნუ დამადგებით, — იყვირა შუახნის ქალმა, რომელიც გულწასულს ხელოვნურ სუნთქვას უტარებდა.

გოგონა გონს მალე მოეგო. თვალები გაახილა.

— ფეხი გამენასკვა და მერე არაფერი მახსოვს, — თავის მართლებასავით გამოუვიდა.

— ნუ გეშინია, შვილო, ვის არ მოსვლია, — დაამშვიდა ქალმა, რომელიც ექიმი ყოფილა. — ოღონდ ერთი-ორი დღე ზღვაში შესვლას მოერიდე.

— სულ არ ვიბანავებ, — წაილუღლუღა წამომჯდარმა და გაფითრებული ნინის მიეყრდნო, რო-

მელიც ჯერ კიდევ ვერ დამშვიდებულიყო.

— ყოჩაღ, ბიჭებო! — მივუბრუნდი ყმაწვილებს, რომლებიც დამსვენებელთა შექებას უხმოდ ისმენდნენ. — რა გქვიათ?

— თარაში, — ჩემს ხელს ღონიერი მარჯვენა შეაგება უფრო ახლოს მდგომმა.

— მე ასტამური მქვია, აქაურები ვართ.

— სიცოცხლე იხსენით!

— სხვებიც ასე მოიქცეოდნენ, — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა თარაშმა, ქვიშაზე დაგდებულ შარვალს დასწვდა, ჯიბიდან საათი ამოიღო, დახედა და მარჯვენა მაჯაზე დაიბნია.

— დრო ჩაინიშნე? — გაღიმება სცადა ნინიმ, რომელიც, ის იყო, მოგვიახლოვდა.

— სიკვდილს გადამარჩინეთ... — ჩხორია თვალები შეანათა ნათიამ მშველელთ. — დღეს მეორედ დავიბადე... თქვენ რომ არა, ჩემი მეთვრამეტე ზაფხული საგლოვად გაუხდებოდათ ჩემს მშობლებს....

— იუბილარი ხარ? — შევაწყვეტინე.

— დიახ, დღეს არის დაბადებული, — სიტყვა შეაწია მეგობარმა..

— აბა, გვიქეიფია, ორმაგი მიზეზი გვაქვს, — ახალგაზრდებს გადავხედე, — საღამოს ჭიქა ყავასა და შამპანურზე გეპატიჟებით...

— არა, რას ამბობთ, — დაიმორცხვა ნათიამ.

თარაშმა ისევ საათს დახედა.

— ბოდიში, ჩვენ უნდა წავიდეთ.

— ლამაზი საათი გიკეთია. — საუბრის გარძელება სცადა ნინიმ.

— ჰო, ნაჩუქარია, — თქვა და ნაბიჯი გადადგა.

— ხომ მოხვალთ? — ჩავეძიე მიმავალთ.

— აუცილებლად, — მეგობრის ნაცვლადაც ასტამურმა მიპასუხა და ორივენი სანაპიროს გაუყვნენ...

ერკემალივით ოქროსბეწვება მზე ზღვაში იძირებოდა, გოგონებს კაფესთან რომ შევხვდი. ბიჭები არ ჩანდნენ.

— ვითომ მოვლენ? — დაეჭვდა ნინი.

— აუცილებლად... — ამის თქმა და ახალგაზრდებიც გამოჩნდნენ. თარაშს ვარდების დიდი თაიგული ეჭირა.

— დაბადების დღეს გილოცავთ!

იუბილარს სახეზე ღიმილმა გადაურბინა. სიურპრიზი ესიამოვნა.

კაფეში შევედით. ქერათმიანმა ოფიციანტმა ყავა, ნამცხვარი და შამპანური მოგვართვა. ბოკალები შევავსე.

— ნათიას გაუმარჯოს!..

— ბუჩქი, ბუჩქი, — სადღეგრძელო არ დამამთავრებინეს.

სასმისები ჰაერში შევატყუპეთ.

— თარაშ, შენი საათი?! — მოულოდნლად ჰკითხა ნინიმ.

ყმაწვილი დაიბნა,.

— შინ დამრჩა, — შევატყვე, რომ იცრუა.

— ვარდების შესაძენად ფული არ გვეყო და თარაშმა საათი გაყიდა.... — ჩაჩურჩულა ასტამურმა და ჭიქა ბოლომდე გამოცალა.

საიდა

ამას წინათ ახლობელთან ვიყავი წვეულებაზე. აფხაზეთიდან არიან დევნილები. რუსეთიდან ჩამოუვიდათ ნათესავები, რომლებმაც სოხუმის დაცემის შემდეგ დატოვეს კერია. სტუმართა შორის ორი აფხაზიც იყო — გოგო და ბიჭი, ბიძაშვილები.

რამდენიმე ჭიქის შემდეგ სუფრის წევრებს ღვინო დაეტყოთ. უსიამოვნო აზრმა გამკრა — სისხლმა არ იფეთქოს-მეთქი. საბედნიეროდ, შევცდი. რუსლანმა, ჰო, ასე ერქვა იმ აფხაზ ჭაბუკს — ჩვენი მამები მეგობრობენ და ჩვენ სხვაგვარი ურთიერთობის უფლება არ გვაქვსო. სიმბოლური ყანწი გამოცალა. მერე ბიძაშვილს ანიშნა — დაიწყეო.

და მანაც აფხაზური „ვარადო“ წამოიწყო, რასაც მეგრული „ჩელა“ მოჰყვა. სხვებიც აჰყვნენ. ხმაშეწყობილი, მაგრამ სევდიანი გამოვიდა სიმღერები. სიმბოლურიც იყო — ასე მეჩვენა, ახალგაზრდები თითქოს წლების წინანდელ ნაიარევში ჰანგების სალბუნებს აფენდნენ ტკივილისა და წყლულების დასაამებლად, ძმებს შორის გაჩენილი ნაპრალების ამოსავსებად.

მღეროდნენ თავდავიწყებით...

თვალცრემლიანი უფროსები მონუსხული უსმენდნენ სიცოცხლით სავსე ყმაწვილებს და კურცხლებს მიღმა ჯეელობა ახსენდებოდათ.

უნებურად გასული საუკუნის 80-იანი წლების კადრებმა გამიელვა გონებაში: ჩემი და გუმისთაში ცხოვრობდა, რუსთაველის ქუჩაზე. სამუშაოს შემდეგ თანამშრომელი ქალები ხანდახან მასთან იყრიდნენ თავს. ერთხელ მეც შევესწარი ამგვარ პურობას. ისეთი ურთიერთობა ჰქონდათ, ერთი დედმამისშვილები გეგონებოდათ...

ჩემმა დამ სუფრას ფელამუში შემოამატა. ვხედავ, საიდა, ეშხიანი აფხაზი გოგონა, რომელიც მაგიდასთან ჩემ პირდაპირ იჯდა, თეფშიდან კოვზით რაღაცას კენკავს და ხელისგულში მალავს. გამეღიმა, მივუახლოვდი და რას აკეთებ-მეთქი, ჩავჩურჩულე.

— შენს დას ფელამუშში კვარკვანტიები (მეგრულად — კურკანტელა) გარევია და სხვების შეუმჩნევლად მინდა მოვაშოროო, — ჩურჩულითვე მიპასუხა.

— საი, რას ამბობ, ყველაზე გემრიელი ეს არის-მეთქი, ვუთხარი.

გამომცდელად შემომხედა და კოვზს მაშინვე მისამართი შეუცვალა.

— უი, ნიგოზი ყოფილა, — გადაიტკარცალა სახეგაბადრულმა. — ასეთი რამ არასდროს მიჭამია. — მარცხენა ხელისგული პირთან მიიტანა და ერთიანად მოასუფთავა. მერე „ადესით“ სავსე ჭიქას წამოავლო ხელი, ნიგვზიან ფელამუშს გაუმარჯოსო და ბოლომდე შესვა. სხვებმაც მიბაძეს.

ლოყებაფაკლებულმა წკრიალა ხმით აფხაზური ხალხური სიმღერა წამოიწყო. გოგოებიც წამოეშველნენ...

სოხუმის დაცემის შემდეგ გავიგე, იმ მძიმე დღეებში საიდას ქართველები შეუფარებია ვიწრო ბინაში.

სიყვარული არ აპატიეს...

ᲰᲔᲕᲘᲖ ᲘᲜᲐᲜᲘᲛᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ „ᲔᲗᲜᲘ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲘᲡ“ ᲤᲝᲜᲓᲘᲡ:
2022 ᲬᲚᲘᲡ 1 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ – 20 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ





ლალი მიქაძის ფოტოები ცარო-ხლარჯეთიდან



ანბანი — ვაზაფხულის ხნული